ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებატა ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა - ფილოსოფია

ფიქრია ადეიშვილი

საზოგადოებრივი ხელშეკრულების გამოვლენის თავისებურებანი

ნაშრომი შესრულებულია ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხი
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი: დემურ ჯალაღონია

თბილისი 2019

სარჩევი

ანოტაცია 2

Annotation 3

შესავალი 4

თავი I. საზოგადოებრივი ხელშეკრულების კლასიკური თეორიები 8

§1. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის შექმნის ძირითადი წინაპირობები 8

§ 2. თომას ჰობსის საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია 11

§3. ჯონ ლოკის საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია 15

§4 რუსოს საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია 20

§5 იმანუელ კანტის საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია 24

§6 საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის იდეათა კრიზისი 30

თავი II. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თანამედროვე თემები 35

§1. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის იდეათა აღორძინება 35

1950-1960-იან წლებში. 35

§2 ჯ. როლსის სამართლიანობის თეორია და მისი გავლენა თანამედროვე პოლიტიკურ ფილოსოფიაზე 39

§3 „დელიბერატიული“ ბრუნი საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიაში 57

§4 საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია და თანამედროვე ემპირიული კვლევების არსი 70

თავი III. ხელშეკრულების ტრადიცია თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის სტრუქტურაში 77

§1 კლასიკური და თანამედროვე ხელშეკრულების თეორიების შედარებითი ანალიზი 77

§2 საზოგადოებრივი ხელშეკრულება და ნორმატიულობის პრობლემა 84

დასკვნა 97

გამოყენებული ლიტერატურა 100

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს, საზოგადოებრივი ხელშეკრულების პრობლემატიკას ეძღვნება. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ჰიპოთეტური შეთანხმებით შეგვიძლია გავიგოთ, თუ რატომ და როგორ აყალიბებენ ადამიანები სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ წესრიგს.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების კონცეფცია პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კონცეფციას წარმოადგენს. ზოგიერთი ავტორი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ის შეიძლება პოლიტიკური ფილოსოფიის კვინტენსენციად მივიჩნიოთ...

... თანამედროვე პოლიტიკურ-ფილოსოფიურ დისკურსში კონტრაქტული თეორია ერთ-ერთ ცენტრალურ პოზიციას იკავებს. როგორც თანამედროვე დემოკრატიულ პოლიტიკურ ინსტიტუტთა საფუძველმდებელი ფილოსოფიური დოქტრინა, იგი თავის აქტუალობას არ ჰკარგავს.

ჩვენი კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს მოცემული კონცეფციის თანამედროვე ინტერპრეტაციები. ნაშრომის მთავარი მიზანია შემუშავებულ იქნას კომპლექსური მეთოდოლოგია, რომელიც კლასიკურ და არაკლასიკურ კონტრაქტულ თეორიებს წარმოადგენს, როგორც პოლიტ-ფილოსოფიური აზრის ერთიან და დამოუკიდებელ მიმართულებას.

კვლევის სიახლედ შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მოცემული კონცეფცია განსაზღვრულ, იქნა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება პოლიტიკურ-ნორმატიულ ინსტიტუტთა ლეგიტიმაციისა და ამასთან განისაზღვრა მისი შემდგომი ევოლუციის პერსპექტივა.

Annotation

The presented work is dedicated to one of the key issue of political philosophy - problem of public contract. The study of theory of public contract has a significant importance. By this hypothetical agreement we can learn why and how do people establish the state and society order.

The concept of public agreement in the history of political-philosophical sense is one of the most important concepts. Some authors even argue that it may be deemed as a quintessence of political philosophy…..

... In the modern political-philosophical discourse the contractual theory takes one of the central positions. As a philosophical doctrine, founder of modern democratic political institutions it does not lose its relevance.

The main subject of our research is modern interpretations of given concept. The major goal of the work is to develop complex methodology, presenting classical and non-classical contractual theories as unified and independent directions of political – philosophical sense.

The novelty of the research is that the given concept was defined as one of the effective mean for legitimating the political-normative institution and was determined its further evolution perspective.

შესავალი

წარმოდგენილი ნაშრომი პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს, საზოგადოებრივი ხელშეკრულების პრობლემატიკის კვლევას ეძღვნება.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი განსაზღვრავს პირობებს, სადაც ადამიანები მზად არიან მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ესაა გარიგება, სადაც მონაწილეობას იღებს ორი მხარე: ინდივიდი და სახელმწიფო. ამ ჰიპოთეტური შეთანხმებით შეგვიძლია გავიგოთ, თუ რატომ და როგორ აყალიბებენ ადამიანები სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ წესრიგს.

თემის აქტუალობა: შეიძლება ცალსახად ვთქვათ, რომ საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კონცეფციას წარმოადგენს. ზოგიერთი ავტორი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ის შეიძლება პოლიტიკური ფილოსოფიის კვინტენსენციად მივიჩნიოთ.

კონტრაქტარიანიზმის (contractarianism) იდეები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში აღმოცენდა (პლატონი, ეპიკურე, ციცერონი), მაგრამ ამ იდეებმა კლასიკური დასაბუთება ჰპოვა მხოლოდ ახალი დროის მოაზროვნეთა ნაშრომებში, ისეთ უდიდეს მოაზროვნეთა, როგორებიცაა ჰობსი, ლოკი, რუსო, კანტი. მათი მეოხებით კონტრაქტული თეორია იმ დროის პოლიტიკურ-ფილოსოფიურ დისკურსში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს. მაგრამ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ეს თეორია თანდათან დავიწყებას ეძლევა, რაც გრძელდება მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე. ამ პერიოდიდან კი კონტრაქტარიანიზმი ისევ ღორძინდება. თანამედროვე პოლიტიკურ-ფილოსოფიურ დისკურში ის დღემდე ერთ-ერთ მთავარ პოზიციას იკავებს. თანამედროვეობის ორი ყველაზე ცნობილი პოლიტიკურ-ფილოსოფიური კონცეფცია, რომლის ავტორებიც გახლავთ ჯ. როლსი და ი. ჰაბერმასი, საზოგ. ხელშეკრულების თანამედროვე თეორიებს წარმოადგენენ. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ როლსის „სამართლიანობის თეორიის“ შემდეგ პოლიტიკური ფილოსოფია მნიშვნელოვანწილად სწორედ კონტრაქტარიანიზმის აპოლოგია/კრიტიკის ფარგლებში ვითარდება.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების კონცეფცია, როგორც თანამედროვე დემოკრატიული ინსტიტუტთა ერთ-ერთი საფუძველმდებელი პოლიტიკურ-ფილოსოფიური დოქტრინა, თავის აქტუალობას არ ჰკარგავს.

კვლევის საგანი: ჩვენი კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს კონტრაქტული კონცეფციის თანამედროვე ინტერპრეტაციები, რომლებიც წარმოდგენილია როლსის, ჰაბერმასის, გოტიეს, ნოზიკის, სკენლონისა და საიტვუდის ნაშრომებში. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია როლსისა და ჰაბერმასის კონცეფციებზე.

კვლევის მიზანი: ნაშრომის მთავარი მიზანია შევიმუშავოთ კომპლექსური მეთოდოლოგია, რომელიც კლასიკურ და თანამედროვე კონტრაქტულ თეორიებს წარმოადგენს, როგორც პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრის ერთიან და დამოუკიდებელ მიმართულებას. ამისათვის კვლევის **მთავარ ამოცანებად** დავსახეთ:

1) განვსაზღვროთ კლასიკური კონტრაქტარიზმის წარმოშობის ისტორიულ-ფილოსოფიური წინაპირობები და მისი მთავარი პრინციპები, ამასთან ის ძირითადი მიზეზები, რამაც განაპირობა ამ კონცეფციის კრიზისი მე-19 ს-ის დასაწყისში და მისი კვლავ აღორძინება 1950-1960-იან წლებში.
2) განვიხილოთ კონტრაქტული თეორიის ყველაზე ცნობილი თანამედროვე ინტერპრეტაციები; ვაჩვენოთ მათ შორის არსებული არსებითი მსგავსება-განსხვავებანი და ამასთან მათი მიმართება პოლიტიკური ფილოსოფიის ისეთ საკვანძო მიმდინარეობებთან როგორებიცაა: უტილიტარიზმი, რეალური მორალიზმი, კომუნიტარიზმი და სხვ.
3) განვიხილოთ კლასიკურ და თანამედროვე კონვენციონალურ კონცეფციათა ურთიერთმიმართება, განვსაზღვროთ მათ შორის არსებული ძირითადი მსგავსება-განსხვავებანი.
4) განვსაზღვროთ მოცემული თეორიის მიმართება პოლიტიკური ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებთან (დემოკრატია, ადამიანის უფლებები, სამართლიანობა).
5) წარმოვადგინოთ იმ ემპირიულ კვლევათა შედეგები, რომლებიც საზოგ. ხელშეკრულების თეორიის პრობლემატიკას ეხება.

6) გამოვიკვლიოთ საზოგადოებრივი ხელშეკრულების კონცეფციის როლი ნორმატიულობის საერთო პრობლემათა შეფასებასა და გადაწყვეტაში, როგორიცაა სამართლიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინსტიტუტების შექმნა, კულტურათაშორისი კომუნიკაციების მექანიზმის ძიება და სხვა.

ეს არის მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა კვლევაც დაგვეხმარება არა მხოლოდ ამ კონცეფციის, არამედ ზოგადად პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარების თავისებურებათა უკეთ გაგებაში.

კვლევის სიახლე: ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ მოცემული პოლიტიკურ-ფილოსოფიური თეორია განსაზღვრულ იქნა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება პოლიტიკურ-ნორმატიულ ინსტიტუტთა ლეგიტიმაციისა. ამასთან დასახულია მისი შემდგომი ევოლუციის პერსპექტივა.

თემის დამუშავების დონე: მიუხედავად იმისა, რომ „ხელშეკრულების პარადიგმა“ თანამედროვე მსოფლიოში პოპულარულია, კონტრაქტარიანიზმისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური ნაშრომები ძალზე მცირეა. კვლევები ამ მიმართულებით მეტწილად ეძღვნება კლასიკურ კონტრაქტულ თეორიებს.

მკვლევარები, რომლებმაც მოცემული კონცეფციის ფუნდამენტური კვლევა შემოგვთავაზეს, გახლავთ პოლიტიკური თეორიის ისეთი ცნობილი მკვლევარები, როგორებიცაა ვ. პეტიტი, ს. ფრიმანი, ჯ. აინსლი.

ქართულ პოლიტიკურ-ფილოსოფიურ სივრცეში ჩვენი ნაშრომი გახლავთ პირველი მოკრძალებული მცდელობა ასეთი გამოკვლევისა.

კვლევის მეთოდოლოგია: ანალიზისთვის ვიყენებთ ე.წ. „unit-idea“-ის მეთოდს და დიალექტურ-კომპარატივისტულ მეთოდოლოგიას. აქცენტი კეთდება კონკრეტულ თეორიათა შორის ლოგიკური კავშირის ანალიზზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის კლასიკოს და თანამედროვე ავტორთა ორიგინალური შრომები (ჰობსის, ლოკის, რუსოს, ბიუკანანის, როლსის, ნოზიკის, ჰაბერმასის, გოტიეს, სკენლონის, საუტვუდის...).

2) ამ კონცეფციის ცნობილ ანალიტიკოსთა ნარკვევები: ფ. პეტატის, ს. ფრიმანის, ჯ. აინსლის, პ. ბერგერის, ტ. ლუკმანის და სხვ.

3) სპეციალური ეკონომიკური ლიტერატურა, რომელიც ეძღვნება homo economicus-ის და თამაშების თეორიის ანალიზს (ძირითადად ჯ. ჰარსანის და კ. ბინმორის შრომები).

4) ემპირიული ლიტერატურა ისეთ ცნობილ ინგლისელ და ამერიკელ მკვლევართა, როგორებიცაა: ნ. ფლორიხი, ჯ. ოპერჰაიმერი, შ. ივი, კ. ჰერნე.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომს აქვს ანოტაცია ქართულად და ინგლისურად, შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან.

თავი I

საზოგადოებრივი ხელშეკრულების კლასიკური თეორიები

§1. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის შექმნის ძირითადი წინაპირობები

„ქალაქ-სახელმწიფოს საფუძველმდებელი არის ადამიანთა შორის შეთანხმება, იცხოვრონ საერთო წეს-კანონთა თანახმად"

პროტაგორა

,,მას შემდეგ, რაც ადამიანებმა გამოცადეს ერთიცა და მეორეც, ანუ მოიქცნენ სამართლიანადაც და არასამართლიანადაც და დაზარალდგნენ არასამართლიანობისგან, მათ მიზანშეწონილად ჩათვალეს მოლაპარაკება, რათა სამომავლოდ არც უსამართლობა ჩაედინათ და არც დაზარალებულიყვნენ მისგან. აქედან დაიწყო კანონმდებლობა და ხელშეკრულება"

პლატონი

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის იდეებს ჩვენ ვხვდებით ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსთა ტრაქტატებში: პროტაგორას, ლიკოფრონის, პლატონის, ეპიკურეს, ციცერონის და სხვათა ნაშრომებში, მაგრამ ეს აზრ-იდეები, როგორც თეორია, როგორც დამოუკიდებელი მიმართულება პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრისა, ჩამოყალიბდა მხოლოდ ახალ დროში, მე-16-17 საუკუნეების ინგლისში, რაც, პირველ რიგში, განპირობებულია ამ პერიოდში ევროპაში განვითარებული იმ ისტორიულ-ინტელექტუალური მოვლენებით, რომელთაც განსაზღვრეს იმ დროის მთელი პოლიტიკურ-ფილოსოფიური დისკურსის შინაარსი. ეს მთავარი წინაპირობებია.

ა) ბუნებრივი სამართლის იდეათა განვითარება. მე-16 საუკუნის ბოლოს და მე-17 საუკუნის დასაწყისში ჰუგო გროციუსის, ს. პუფენდორფის, ვ. ვოლფისა და სხვა ავტორთა მეოხებით, რომელთაც თომა აქვინელის ბუნებითი სამართლის მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია განახორციელეს, ბუნებრივი სამართლის იდეებმა ფართო გავრცელება ჰპოვეს... ადამიანის ბუნებრივი უფლებების შესახებ იდეები

საზოგადოებრივი ხელშეკრულების კლასიკური თეორიათა ფუძემდებლურ იდეებად იქცა.

...,,ბუნებითი სამართალი, წერს გროციუსი, საღი გონების მიერ ნაკარნახევი წესია, რომელიც ამა თუ იმ მოქმედების გონიერ ბუნებასთან შესატყვისობით გვეუბნება, ეს ქცევა მორალურად მისაღებად ითვლება თუ გასაკიცხად. თუ ამით არ ვიხელმძღვანელეთ, მოკლებულნი ვიქნებით ადამიანურობას... ბუნებრივი სამართლის საფუძველი თავად ადამიანის ბუნებაა, ადამიანის ბუნება, რომელიც ემყარება ორ არსებით მოთხოვნილებას: ეს არის თვითგადარჩენისა და მის მსგავსთა, ადამიანთა საზოგადოებაში ყოფნის მოთხოვნილება. ამ ორი მთავარი პრინციპიდან, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და იმავდროულად ზღუდავენ, გამოიყვანება ბუნებითი სამართლის ყველა დანარჩენი წესიც... სამართალი და თავად სახელმწიფო ადამიანთა გონების შემოქმედებაა... სახელმწიფო მათ არა თუ ღმერთის ბრძანებით, არამედ თავიანთი ნებით შექმნეს... ისინი შეთანხმდნენ გაერთიანებულიყვნენ, როცა დარწმუნდნენ, რომ ცალ-ცალკე ცხოვრება აღარ ძალუძთ, ... რომ ბუნებრივ მდგომარეობაში მათ მხოლოდ სიღარიბე, გაჭირვება და ძალადობა ელით... სახელმწიფო თავისუფალ და თანასწორ მოქალაქეთა სრულყოფილი კავშირია, რომელიც მათ სამართლისა და საერთო კეთილდღეობის მოსაპოვებლად შექმნეს”[1]. ამ პატარა ნაწყვეტში მოცემულია თითქმის ყველა ის ძირითადი პრინციპი, რომელთაც დაეფუძნა საზოგადოებრივი ხელშეკრულების კლასიკური თეორიები. შეიძლება ვთქვათ, რომ გროციუსი თავისი ბუნებითი სამართლის თეორიით კონტრაქტარიანიზმის პირველ კლასიკოს ავტორთა დიდ წინამორბედად გვევლინება.

ბ) მე-16-17 საუკუნეების ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკურ-ფილოსოფიური დისკურსი: ჩაგრულ ხალხთა აჯანყების უფლების აპოლოგიის დაპირისპირება ე.წ. ,,მეფეთა ღვთაებრივი უფლების” დოქტრინასთან. სწორედ ამ დისკურსში ყალიბდება პირველად სრულად აზრი ხელისუფლების კონტრაქტული ბუნებისა და უმაღლეს ხელისუფლებათა ქვეშევრდომებზე დამოკიდებულების შესახებ. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ თომისტი ფილოსოფოსები მაგალითად, ცნობილი სქოლასტიკოსი ფ. სუარესი (1549-1617); უპირისპირდებოდნენ რა აბსოლუტური მონარქიის

[1] ჰუგო გროციუსი, ,,ომისა და მშვიდობის სამართალი”; 162-163 გვ.

ინსტიტუტს, ამტკიცებდნენ, რომ ბუნებრივი კანონის მიხედვით, უმაღლესი სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს და რომ ეს უკანასკნელი გარკვეული შეთანხმების აქტის შედეგად მონარქს თავად გადასცემს ძალაუფლებას და შეუძლია თავადვე წაართვას იგი, თუ მონარქი დაარღვევს შეთანხმების პირობებს, როგორც ერთ-ერთი მხარე ამ კონტრაქტისა. ეს თომისტი ფილოსოფოსები ფაქტობრივად კონვენციონალური თეორიის პრინციპებს ავითარებდნენ.

გ) პოზიტიური სამართლის განვითარება. როგორც ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური ფილოსოფოსი კ.სკინერი აღნიშნავს, მე-16-17 საუკუნეების კოდექსებმა დიდად შეუწყო ხელი საზოგადოებრივი თეორიის იდეათა განვითარებას. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა კონსტიტუციურმა და სახელშეკრულებო სამართალმა. პოზიტიური სამართალი კონვენციონალური თეორიის იდეებს უწინარესად სახელმწიფოს ღვთაებრივი წარმოშობის კონცეფციასთან დაპირისპირე-ბით ავითარებს.

დ) მე-16-17 საუკუნეებში ინგლისში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები. ჰობსი და ლოკი თავიანთი ქვეყნის პოლიტიკურ მოვლენებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, რამაც გარკვეულწილად ჰპოვა კიდეც რეფლექტური გამოხატულება მათ პოლიტიკურ-ფილოსოფიურ შრომებში... ჰობსისა და ლოკის კონვენციონალური თეორიები შეიქმნა არა მხოლოდ, როგორც აბსტაქტული პოლიტიკურ-ფილოსოფიური პროექტი, არამედ მნიშვნელოვანწილად გამოხატავდნენ რევოლუციურ და პოსტრევოლუციურ ინგლისში ხელისუფლებისა-თვის გაჩაღებულ ბრძოლაში ჩართულ გარკვეულ საზოგადოებრივი-პოლიტიკურ ძალთა ინტერესებს.

ე) მე-16 საუკუნის ბოლოს ფილოსოფიაში ინდივიდუალურობისა და რაციონალურობის ახალ კონცეფციათა ჩამოყალიბება. სწორედ ეს გახლავთ ყველაზე მთავარი წინაპირობა კლასიკური კონტრაქტარიანიზმისა. ინდივიდის კონცეფცია, რომელიც მას საფუძვლად დაედო, მეთოდოლოგიურ ინდივიდუალიზმს წარმოადგენს. აქ ინდივიდი წარმოგვიდგება, როგორც პოლიტიკური ცხოვრების raison d'etre. პოლიტიკა განიხილება ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებად... ამგვარი ხედვა დიდწილად სუბიექტის ახალი

კონცეფციის განვითარებამ განაპირობა, კონცეფციისა, რომელიც თავის მწვერვალს დეკარტეს ფილოსოფიაში აღწევს.

კონტრაქტულ თეორია – ეს არის წმინდად რაციონალისტური თეორია, მაგრამ რაციონალიზმს, რომელიც მას საფუძვლად უდევს არც ისე ბევრი საერთო აქვს არისტოტელისეულ რაციონალიზმთან, არამედ იგი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ე.წ. პრაქტიკული რაციონალიზმი ანუ ,,მიზანრაციონალურობა" (მაქს ვებერი). კლასიკური კონტრაქტარიანიზმის წარმოშობაში გადამწყვეტი როლი ითამაშა არა უბრალოდ კარტეზიანულმა იდეებმა, არამედ ამ იდეათა შერწყმამ რაციონალურობის სწორედ ამ ახალ გაგებასთან, ანუ პრაქტიკული რაციონალიზმის სინთეზმა სუბიექტის დეკატრესეულ კონცეფციასთან.

ახალი დროის სამეცნიერო რევოლუციათა ერთ-ერთ უმთავრეს შედეგად ითვლება შემეცნების ახალ პრინციპთა გამოყენება სოციალურ-პოლიტიკური ფენომენებისადმი.ერთ-ერთ ასეთ პრინციპს წარმოადგენდა სწორედ ,,საზოადოებრი-ვი ხელშეკრულება".

§ 2. თომას ჰობსის საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია

ახალი დროის ფილოსოფიაში კონტრაქტული თეორიის იდეებს მრავალი ცნობილი მოაზროვნე ავითარებს: სპინოზა, გოლბახი, მონტესკიე..., მაგრამ კლასიკური დასაბუთება ამ იდეებმა ჰპოვა მხოლოდ თ. ჰობსის, ჯ. ლოკის, ჟ. რუსოსა და ი. კანტის პოლიტიკურ ფილოსოფიაში. ჩვენ სწორედ ამ კლასიკოს ავტორებს განვიხილავთ და შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვას: შეგვიძლია თუ არა ვისაუბროთ საზოგადოებრივი ხელშეკრულების კლასიკურ თეორიაზე, როგორც პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრის კონცეპტუალურად ერთიან მიმართულებაზე.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების პირველი კლასიკური თეორიის ავტორი გახლავთ დიდი ინგლისელი ფილოსოფოსი თომას ჰობსი (1588-1679). ეს თეორია მას ძირითადად გადმოცემული აქვს თავის ცნობილ ნაშრომში ,,ლევიათანი".

ისახავს რა მიზნად „სახელმწიფოს" რაობის გარკვევას, ჰობსი, როგორც ემპი-რიკოსი, ერთი მხრივ საწყის წერტილად იღებს სხეულებრივ რეალობას, მეორე მხრივ

კი ამ რეალობაში აქცევს ადამიანს და ამ გზით ცდილობს მისი ბუნების შემეცნებას, რასაც საბოლოოდ „სახელმწიფოს“ განსაზღვრებასთან მივყავართ.

მსჯელობს რა ადამიანზე, როგორც ბუნებრივ სხეულზე, ჰობსი ადამიანთა ე.წ. „ბუნებრივი მდგომარეობის“ ცნებამდე მიდის. არისტოტელისეული ტრადიციისგან განსხვავებით, რომლის თანახმად, არის რა პოლიტიკური არსება, ადამიანი არსებობს მხოლოდ პოლიტიკურ მდგომარეობაში, ჰობსის აზრით, ადამიანთა პოლიტიკურ ყოფას წინ უსწრებს ე.წ. „ბუნებრივი მდგომარეობა“.

პირველი თეზისი, რომელსაც ფილოსოფოსი ბუნებრივი მდგომარეობის ასახსნელად გვთავაზობს შეიძლება ლიბერალიზმის ქვაკუთხედად ჩაითვალოს: „ბუ-ნებამ ადამიანები ფიზიკური და გონებრივი უნარების მიხედვით თანასწორნი შექმნა. მართალია, ზოგჯერ ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი ადამიანი მეორეზე უფრო ღონიერი ან ჭკვიანია, მაგრამ თუ მათ ყველას ერთიანობაში განვიხილავთ, აღმოჩნდება რომ მათ შორის განსხვავება არც თუ ისე დიდია, რომ მის საფუძველზე რომელიმე ადამიანს შეძლებოდა მოეთხოვა თავისთვის რაიმე სასიკეთო იმგვარად, რომ სხვა ადამიანს არ ჰქონდეს იმავე მოთხოვნის ანალოგიური უფლება[1].

ამ ციტატაში საყურადღებოა ორი მომენტი: 1) ადამიანთა შორის უმნიშვნელო სხვაობიდან არ გამომდინარეობს რომელიმე მათგანის განსაკუთრებული უფლება, აკეთებდეს ან ფლობდეს რაიმეს და 2) თუ რომელიმე ადამიანს აქვს საფუძველი სხვისგან განსხვავებით მოითხოვოს ან ფლობდეს რაიმეს, ეს საფუძველი არ გამომდინარეობს მისი ბუნებრივი თვისებებიდან.

მაგრამ სწორედ ეს თანასწორობა ხდება ჰობსის აზრით, ერთ-ერთი მთავარი წყარო ურთიერთდაპირისპირებისა ბუნებრივ მდგომარეობაში. თანასწორობა განაპირობებს უნდობლობას, რასაც თან ერთვის ისეთი ადამიანური მანკიერებებიც, როგორიცაა მეტოქეობა და პატივმოყვარეობა, დიდების წყურვილი. პირველის მიზეზით ადამიანები თავს ესხმიან ერთმანეთს საკუთარი უსაფრთხოებისთვის, მეორის გამო-ნადავლის ხელში ჩასაგდებად, ხოლო მესამის მიზეზით – პატიკის მოსახვეჭად. ასე იწყება ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ. ეს არის მდგომარეობა, სადაც არაფერია უსამართლო. აქ მხოლოდ ძალა და მზკავრობაა ორი

[1] თომას ჰობსი, „ლევიათანი“, 77 გვ.

უმნიშვნელოვანესი სიკეთე (vitues). ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი მთლიანად ბუნებითი უფლების მოქმედების ზონაში იმყოფება. ეს ვითარება ბუნებრივი სამართლის ენაზე შეიძლება გამოვხატოთ ფორმულით – „ყველას ბუნებითი უფლება ყველაფერზე“... და აი, ასეთ ვითარებაში საქმეში ერევა გონება, რომელიც აყალიბებს ბუნებით კანონებს (ეს კანონები ბუნებითია იმდენად, რამდენადაც ისინი ადამიანის ბუნებით მონიჭებული გონებრივი უნარებით დგინდება). ჰობსი საუბრობს 20 ბუნებით კანონზე, რომელთაგან უმთავრესია პირველი სამი კანონი, რომლებიც ბუნებრივი სამართლის ფუნდამენტს ქმნიან:

1. ან უნდა განვამტკიცოთ მშვიდობა ან ყველა შესაძლო ხერხით უზრუნველყოთ საკუთარი უსაფრთხოება, ანუ ყოველი კაცი უნდა ისწრაფვოდეს მშვიდობისკენ, სანამ მისი მოპოვების იმედი აქვს, ხოლო თუ მშვიდობის მოპოვება არ ძალუძს მას შეუძლია ომის ყველა ხერხი და გზა ეძებოს საკუთარი უსაფრთოხების დასაცავად.

2. თუ სხვებსაც იგივე სურვილი აღმოაჩნდებათ, ადამიანი მზად უნდა იყოს, რამდენადაც მშვიდობისა და თავდაცვისთვის საჭიროდ მიიჩნევს, ხელი აიღოს თავის საყოველთაო ბუნებით უფლებაზე და დაკმაყოფილდეს იმდენი თავისუფლებით სხვა ადამიანებთან მიმართებაში, რამდენსაც ის სხვა ადამიანებში დაუშვებს საკუთარი თავის მიმართ (ეს კანონი ეხმაურება ევანგელიის ცნობილ ფორმულას: „ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რასაც საკუთარ თავს არ უსურვებ“).

3. ადამიანმა საკუთარი შეთანხმებები უნდა შეასრულოს. ეს კანონი ეხმიანება თანამედროვე შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპს: „ხელშეკრულებები უნდა სრულდებოდეს“ (Pacta suit servanda). თუმცა ჰობსისთვის მისი ბუნება უფრო მრავლისმომცველია, ვინაიდან, მისი აზრით, სწორედ შეთანხმებაზეა დაფუძნებული სახელმწიფოცა და პოზიტიური სამართალიც. მესამე ბუნებითი კანონი გზას ხსნის სამართლიანობისკენაც, რადგან, თუ არ არის დადებული შეთანხმება ანუ ადამიანის მიერ არ არის გადაცემული ბუნებით უფლების ესა თუ ის ნაწილი, ვერ ვისაუბრებთ თვითონ უსამართლობაზე.

... მაგრამ მხოლოდ ეს კანონი არ არისო საკმარისი სამართლისა და სამართლიანობისთვის; სამართლიანობა სინამდვილეში არ აღსრულდებაო მანამ, სანამ არ იარსებებს იძულების ეფექტური მექანიზმი და ეს მექანიზმი არის სახელმწიფო; ხელშეკრულება მახვილის გარეშე მხოლოდ ცარიელი სიტყვაა... სწორედ ამიტომ

ადამიანები უარს ამბობენ იმ თავისუფლებაზე, რომელიც მათ ბუნებრივ მდგომარეობაში აქვთ... ბუნებრივი მდგომარეობა იცვლება სამოქალაქო (პოლიტიკური) მდგომარეობით, ბუნებითი სამართალი პოზიტიური სამართლით (ეს უკანასკნელი ეფუძნება თავად ბუნებით სამართალს). თვითგადარჩენასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა ადამიანებს მიმართავს შეთანხმებისკენ, შექმნან „დიდი ლევიათანი“, („მოკვდავი ღმერთი”). ადამიანი ეგოისტურია არსებაა, უფრო მეტიც იგი ბოროტი არსებაა და მან უწინარესად თავისვე სარგებლობის, თავისვე კეთილდღეობის მიზნით შექმნა სახელმწიფო. მაგრამ ეს არის ერთიანობა, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე უბრალო ურთიერთშეთანხმება; სახელწიფო – ესაა ერთიანი, საერთო ნების მატარებელი პერსონა, ხელშეკრულების თითოეული მონაწილე მას და მხოლოდ მას თვლის მისი მართვის უფლების მქონედ თავიანთივე კეთილდღეობის მიზნით... ამ ერთიანი პერსონის მატარებელი, სუვერენი, უზენაესი ხელისუფლების მპყრობელია. სწორედ სუვერენში, უმაღლესი ძალაუფლების მფლობელში ხედავს ჰობსი სახელმწიფოს დედაარსს. სუვერენი არისო სახელმწიფოს სული, რომელიც მას სიცოცხლეს ანიჭებს, და ის თვით ეკლესიის უმაღლესი განმგებელიცაა. აქ იკვეთება მეტად მნიშვნელოვანი მომენტი: თუ შუა საუკუნეებისეული გაგებით ამოსავალი წერტილი იყო საღვთო წესრიგი, ხოლო სახელმწიფოცა და სუვერენიც ამ წესრიგის მხოლოდ ელემენტებად მოიზარებოდა, ამ შემთხვევაში უმთავრესი თვითონ სახელმწიფო და სუვერენი, სუვერენი, რომლის ძალაუფლების წყარო არის თავად ხალხი, ეს ძალაუფლება კი აბსოლუტურია და შეურყეველი. ჰობსი იყო ერთ-ერთი პირველი ახალი დროის პოლიტიკურ ფილოსოფიაში, რომელმაც სახელმწიფოს საფუძველმდებლად აღიარა არა თუ ღვთის ნება, არამედ ადამიანური გონება. სახელმწიფო არისო თავისუფალ და თანასწორ ინდივიდთა რაციონალური არჩევანის შედეგი... ჰობსისეული სახელმწიფო დესაკრალიზირებული სახელმწიფოა (დესაკრალიზაცია კონტრაქტარიანიზმის საფუძველმდებელი იდეაა). იგი წარმოდგება, პირველ რიგში, როგორც ინსტრუმენტი, საშუალება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა და ამავდროულად, მათი მხრიდან „შეთანხმების“ პირობათა დაცვა...

ჰობსი დაწვრილოებით აღწერს სახელმწიფოს მოწყობის ფორმებს, სახელმწიფოს ორგანიზებას (ის აბსოლუტური მონარქიის მომხრეა), საუბრობს სუვერენისა და მო-

ქალაქის უფლებებსა და ვალდებულებებზე, მაგრამ ამ საკითხებს არ აქვთ უშუალო შეხება მის „შეთანხმების“ კონცეფციასთან და ამიტომაც ჩვენ ამ თემებს აღარ განვიხილავთ.

ამგვარად, ჰობსის კონცეფციის თანახმად, სახელმწიფოს საფუძველმდებელი არის კონვენცია, თავისუფალ და თანასწორ ინდივიდთა საერთო შეთანხმება, სახელმწიფო ინდივიდთა რაციონალური არჩევანის შედეგია. საყოველთაო ომის მდგომარეობაში თვითგადარჩენასა და უსაფრთხოებაზე მუდმივი ზრუნვა ადამიანებს მიმართავს შეთანხმებისკენ, შექმნან პოლიტიკური ერთობა თავიანთვე სარგებლობის, თავიანთვე კეთილდღეობის მიზნით... სახელმწიფოს მათთვის პირველ რიგში ინსტრუმენტალური ფასეულობა აქვს ეს იმ დროისთვის ნამდვილად რევოლუციური აზრი იყო.

§3. ჯონ ლოკის საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია

ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ჯ.ლოკი კლასიკური კონტრაქტარიანიზმის ერთ-ერთი მამამთავარი გახლავთ.

ლოკმა თავისი კონვენციონალური თეორია ძირითადად გადმოსცა თავის მთავარ პოლიტიკურ-ფილოსოფიურ შრომაში „ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ“

ლოკისა და ჰობსის კონტრაქტულ თეორიებს შორის მრავალი მსგავსებაა, მაგრამ ამავდროულად პრინციპული განსხვავებაცაა. მათ შორის განსხვავებათა საფუძველი ამოსავალი ცნებების, პირველ რიგში ადამიანის ბუნების გაგებაა.

მსგავსად ჰობსისა, ლოკიც თავის პოლიტიკურ თეორიას ბუნებრივ და სამოქალაქო მდგომარეობათა ურთიერთშედარებაზე აგებს, თუმცა მას ეს ყველაფერი უფრო სხვაგვარად აქვს გააზრებული.

თუ ჰობსთან ადამიანთა ბუნებრივი მდგომარეობა ძირითადა ნეგატიურ ტერმინებშია აღწერილი, როგორც რაღაც ველურთა, წინაცივილური ცხოვრების მსგავსი რამ, ლოკი პირიქით, მას განსაზღვრავს, როგორც ბუნებრივი კანონებით დადგენილი თავისუფლებისა და თანასწორობის მდგომარეობას, კანონებით, რომლებიც, ლოკის თანახმად, იგივ გონების კანონებია, მარადიული წესები ყველა ადამიანისთვის და

თავად ღვთის ნება. ჩვენ ვიბადებითო თავისუფალნი, რადგან ვიბადებით გონიერნი... ვინც ბუნების კანონებს გადააბიჯებს, იგი გონების კანონების მიღმა დადგება. კანონების, რომელიც თითოეულს არა თუ მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ იმავდროულად „მთელი კაცობრიობის დასაცავად მიგვმართავს[1]. ამ კანონთა თანახმად, არც ერთ ადამიანს არ აქვს უფლება საკუთარი და სხვა ადამიანის სიცოცლე, თავისუფლება და საკუთრება ხელყოს; არ აქვს უფლება ძალადობისა და რომ ყოველი ადამიანი უფლებამოსილია დასაჯოს თითოეული, ვინც ამას ჩაიდენს.

თუ ჰობსი თვლის, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში თავისუფლება გარე შეზღუდვების სრულ არარსებობას ნიშნავს, ლოკი, პირიქით, ამას თვითნებობას უწოდებს. ბუნებით მდგომარეობაში თავისუფალი ადამიანი ჰქვიაო მას, ვინც არ ემორჩილება სხვა ადამიანის არც კანონებს და არც ნებას, არამედ ხელმძღვანელობს მხოლოდ ბუნების კანონებით, იმ კანონებით, რომელნიც არა თუ ურთიერთგანადგურებისაკენ, არამედ ურთიერთდაცვისა და თანადგომისკენ მიმართავს თითოეულს. ბუნებრივ მდგომარეობაში თანასწორობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ადამიანს აქვსო თანაბარი უფლება იყოს ბუნებით თავისფლების მქონე.

სრულიად ცხადია, რომ ლოკისეული გაგება „ბუნებრივი მდგომარეობისა“ სავსებით განსხვავდება ჰობსიეული გაგებისგან. ლოკი მას მკვეთრად მიჯნავს ომის მდგომარეობისგან. მისი მტკიცებით, პირველი ისე განსხვავდება მეორისგან, როგორც მშვიდობის, კეთილგანწყობისა და ურთიერთდახმარების მდგომარეობა მტრობის, ღვართძლის, ძალადობისა და ურთიერთგანადგურების მდგომარეობისაგან.

ამ მსჯელობათა მთელ ჯაჭვში საკვანძო მნიშვნელობისაა ლოკისეული გაგება ადამიანის ბუნებისა. თუ ჰობსი თვლის, რომ ადამიანი თავისი არსებით ბოროტია, ლოკი, პირიქით, მას კეთილ არსებად მიიჩნევს. მისი მტკიცებით, ალალმართლობა და ნდობის გამართლება ადამიანის თვისებაა, როგორც ადამიანისა და არა როგორც საზოგადოების წევრისა...

ამგვარად, ლოკისთვის ბუნებითი მდგომარეობა თავისუფალ და თანასწორ ადამიანთა თანაცხოვრების სივრცეა, მაგრამ, როგორც თავად აღნიშნავს, ბუნებითი კანონის დამრღვევნი ყოველთვის და ყველგან არსებობენ; ისინი არსებობენ ბუნებით მდგომარეობაშიც. სწორედ მათ გამო ამ მდგომარეობაში არსებობაც არ ნიშნავს

[1] ჯ. ლოკი “ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ“, 156 გვ.

უსაფრთხო ვითარებაში ყოფნას. მაგრამ ასევე იმის გამოც, რომ ბუნებით მდგომარეობაში არ არსებობს საერთო მოსამართლე, რომელსაც ძალაუფლება ექნებოდა დადგენილი სამართლის შესაბამისად გადაეწყვიტა ადამიანთა შორის დაპირისპირება. ბუნებითი კანონის დამრღვევის მიმართ აქ თითოეული ადამიანი თავად არის სასჯელის აღმსრულებელი. ყოველივე ამას კი ადამიანები მიჰყავს ომის მდგომარეობამდე.

ომისგან თავის დაღწევა, საკუთარი სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფრო საიმედოდ დაცვა – აი, ლოკის აზრით, მთავარი მიზეზი იმისა, რატომაც ადამიანები უარს ამბობენ ბუნებრივ მდგომარეობაზე და თანხმდებიან სახელმწიფოს შექმნაზე, პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბებაზე... და რა შემთხვევაში შეიძლება იწოდოს, ლოკის თანახმად, საზოგადოება პოლიტიკურ საზოგადოებად? მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანები ერთ სხეულადაა გაერთიანებული, რომელთაც აქვთ საერთო კანონები და შეუძლიათ ბუნებითი სამართლით საფუძველდებულ უმაღლეს მართლმსაჯულებას მიმართონ, რომელიც უფლებამოსილია მათ შორის კონფლიქტები გადაწყვიტოს და დამნაშავე დასაჯოს. ასეთი გაერთიანების შექმნის ერთადერთი გზა კი ურთიერთშეთანხმებაა, თავისუფალ, თანასწორ და რაციონალურ ინდივიდთა ურთიერთშეთანხმება. მისმა თითოეულმა წევრმა ნებაყოფლობით თქვა უარი საკუთარი თავისა და საკუთარი ქონების დაცვის ბუნებით უფლებაზე და ეს უფლება გადასცა საზოგადოებას, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს დახმარებისთვის, იმ შემთხვევების გარდა, რომელიც გამორიცხულია ამ საზოგადოების კანონებითვე.[1]

ლოკის ლიბერალური დოქტრინის დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ მის გულისგულში დგას ადამიანი, როგორც უმაღლესი ღირებულება, როგორც ამოსავალი წერტილი თავად ბუნებითი კანონებისა, „ადამიანი, რომლის დიადი ადამიანური ხვედრი თავად თავისუფლებაა".[2] სამოქალაქო საზოგადოებაში მისი თავისუფლება ის არის, რომ იგი არ ემორჩილება სხვა საკანონმდებლო ძალაუფლებას გარდა იმისა, რაც სახელმწიფოში საერთო თანხმობით მიიღწევა). თუ პოლიტიკური საზოგადოება

[1] განსხვავებით ჰობსისგან, ლოკი უშვებს უმრავლესობის პრინციპს, როგორც კოლექტიურ გადაწყვეტილებათა მიღების მთავარ პრინციპს. უმრავლესობისადმი მორჩილების გარეშე ვერ შედგებოდაო ძლევამოსილი ლევიათანი

[2] ჯ. ლოკი „ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ", გვ. 201

შეეცდება ხელყოს ვინმეს სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება („საკუთრებას“ ლოკი სიცოცხლისა და თავისუფლების თანაბარ ღირებულებად მიიჩნევს), მაშინ ამ ინდივიდს უფლება აქვს წინაღუდგეს მას. ის, ვინც უარს იტყვის თავის ბუნებით უფლებებზე (თავისუფლებასა და თანასწორობაზე), ვერ ჩაითვლება რაციონალურ არსებად. ჰობსისგან განსხვავებით საზოგადოებრივი ხელშეკრულება ლოკთან არ წარმოადგენს ისეთ ფაქტს, რომლის მოდიფიკაციაც არ შეიძლება; პირიქით, თავდაპირველი შენათხმება აუცილებელია მოდიფიცირდეს, თუ იგი აღმოჩნდება არასამართლიანი, თუ ის არღვევს ბუნებრივი კანონების მოთხოვნებს... ინდივიდს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუკი მზად არის უარი თქვას პოლიტიკური მდგომარეობის პრივილეგიებზე... როცა ცალკეული მოქალაქეები განიცდიან შევიწროებასა და დისკრიმინაციას მთავრობის მხრიდან, ლოკის თანახმად, ეს მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ომის მდგომარეობა. ასეთ პირობებში ინდივიდი თავისუფლდება ყოველგვარი ვალდებულებისაგან და საზოგადოებრივი ხელშეკრულებაც სრულიად კარგავს თავის ძალას...

... ჰობსისგან განსხვავებით, ლოკისთვის სრულიად მიუღებელია აბსოლუტური ძალაუფლებით სახელმწიფოს მართვა; ასეთი მმართველობა ვერ და არ უზრუნველ-ყოფსო იმ ამოცანათა შესრულებას, რისთვისაც შეიქმნა სახელმწიფო, რისთვისაც უარი თქვეს ადამიანებმა ბუნებრივ მდგომარეობაზე. ნებისმიერი პოლიტიკური შეზ-ღუდვა ლეგიტიმურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელს უწყობს ადამიანებს დაიცვან საკუთარი სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. ამასთან, ლოკისთვის ყოვლად მიუღებელია უმაღლეს ხელისუფალთა მხრიდან რაიმე თვითნებობა, ის უნ-და მოქმედებდეს მხოლოდ დადგენილ კანონთა თანახმად; თავისუფლება, როგორც მმართველთა, ისე მართულთა, არის მათი კანონმორჩილება.

როგორც ვხედავთ, ლოკისა და ჰობსის კონვენციონალურ თეორიებს შორის საკ-მაოდ დიდი განსხვავებაა, თუმცა ორივე ფილოსოფოსი ცალსახად თანხმდება იმაზე, რომ უპირველესი ამოცანა პოლიტიკური ინსტიტუტებისა – ეს არის ინდივიდთა უსაფრთხოების დაცვა და რომ სახელმწიფოს პირველ რიგში მათთვის ინსტრუმენტალური მნიშვნელობა აქვს!

ლოკის ბუნებრივი უფლებების თეორია კლასიკური ლიბერალიზმის ერთ-ერთ საფუძველმდებელ თეორიად იქცა... თავისი დემოკრატიული იდეებით იგი ლიბერალიზმის ერთ-ერთ მამამთავრად გვევლინება.

§4 რუსოს საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია

რუსოს კონვენციონალური თეორია ძირითადად გადმოცემული აქვს შრომებში: „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ და „განაზრებანი ადამიანთა შორის უთანასწორობის შესახებ“. თავის კონცეფციას ის ტრადიციულად აგებს ბუნებრივ და პოლიტიკურ მდგომარეობათა ურთიერთდაპირისპირების სქემაზე.

...თუ ჰობსი ბუნებრივ მდგომარეობას განიხილავს, როგორც „ყველას ომს ყველას წინააღმდეგ, ფრანგი ფილოსოფოსი სულ სხვაგვარად განიაზრებს ამ ფენომენს. იგი უფრო ახლოს დგას ლოკისეულ გაგებასთან, თუმცა მისგანაც მნიშვნელოვნად განსხვავდება...

...რუსოს თანახმად, ბუნებრივი მდგომარეობა პირველყოფილ ადამიანთა იდილიური ყოფაა. ეს იყო მდგომარეობა, სადაც არ არსებობდნენ მონები და ბატონები, მდიდრები და ღარიბები, არამედ კაცთა შორის სრული თანასწორობა და მშვიდობა სუფევდა... მათი თავდაცვითი ზრუნვა არანაირად არ ვნებდა ურთიერთის ინტერესებს; პირველ ადამიანებს შორის უწინარესად თანალმობა სუფევდა. ყოველივე ამის უპირველესი მიზეზი კი ის იყო, რომ მათ არ სჭირდებოდათ ერთმანეთი საარსებოდ...

...მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ დასჭირდათ ურთიერთდახმარება და როგორც კი შეამჩნევენ, რომ ძალზე სასარგებლოა საჭიროზე მეტი საკუთრების ქონა, თანასწორობა და მშვიდობა ჰქრება პირველყოფილთა შორის. ,,პოეტის თვალთახედვით, ოქრომ და ვერცხლმა, ფილოსოფოსის თვალთახედვით კი რკინამ და პურმა აზიარესო ადამიანები ცივილიზაციას და დაღუპეს მათი მოდგმა[1]”.

თუ ლოკისთვის „საკუთრება“ ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს, რუსოსთვის, პირიქით, საკუთრების წარმოშობა ნამდვილ უბედურებათა წყაროა. მის თანახმად, მისი უფლება განსხვავებულია იმ უფლებათაგან, რომლებიც ბუნებით სამართლიდან გამომდინარეობენ; იგი, პირიქით, ბუნებით სამართლის მრღვევია. მან დაარღვია ბუნებრივი მდგომარეობის იდილია, კეთილშობილი ველური „სიცრუით, შურითა და სიძულვილით აავსო. ადამიანის ბუნებრივი უფლება ძლიერის უფლებამ შეცვალა. თანდათან დაიწყო ძალადობა, დამონება, ძარცვა ქონების მითვისება. ასე

[1] რუსო, ,,განაზრებანი ადამიანთა შორის უთანასწორობის შესახებ” 87 გვ.

იწყება „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“, ომი უწინარესად ღარიბ-ღატაკთა და მდიდართა შორის”[1], ომი, რომელიც საბოლოოდ ადამიანთა გაერთიანებით სრულდება და ამის ინიციატორი თავად მდიდარი ხდება. რაციონალური ინდივიდები თავიანთივე კეთილდღეობის მიზნით თანხმდებიან შექმნან პოლიტიკურ-სოციალური გაერთიანება, სადაც ყოველი მათგანი საერთო საკუთრებაში გადასცემს და დაუმორჩილებს თავის პიროვნებას და მთელ თავის ძალებს ერთიანი ნების უმაღლეს ხელმძღვანელობას, რის შედეგადაც თითოეული გადაიქცევა მთელის განუყოფელ ნაწილად, ეს მთელი კი გახლავთ სწორედ სამოქალაქო საზოგადოება... ჰქმნის რა პოლიტიკურ ასოციაციას, ადამიანი ჰკარგავს ბუნებით თავისუფლებას, რომლის საზღვარსაც ინდივიდის ფიზიკური ძალა წარმოადგენდა და იძენს სამოქალაქო თავისუფლებას, რომელიც საერთო ნებითაა შეზღუდული, ეს საერთო ნება კი იგივ მისი ნებაცაა (რუსო ერთმანეთისგან განასხვავებს „ყველას ნებას“ და „საერთო ნებას. სწორედ ეს უკანასკნელი ჰქმნისო „ერთიან სუბიექტს“, მაშინ როდესაც პირველი მხოლოდ კერძო ინტერესთა კრებულია); აქ ყოველი ადამიანი სხვებთან გაერტიანებით ამავე დროს ემორჩილება მხოლოდ საკუთარ თავს და ისეთივე თავისუფალი რჩება, როგორც მანამდე იყო. „მარტოოდენ სურვილებისა და ვნებების კარნახით მოქმედება, წერს ფილოსოფოსი, სხვა არაფერია, თუ არა მონობა, მაშინ როდესაც იმ კანონის მიხედვით მოქმედება, რომელიც თავად დაუდგინე საკუთარ თავს, არის ნამდვილი თავისუფლება”[2].

ფილოსოფოსი აღნიშნავს, რომ შესაძლოა ასეთი საზოგადოებრივი ხელშეკრულება ღია სახით არ დაფიქსირებულა არსად, მაგრამ ,,მისი პუნქტები იდენტურია ყველა დროში ყველა ხალხისთვის და ისინი მიღებულია ხმის ამოუღებლად”[3]...

და რა ქმნის ამ ხელშეკრულების საზრისმიერ საფუძველს? რუსოს აზრით, ასეთ საფუძველს ქმნის საერთო ინტერესები, ადამიანები ერთიანდებიან ამ ინტერესების საფუძველზე, რომელთა მიზანსაც საერთო სიკეთე წარმოადგენს. თუ დავსვამთ კითხვას, რაში მდგომარეობს ადამიანისტვის ეს საერთო სიკეთე, ფილოსოფოსი მიუთითებს ორ ძირითად ფენომენზე - თავისუფლებასა და

[1] რუსო, ,,განაზრებიანი ადამიანთა შორის უთანასწორობის შესახებ”, 91 გვ.
[2] რუსო, ,,საზოგადოებრივი ხელშეკრულება”, 208 გვ.)
[3] რუსო, ,,საზოგადოებრივი ხელშეკრულება”, გვ. 197.

თანასწორებაზე; თავისუფლებაზე, რადგან ყოველგვარი დამოკიდებულება კერძო პირზე ამცირებს სახელმწიფოს ძალას და თანასწორობაზე, იმიტომ რომ თავისუფლება ვერ იარსებებს მის გარეშე. სწორედ მის მისაღწევად იქმნებაო საერთო ნება, რომლის რეალიზაციასაც წარმოადგენს თავად სუვერენი (ხალხი), სუვერენი, რომელიც „ყოველთვის არის ის, რაც უნდა იყოს[1]

...და თუ ინდივიდის ნება არ დაემთხვევა საერთო ნებას, ასეთ შემთხვევაში მას საპირისპიროს აიძულებს მთელი ორგანიზმი (სუვერენი), რაც იმას ნიშნავს, რომ მას აიძულებენ იყოს თავისუფალი. ეს ვითარება წარმოადგენსო პოლიტიკური მანქანის საიდუმლოს და მის მამოძრავებელ ძალას...

რუსოს მთელ ამ მსჯელობათა ამოსავალი წერტილია მისი კონცეფცია ადამიანური ბუნების შესახებ. სწორედ მას აფუძნებს ფილოსოფოსი თავის კონტრაქტულ თეორიას (ისევე როგორც ჰობსი და ლოკი). რუსოს რწმენით, ადამიანი ბუნებით კეთილი არსებაა და ზოგადად კეთილია ყოველივე ის, რაც ბუნებიდან მოდის... მას ღრმად სწამს ადამიანთა ერთობის კეთილი ნებისა, ის შეიძლება ბოროტად აქციოსო მხოლოდ ცუდმა სახელმწიფო მმართველობამ... ყველაზე უკეთესი მმართველობის ფორმად რუსო დემოკრატიულ მმართველობას მიიჩნევდა, თუმცა, მისი აზრით, ნამდვილი დემოკრატია არასოდეს არსებულა. ნამდვილი დემოკრატია უფრო ღმერთების კუთვნილებააო, ვიდრე ადამიანებისა. ფილოსოფოსი ე.წ. პირდაპირი დემმოკრატიის მომხრე იყო მისი ,,დემოკრატიის კონცეფცია" დღემდე არ ჰკარგავს თავის აქტუალობას.

რუსოს კონვენციონალური თეორიაში შეიძლება გამოვყოთ 2 ძირითაადი მომენტი: 1)კონვენციონალური ხელშეკრულება არის პოლიტიკურ ინსტიტუტთა ლეგიტიმურობის დაცვის ერთადერთი საშუალება და რომ 2)საზოგადოებრივი შეთანხმება კაცობრიობის ბუნებრივი განვითარების ლოგიკური შედეგია.

რუსოს ამ იდეებში არაფერია ორიგინალური, ისინი გვხვდება მის წინამორბედ კონვენციონალური თეორიის ავტორებთანაც. მაგრამ მასთან ჩნდება სრულიად ახალი მომენტებიც, როგორც ვნახეთ, იგი თავისებურად იაზრებს „ბუნებრივი მდგომარეობისა" და „საკუთრების" ფენომენებს (ამ ფენომენთა რუსოსეულმა გაგებამ

[1] „საზოგადოებრივი ხელშეკრულება", 85 გვ.

საფუძველი დაუდო ბუნებითი სამართლისა და სამართლიანობის საკითხების ახლებურ გააზრებას). გარდა ამისა, ფრანგი ფილოსოფოსის „საერთო ნების პრინციპი“ ახალი პოლიტიკურ-ფილოსოფიური დისკურსის საფუძვლად იქცა.... (სწორედ რუსოსეული საერთო ნების პრინციპი დაედო საფუძვლად ამერიკელი ეკონომისტების ბიუკანანისა და ტალოკის კონტრაქტულ თეორიას, რომელიც საზოგადოებრივი ხელშეკრულების პირველ თანამედროვე კონცეფციას წარმოადგენს.)

და აქ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მომენტი: მართალია რუსოსთვის საზოგადოებრივი ხელშეკრულება (პოლიტიკური და სამოქალაქო მდგომარეობა) კაცობრიობის განვითარების გარდაუვალი და აუცილებელი შედეგია, ის მაინც პრიორიტეტს ანიჭებს „ბუნებრივ მდგომარეობას“, უფრო მეტიც, კაცობრიობას მიუწოდებს: „უკან ბუნებისკენ“. ფრანგი ფილოსოფოსისთვის თვით ყველაზე უკეთესი სოც.-პოლიტიკური წყობაც კი მონობის დაკანონებაა ... ის თავის კონვენციონალურ თეორიას არ მიიჩნევს ინდივიდსა და საზოგადოებას შორის პრობლემათა ბოლომდე გადაწყვეტის საშუალებად, არამედ როგორც თავად აღნიშნავს, საზოგადოებრივ ხელშეკრულობას შეუძლია მხოლოდ ლეგიტიმური სტატუსი მიანიჭოს იმ ფაქტს, რომ ამ ქვეყნად „თავისუფალ არსებად შობილნი ყველგან ბორკილებით გვხვდებიან და მონებად კვდებიან“[1]. უფრო ფუნდამენტურ ამოცანათა გადაწყვეტაზე რუსო პრეტენზიას არ აცხადებს.

მიუხედავად მთელი რიგი შინაგანი წინააღმდეგობისა, არაერთი ალოგიკურობისა (დაწყებული სუვერენისა და ინდივიდის ურთიერთმიმართებიდან დამთავრებული თავად სამოქალაქო საზოგადოების არაერთმნიშვნელოვან დეფინი-ციებამდე) ფრანგი ფილოსოფოსის კონტრაქტული თეორია არა მარტო კონტრაქტარიანიზმის ისტორიაში, არამედ მთელ პოლიტიკურ ფილოსოფიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თეორიას წარმოადგენს... რუსოს ყველაზე დიდ პოპულარულობა სწორედ საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიამ მოუტანა.

[1] რუსო, ,,საზოგადოებრივი ხელშეკრულება”, გვ. 185.

$5 იმანუელ კანტის საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია

კლასიკური კონტრაქტარიანიზმის უკანასკნელი წარმომადგენელი გახლავთ იმ.კანტი.

კანტის კონვენციონალურ თეორიაში შეიძლება გამოვყოთ საზოგადოებრივი ხელშეკრულების გაგების ორი სხვადსხვა ასპექტი: პირველი აგრძელებს იმ ტრადიციულ ინტერპრეტაციას, რომელსაც გვთავაზობენ ჰობსი, ლოკი და რუსო, ხოლო მეორე წარმოადგენს თავად კანტის ორიგინალურ ხედვას, რომელსაც ის გვთავაზობს თავის ცნობილ ნაშრომებში: „პრაქტიკული გონების კრიტიკა“ და „ზნეობის მეტაფიზიკის საფუძვლები“.

გერმანელი ფილოსოფოსის ორიგინალურმა იდეებმა კონტრაქტარიანიზმში საფუძველი დაუდო მიმართულებას, რომელსაც როლსმა მოგვიანებით „კანტისეული კონსტრუქტივიზმი“ უწოდა. იმისთვის, რომ ამ იდეათა არსს ვწვდეთ, ჯერ კანტის კონვენციონალური კონცეფციის „კლასიკური ელემენტები“ უნდა განვიხილოთ.

ნაშრომებში „ზნეობის მეტაფიზიკა“ და „მარადიული მშვიდობისათვის“ გერმანელი ფილოსოფოსი განიხილავს რა სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს, ტრადიციულად ბუნებრივ და პოლიტიკურ მდგომარეობათა დაპირისპირების სქემას იყენებს. მისი მტკიცებით, სახელმწიფოს საფუძველმდებელი პირველი ხელშეკრულება, რომელზედაც კონტრაქტული თეორიის კლასიკოსი ავტორები საუბრობენ, ბუნებრივი მდგომარეობის აუცილებელი შედეგი იყო. ინდივიდთა გადაწყვეტილება, თითოეულ მათგანს ეკისრა გარკვეული ვალდებულებები და შეექმნათ მტკიცე ერთობა, აპრიორულად წინასწარგანსაზღვრულიყო. იგი უწინარესად განაპირობა იმ უამრავმა საფრთხემ, რომელიც ბუნებით მდგომარეობაში ემუქრება თითოეულ ინდივიდს.

კანტი იყენებს ბუნებრივი მდგომარეობის აღწერის სხვადასხვა ვარიანტს. მაგალითად, ტრაქტატში „მარადიული მშვიდობისათვის“ ის წერს: „ომი არის სამწუხარო იძულებითი საშუალება ბუნებრივ მდგომარეობაში (მაშინ, როდესაც არ არსებობს არავითარი საშუამავლო ინსტანცია სასამართლოს სახით, რომელიც გამოიტანდა მხარეებისთვის სავალდებულო განაჩენს), რათა ძალით განმტკიცდეს ამა

თუ იმ მხარის უფლებები მაშინ როდესაც არც ერთი მოდავე მხარეა მართალი”[1]. ამ მდგომარეობის მთავარი მახასიათებელი, აღნიშნავს კანტი, არა მხოლოდ სუვერენის არარსებობაა, რომელიც ცალკეულ აქტორთა თვითნებობას აღკვეთდა, არამედ ინდივიდსახელმწიფოებს შორის ცხადი თუ ფარული მუდმივი მტრობა; „ადამიანთა მშვიდობიანი ცხოვრება, ადამიანებისა, რომლებიც ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ, არ არის მათი ყოფის ბუნებრივი მდგომარეობა; ბუნებრივი მდგომარეობა, პირიქით, ომს გულისხმობს, თუ მუდმივად გაგრძელებულ ომს არა, ყოველ შემთხვევაში ომის მუდმივ მუქარას მაინც”[2].

კანტის მტკიცებით, დამოუკიდებელი სახელმწიფოები ერთმანეთთან ურთიერთობებში ბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფებიან, ჰობსისეულ ბუნებით მდგომარეობაში. ამ აზრ-გაგებით, ისინი იგივეობრივია ინდივიდებისა, რომლებიც არავის ექვემდებარებიან.

თუ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაზე მსჯელობისას გერმანელი ფილოსოფოსი ბუნებრივი მდგომარეობის ჰობსისეულ აღწერას იყენებს, როცა ის უკვე ზოგადად სახელმწიფოსა და სამართლის საკითხს იკვლევს, „ბუნებითი მდგომარეობა“ მასთან ინტერპრეტირდება ტერმინებით, რომლებიც ახლოსაა ლოკისეულ ტრაქტოვკასთან. მისი მტკიცებით ბუნებრივ მდგომარეობას უპირისპირდება არა საზოგადოებრივი, არამედ სამოქალაქო მდგომარეობა. ბუნებით მდგომარეობაში შეიძლება არსებობდესო საზოგადოება, მაგრამ არა სამოქალაქო. ამიტომაც სამართალი ბუნებრივ მდგომარეობაში იწოდება კერძო სამართლად. კანტი ამტკიცებს, რომ არსებობს აპრიორული კანონი, რომლის თანახმადაც „ინდივიდი ყველა სხვა ინდივიდთან გარდაუვალი თანაარსებობისას ბუნებითი მდგომარეობიდან უნდა გადავიდეს სამართლებრივ მდგომარეობაში”[3]. ფილოსოფოსს სამოქალაქო მდგომარებაზე გადასვლის სასარგებლოდ მოჰყავს პრაქტიკულად იგივე არგუმენტები, რაც-ლოკს: „მართალია საზოგადოება შეიძლება არსებობდეს სახელმწიფოს გარეშე, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში ვერასოდეს იქნება

[1] კანტი, „მარადიული მშვიდობისთვის“, 56 გვ.
[2] კანტი, ,,მარადიული მშვიდობისთვის”, 61 გვ.
[3] კანტი, ,,ზნეობის მეტაფიზიკა”, 104 გვ.

უზრუნველყოფილი ცალკეულ პირთა, ხალხთა და სახელმწიფოთა დაცვა ერთმანეთის მიმართ ძალადობისგან”[1].

საბოლოოდ კანტი ასკვნის, რომ აქტი, რომლითაც ხალხი თავად ქმნის სახელმწიფოს, არის თავდაპირველი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც „თითოეული ინდივიდი უარის აცხადებს თავის გარეგან თავისუფლებაზე, რათა ეს თავისუფლება მიღოს უკვე როგორც დიდ ერთობის წევრებმა, როგორც სახელმწიფოს მოქალაქეებმა”[2].

ამ მსჯელობებისას კანტი არავითარ ნოვატორულ აზრ-იდეას არ გვთავაზობს, ის წარმოგვიდგება, როგორც კლასიკური კონტრაქტარიანიზმის ტიპიური წარმომადგენელი ,მაგრამ მის პოლიტიკურ ფილოსოფიაში შეიძლება აღმოვაჩინოთ საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის სხვა ვერსიაც, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული მიდგომისგან. ერთ-ერთი მთავარი განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მოდელი ჰიპოთეტურია. რეალურობა საწყისი ხელშეკრულებისა კანტს არ სწამს“. ის მკაცრად აკრიტიკებს რუსოს მიერ პირველყოფილი ადამიანის რომანტიზებას; მისი მტკიცებით, პირველყოფილთ არ შეეძლოთ პოლიტიკურ ინსტიტუტთა შექმნა, ველურთა ცხოვრების სტილი უფრო იმას მოწმობს, რომ მათი კოლექტიური ცხოვრება იწყებაო ძალადობიდან...

კანტი ქმნის ხელშეკრულების აბსტრაქტულ მოდელს, როგორც პოლიტიკურ სოციალურ ინსტიტუტთა ლეგიტიმურობის ბაზისურ კრიტერიუმს, ფილოსოფოსი-სვე სიტყვებით, რომ ვთქვათ, როგორც სასინჯ ქვას ნებისმიერი კანონის სამართლებრივობისა. ყოველი დადგენილება-გადაწყვეტილების მიმართ, აღნიშნავს კანტი უნდა იქნას დასმული კითხვა: შესაძლოა თუ არა ამ გადაწყვეტილებას დათანხმდეს ყოველი ცალკეული მოქალაქე? მხოლოდ დადებითი პასუხი შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მოცემული დადგენილება ლეგიტიმურად...

...“ჩვენი გარეგანი (სამართლებრივი თავისუფლების დეფინიცია უნდა ჟღერდეს შემდეგნაირად: სამართლებრივი თავისუფლება არის უფლებამოსილება არ

[1] კანტი, ,,ზნეობის მეტაფიზიკა”, 87 გვ.
[2] კანტი, ,,ზნეობის მეტაფიზიკა”, 89 გვ.

დაემორჩილო არავითარი გარეგან კანონებს, გარდა იმ გარეგანი კანონებისა, რომლებსაც თავად დათანხმდებოდი”[1] – წერს ფილოსოფოსი.

ამ მსჯელობებიდან ნათლად ჩანს, რომ „შეთანხმების“ კანტისეული მოდელი სრულიად არ საჭიროებს ინდივიდთა ასამბლეას ხელშეკრულების დადების მიზნით. ეს აქტი ფაქტობრივად ხდება ინდივიდის ცნობიერებაში, როდესაც „მორალური (რაციონალური) სუბიექტი“ სვამს კითხვას კონკრეტული პოლიტიკური წესრიგის ლეგიტიმურობის შესახებ. ზემოთმოყვანილ ციტატაში აგრეთვე ცხადად იკვეთება „შეთანხმების თეორის“ კანტისეული ვერსიის მეორე სპეციფიკური ნიშანიც: სამართლებრივ თავისუფლების კანტისეული გაგება მკვეთრად უპირისპირდება მის ტრადიციულ განსაზღვრებას: შეგიძლია აკეთო ყველაფერი ის, რაც არ არღვევს სხვის უფლებებს. კანტისთვის ინდივიდუალური თავისუფლება ნიშნავს მორალური კანონის დაცვას. მისი „მორალური სუბიექტი“ კი არ ჰგავს იმ რაციონალურ სუბიექტს, რომლისთვისაც უპირველესია კეთილდღეობა (სუბიექტს, რომელზედაც საუბრობენ საზოგად. ხელშეკრულების თეორის სხვა ავტორები). კანტი მკვეთრად უპირისპირდება კლასიკური კონტრაქტარიანიზმის ბაზისურ დაშვებას ე.წ. რაციონალურ ეგოიზმს... აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ზოგადად, გერმანელი ფილოსოფოსის პოლიტიკური ფილოსოფიის ყველა ძირითადი პრინციპი დედუცირებულია მისი მორალის თეორიიდან „რა არის მორალი?“ - ეს არის პირველი კითხვა, რომლითაც ის პოლიტიკურ საკითხთა კვლევას იწყებს. კანტის ეთიკა კი, როგორც მოგეხსენებათ, წმინდად ფორმალისტურია, დეონტოლოგიური, სადაც ცენტრალურ ადგილს იკავებს ,,მოვალეობის” ცნება. აქ „მოვალეობა“ ეხება არა გრძნობიერებას, არა ემპირიულს, არამედ გონებას. ადამიანს უფრო მაღალი დანიშნულება აქვსო, ვიდრე კმაყოფილებისა და სიამოვნების მიღწევაა; მისი არც ერთი თვისება, არც ერთი მოქმედება არ იქნება მორალური, თუ ის არ არის განსაზღვრული კეთილი ნებისყოფით, ნებისყოფა კი კეთილია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვალეობა შესრულებულია თვითონ მოვალეობის გამო. სწორედ ამიტომაცაა მორალური კანონი საყოველთაო და აუცილებელი[2]...

ასეთია ზოგადად მორალის კანტისეული გაგება, სწორედ ამ გაგებას აფუძნებს ის თავის კონვენციონალურ თეორიას და ზოგადად, თავის პოლიტიკურ

[1] კანტი, ,,მარადიული მშვიდობისთვის”, 6გვ.
[2] კანტი, ,,პრაქტიკული გონების კრიტიკა”

ფილოსოფიას. კანტის კონვენციონალური კონცეფციის ამოსავალი ცნებაა „მორალური სუბიექტი“ (მოქალაქე). იდეალური პოლიტიკური წყობა აქ განიაზრება, როგორც შედეგი თავისუფალ (მორალურ) და რაციონალურ ინდივიდთა არჩევანისა და როგორც სამოქალაქო საზოგადოების უნივერსალურ იდეათა განხორციელება, რომელიც შეიძლება იყოსო სწორედ „ერთგვარი ხიდი ისტორიასა და ზნეობას შორის”[1]. კონტრაქტარიანიზმის ისტორიაში გერმანელმა ფილოსოფისმა თავისი ადგილი დაიმკვიდრა სწორედ იმის წყალობთ, რომ მან კონტრაქტის თეორიაში კონსტრუქტივისტული მიდგომა შემოიტანა... აბსტრაქციის მაღალ დონეზე ინდივიდები ირჩევენ პოლიტიკური მოწყობის ფორმას, ერთად ცხოვრების წესებს... ჰიპოთეკური ხელშეკრულების სახით ისინი თავიანთ თავს უდგენენ საყოველთაო და აუცილებელ კანონებს. ჰიპოთეტური ხელშეკრულება, რომელსაც კანტი გვთავაზობს პოლიტიკურ ინსტიტუტთა ლეგიტიმურობის კრიტერიუმად, მოდიფიცირებული კატეგორიული იმპერატივია, მისი გარკვეული ნაირსახეობა („კატეგორიულ იმპერატივსა“ და „ჰიპოთეტურ ხელშეკრულებას“ შორის მთავარი განსხვავებას ქმნის ის, რომ ეს უკანასნელი უფრო დიდ სივრცეს ტოვებს ინდივიდუალურობის გამოვლენისთვის. აქაც „მორალური“ პირველ ადგილზე რჩება. მაგრამ ამ შემთხვევაში კანტი „მოქალაქეს“ არ (და ვერ) უყენებს იმდენად მკაცრ ნორმატიულ მოთხოვნებს...) თავად პოლიტიკური ბუნებიდან გამომდინარე.

...ჩვენთვის ყველაზე საინტერესო გერმანელი ფილოსოფოსის თეორიაში გახლავთ მისი იდეა იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი ხელშეკრულება, თვით ყველაზე აბსტრაქტული ხასიათის მქონე, შეიძლება სრულიად კონკრეტულად იქნეს გამოყენებული პოლიტიკურ-ფილოსოფიურ არგუმენტაციებში. კანტის ეს იდეა თანამედროვე კონტრაქტარიანიზმის ერთ-ერთ მთავარ იდეად იქცა...

...გერმანელი ფილოსოფოსით, შეიძლება ვთქვათ, რომ სრულდება კლასიკური კოტრაქტარიანიზმის ისტორია, რის შემდეგაც იწყება ამ კონცეფციის დიდი კრიზისის პერიოდი.

* *

[1] კანტი ,,ზნეობის მეტაფიზიკის საფუძვლები”, 96 გვ.

მიუხედავად მთელი რიგი განსხვავებებისა, რომლებიც არსებობს კლასიკური კონტრაქტულ თეორიებს შორის, მათში შეიძლება გამოვყოთ საერთო მომენტები, რომელნიც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ მათზე, როგორც პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრის კონცეპტუალურად ერთ მთლიან მიმართულებაზე:

1) ადამიანური ყოფის არაპოლიტიკურ (ბუნებრივ) და პოლიტიკურ განზომილებათა დაპირისპირება.
2) შეთანხმების იდეის წარმოდგენა, როგორც ამა თუ იმ პოლიტიკური წყობის ლეგიტიმაციის საშუალება.
3) ინდივიდუალისტური ორიენტაცია. აქ ინდივიდი, ადამიანი, განიაზრება, როგორც უმაღლესი ღირებულება.
4) იდეა, რომლის თანახმადაც ბუნებრივი მდგომარეობიდან პოლიტიკურ მდგომარეობაზე გადასვლა წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების ერთადერთ შესაძლებელ გზას.
5) ინსტრუმენტალისტური ხასიათი. კლასიკოს ავტორთა მიერ ინდივიდის კონცეფციები გამოიყენება თავიანთი პოლიტიკური პროექტების ადეკვატურობის დასამტკიცებლად რაციონალური არჩევნის თვალსაზრისით.

§6 საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის იდეათა კრიზისი

როგორიც უკვე აღნიშნეთ, კლასიკური კონტრაქტარიანიზმის წარმოშობის უმთავრეს წინაპირობად იქცევა მე-16-17 საუკუნებში ისეთ ფილოსოფიურ ხედვათა განვითარება, როგორიცაა ინდივიდუალიზმი (მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი) და ინსტუმენტალიზმი (ე.წ. პრაქტიკული რაციონალიზმი)...

„ინდივიდუალიზმის“ ცნება იმ დროის პოლიტიკური თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთ ამოსავალ ცნებად იქცა. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ კი ვითარება იცვლება, როცა იწყება ე.წ. „ინტელექტუალური რეაქცია“, რასაც მოჰყვება, ერთი მხრივ, ანტირაციონალისტურ შეხედულებათა გაძლიერება, ხოლო მეორე მხრივ-ჰოლისტური იდეების გავრცელება. პოლიტიკურ ფილოსოფიაში წინა პლანზე გამოდის ისეთი ცნებები, როგორიცა „კლასი“, „ნაცია“, „კაცობრიობა“... ჰოლისტური დოქტრინები მწვავედ უპირისპირდება მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ თეორიებს. ამ დაპირისპირების ცენტრში აღმოჩნდება კონტრაქტული თეორიები. თუმცა იმ ავტორთა არგუმენტაციები რომლებიც ჰოლიზმის პოზიციაზე იდგნენ, სუსტი და არადამაჯერებელი იყო (ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რ.ფილმერისა და ლოკის პოლემიკა). ამიტომაც ისინი იმ დროის პოლიტიკურ-ფილოსოფიური დისკუსიათა მთავარ აქტორებად ვერ იქცნენ. მაგრამ ვითარება იცვლება უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, როცა იწყება ჰილიზმის ნამდვილი ტრიუმფი, რაშიც განსაკუთრებული როლი ითამაშა ჰეგელის ფილოსოფიამ. ჰეგელისთვის ყოვლის განმსაზღვრული „მთელია“. მისი აზრით, როგორც აზროვნებაა გრძნობადი მრავალსახეობის დაქვემდებარება ცნებისადმი, ისე არსებობა, ცალკეულ, ერთეულ საგანთა დაქვემდებარებაა მთელისადმი... მხოლოდ „მთელია“ არსებობის მომნიჭებელი, ერთეული საგანი არსებობს მხოლოდ მთელის მიმართ, თავისთავად კი ის არარაობაა. ამასთან, ,,მთელი” არსებობს მხოლოდ ცალკეულ საგნებში და არავითარ შემთხვევაში მათ გარეთ. ამ აზრით, იგი კონკრეტულია, რაც ისტორიულად ხორციელდება. ესაა ჰეგელის ფილოსოფიის მეტაფიზიკური ამოსავალი და ეს განსაზღვრავს მის პოლიტიკურ-ფილოსოფიასაც. ...გერმანელი ფილოსოფოსისთვის სახელმწიფოს სიდიადე ისაა, რომ იგი ადამიანის ცხოვრებაში ამკვიდრებს საყოველთაოსადმი, მთელისადმი ნაწილის მსახურებას,

რითაც ხორციელდებაო აბსოლუტური სულის ისტორიული თვითშემეცნება; ის მსოფლიო გონის თვითშემეცნების აუცილებელი შედეგია და ვერ ექნება ისეთი უმყარი საფუძველი, როგორიცაა კერძო პირთა თვითნებური შეთანხმება „სახელმწიფო, აცხადებს ჰეგელი, ვერ დაეფუძნება ხელშეკრულებით ურთიერთობებს, არამედ იგი იმგვარი ზნეობრივი მთლიანობაა, რასაც საფუძვლად ურთიერთთანაგრძობა საყოველთაო ალტრუიზმი უდევს”[1].

ჰეგელისეულ პოლიტიაში თავისუფლება სუფევს ამ ცნების კომუნიტარისტული გაგებით.

ვხედავთ, თუ რაოდენ განსხვავდება გერმანელი ფილოსოფოსის თვალსაზრისი საზოგადოებრივ ხელშეკრულების კლასიკოს ავტორთა, განსაკუთრებით მის ინგლისელ ავტორთა ხედვისგან, სადაც სახელმწიფოს შექმნა სრულიად პრაგმატული მოტივებითაა ახსნილი. ჰეგელისთვის ეს უწინარესად ზნეობრივი აქტია, რომელიც უპირობოდ მაღლა დგას ცალკეული ადამიანის კეთილდღეობასა და თავისუფლებაზე. კანტისთვისაც სახელმწიფოს შექმნა ზნეობრივი აქტია, ხელშეკრულება იქმნება მორალური სუბიექტების მიერ, მაგრამ თუ მისთვის სახელმწიფო პირველ რიგში საშუალებაა ხოლო- პიროვნება მიზანი,ჰეგელისთვის პირიქით, სახელმწიფო მიზანია, ხოლო პიროვნება საშუალება.

კონტრაქტარიანიზმის წინააღმდეგ გამოდის ასევე მე-19 საუკუნის ისეთი უდიდესი პოლიტიკური მოაზროვნე, როგორიცაა კარლ მარქსი. მართალია ის თავის შრომებში დიდ ადგილს არ უთმობს საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის კლასიკოს ავტორთა ნაშრომების განხილვას მაგრამ აქტიურად აკრიტიკებს სმიტისა და რიკარდოს ლიბერალურ ეკონომიკურ თეორიასა და მის თანამედროვე კონსტიტუციურ მონარქიებს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად სწორედ კონტრაქტარიანიზმის ძირითად პრინციპებზეა აგებული.

პირველი, მარქსი არ იზიარებს საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიებში განვითარებულ ინდივიდუალიზმის იდეებს, იგი თვლის, რომ მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი კაპიტალისტური იდელოგიის პირმშოა. „ატომისტური ინდივიდი“, როგორც შეთანხმების სრულუფლებიანი მხარე, მისთვის მხოლოდ იდეოლოგიური ფიქციაა და მეტი არაფერი. „მე-18 საუკუნის მოაზროვნეებმა, წერს ის

[1] ჰეგელი, ,,სამართლის ფილოსოფია”, 75 გვ.

თავის „პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლებში“, ეს ინდივიდუუმი, პროდუქტი ერთი მხრივ ფეოდალურ საზოგადოებრივ ფორმათა გახრწნისა, ხოლო მეორე მხრივ მე-16 საუკუნის დასაწყისიდან ახალ საწარმოო ძალთა განვითარებისა, წარმოადგინეს იდეალად , წარმოადგინეს არა როგორც შედეგი ისტორიისა, არამედ მის საწყისად, რადგან მათი მსოფლგაგებით, ადამიანური ბუნება, არა თუ ისტორიული, არამედ თავად ბუნების მოცემულობაა ეს შეცდომა დღემდე მძიმედ ტვირთად აწევს კაცობრიობას“[1].

მეორე, მარქსი ფიქრობს, რომ საზოგადოებაში, რომელიც ეფუძნება ფორმალურად ლიბერალური თავისუფლების პრინციპებს, მოქალაქეთა უმრავლესობა მხოლოდ შეზღუდულ ფაქტიურ თავისუფლებას ფლობს. ის საზოგადოება, სადაც ადამიანთა უმრავლესობა ღარიბ-ღატაკია, ექსპლუატირებული, ბატონობს მხოლოდ ტოტალური გაუცხოება. მათ არაფერი აქვთ დასაკარგი, გარდა საკუთარი ბორკილებისა. მარქსი უპირველეს მიზნად კაცობრიობას თავისუფლებას უსახავს, მაგრამ თავისუფლების ლიბერალური გაგება მისთვის სრულიად მიუღებელია...

მესამე, მარქსის მტკიცებით, პოლიტიკის მთავარი სუბიექტებია არა თუ ცალკეული ინდივიდები, არამედ დიდ სოციალური ჯგუფები: კლასები. სახელმწიფო, როგორც უმთავრესი პოლიტიკური ინსტიტუტი, არა თუ უსაფრთხოების დაცვის არამედ ძალადობის ინსტრუმენტია გაბატონებული კლასის ხელში მისი საფუძველმდებელი არისო ძალადობა და არა შეთანხმება. საკითხს პოლიტიკური წესრიგის ლეგიტიმაციის აუცილებლობაზე, რომელიც საზოგადოებრივი ხელშეკრულების კლასიკოს ავტორთათვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს, მარქსისთვის არავითარი აზრი არ აქვს, რადგან მისი მტკიცებით: სახელმწიფო საბოლოოდ უნდა მოკვდეს!!! მარქსის არგუმენტაციათა საფუძველზე საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიას აკრიტიკებს მე-19-20 საუკუნეების მემარცხენე ფილოსოფოსთა უმრავლესობა. ლიბერალურ იდეოლოგიასთან მჭიდრო კავშირის გამო, იგი მწვავე კრიტიკის საგანი ხდება არა მხოლოდ სოციალისტებისა, არამედ კონსერვატორიზმის ისეთ წარმომადგენელთა, როგორებიცაა, ბერკი, დე მესტრა, ბონალდი და სხვა მრავალი ავტორი, რომლებიც

[1] კ. მარქსი, ,,პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები”, 87 გვ.

იზიარებენ ჰოლისტურ მსოფლმხედველობას, რომელთათვისაც სახელმწიფო ყოველთაზე აღმატებულია.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიას უპირისპირდება სხვა ჰოლისტური მიმართულებაც, წარმოდგენილი ნაციონალურს მოძრაობათა სახით, მათი მტკიცებით, ინდივიდუალური „მე“ ემანაციაა თავად ერის სულისა... რომ კოლექტიური ნება აღემატება ყოველი ცალკეული ინდივიდის ნებას. ჰოლისტური ინტენცია იმპლიციტურიად მოცემულია თვით ჯ.ბენტამის და ჯ.ს. მილის ნაშრომებშიც, რომლებმაც ჩამოაყალიბეს საერთო სარგებლის მაქსიმიზაციის პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო უტილიტარიზმს, კონტრაქტარიანიზმზე დაპირისპირებულ ერთ-ერთ მთავარ ძალას. ამ პრინციპის თანახმად, პოლიტიკური მოქმედების შეფასების ძირითადი კრიტერიუმი არის ეფექტი, რომელსაც ის იწვევს საზოგადოების კეთილდღეობის საშუალო დონეზე. ცალკეულ მოქალაქეთა და საერთო ინტერესთა დაპირისპირების შემთხვევაში კი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს უკანასკნელს.

რასაკვირველია, მე-19 საუკუნის აზროვნების ისტორიაში გვხვდება ინდივიდუალიზმის ცალკეული საჩინო წარმომადგენელინი: შტირნერი, პრიუდონი, სპენსერი... მაგრამ აქ მთავარი აქტორი მაინც კარლ მარქსი იყო, ხოლო მთავარი სპექტაკლი-რევოლუცია, თავისი უნივერსალური ფასეულობებით. წამყვან პოზიციას იკავებს კლასობრივი თემა და ნაციონალური იდენტორბის საკითხი (სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება თანამედროვე ევროპული ნაციები). წინა პლანზე წამოიწევს ე.წ. პროგრესული და უტოპიური იდეებიც, იქმნება მთელი რიგი უტოპიური თეორიები საზოგადოების სოციალური-პოლიტიკური მოწყობის შესახებ (სენ-სიმონი, ფურიე, მარქსი...)

პოპულარულობა დაკარგა რაციონალიზმის იმ ფორმამაც, რომელიც ასოცირდება ხელშეკრულების თეორიასთან. ერთ მხრივ ჯ. ბენტამი ხოლო მეორე მხრივ ა.სმიტი ამუშავებენ ახალ კონცეფციას, რომელიც მოგვიანებით ცნობილი გახდება რაციონალური არჩევანის თეორიის სახელით. მაგრამ იმ დროისთვის იგი ვერ ხდება ადამიანური ბუნების დომინანტური კონცეფციად პოლიტიკურ ფილოსოფიაში.

მე-20 საუკუნის შუა წლებში, წინა საუკუნის სოციალური-პოლიტიკური იდეალთა მსხვრევის შემდეგ, როცა სრულიად ცხადი ხდება უნივერსალურ იდეათა, ეტატიზმისა და სხვა ანტიინდივიდუალურ მსოფლგაგებათა დესტრუქციული პოტენციალი, სოციალური თეორია განვითარების პრინციპულად ახალ დონეს აღწევს. სწორედ სოციალური მეცნიერებათა მეთოდოლოგიის ახალმა მიღწევებმა და თავად პოლიტიკური ფილოსოფიის კრიზისმა გადამწყვეტი როლი ითამაშა კონტრაქტარიანიზმის კვლავ აღორძინებაში.

თავი II. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თანამედროვე თემები

§1. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის იდეათა აღორძინება 1950-1960-იან წლებში.

მე-20 საუკუნის შუა ხანებში პოლიტიკური ფილოსოფია ღრმა კრიზისს განიცდის იგი რამდენიმე ცალკეული, ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი სკოლისგან შედგება. 50-60-იან წლებშიც კი, როცა იქმნება არაერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური-ფილოსოფიური ნაშრომი, პოლიტიკურ ფილოსოფიას ვერ განვიხილავთ, როგორც ერთიან, სრულფასოვან ფილოსოფიურ მიმდინარეობას. ამასთან, თანამედროვე პოზიტივიზმი უარს ამბობს პოლიტიკურ ფილოსოფიაზე, რამდენადაც მას არამეცნიერულად თვლის. პოზიტივისტთა მტკიცებით, ნორმატიული ხასიათის მსჯელობები არც ერთ კატეგორიას არ უნდა მიეკუთვნებოდეს; მათი დასაბუთება ფაქტების მეშვეობით შეუძლებელია და არც ანალიტიკურ ჭეშმარიტებას შეიცავენ . პოლიტიკური ფილოსოფია ფსევდოცოდნის მატარებლად გამოცხადდა.

ყველა ამ მიზეზთა გამო იწყება ახალი გზების ძიება პოლიტიკურ-ფილოსოფიურ პრობლემათა გადასაწყვეტად. ვიდრე პოლიტიკური ფილოსოფია ევოლუციონირდებოდა მის ცალკეულ სკოლათა ფარგლებში, მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული სოციალური მეცნიერებათა მეთოდოლოგიაში. ადამიანის ქცევის ანალიზის ზუსტ მეთოდთა შემუშავების საჭიროებამ, რაც დიდწილად გამოიწვია მეორე მსოფლიო ომმა (ეს საჭიროება შენარჩუნებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც) ხელი შეუწყო ისეთ თეორიათა განვითარებას, როგორიცაა „რაციონალური არჩევანის“, ,,საზოგადოებრივი არჩევანისა” და ,,თამაშების თეორიები”. სწორედ ეს თეორიები იქცა თანამედროვე კონტრაქტარიანიზმის საფუძველმდებელ თეორიებად. 50-იანი წლებიდან „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ კვლავ პოპულარულ იდეად იქცა. ამ პერიოდში უკვე ჩამოყალიბებული იყო ყველა ის ძირითადი კონცეფცია და მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებიც შემდგომ საფუძვლად დაედო ყველაზე ცნობილ საზოგადოებრივი ხელშეკრულების თანამედროვე კონცეფციებს: 1950 წელს გამოქვეყნდა ჯ. ერროუს სტატია, რომელშიც პირველად იქნა გამოყენებული

თანამედროვე ეკონომიკური ანალიზის მეთოდები ხმის მიცემის პროცესის შესწავლისთვის; 1951 წელს გამოდის ერროუს დისერტაცია, რომელშიც ეს იდეა დაწვრილებით იქნა განხილული; 1953-1954 წლებში ქვეყნდება ჯ. ხარსანის სტატიები, რომლებშიც ავტორს შემოაქვს ცნებები „ამოსავალი მდგომარეობა“ და „უცოდინრობის ფარდა”, რომლებიც თანამედროვე კონტრაქტულ თეორიათა ბაზისურ ცნებებად იქცევა. 1954 წელს ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი რ.ბრეიტუეტი გამოდის საჯარო ლექციით„ თამაშების თეორია, როგორც ინსტრუმენტი მორალის ფილოსოფიისა“, რომელშიც მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელბიც დაკავშირებულია სამართლიანობის საკითხებთან, შეიძლება ფორმულირებულ იქნას არაკოოპერატიული თამაშების თეორიის ტერმინებით. ბრეიტუეიტის ეს იდეა საზოგადოებრივი ხელშ. თანამედროვე თეორიათა ერთ-ერთ წამყვან იდეად იქცა; უკვე 1957-1958 წლებში ჯ. როლსი აქვეყნებს თავის ,,სამართლიანობის ძირითადი პრინციპები” (ეს ნაშრომი გახლდათ ერთგვარი შესავალი მისი „სამართლიანობის თეორიისა“). და ბოლოს 1965 წ. გამოდის ამერიკელი ეკონომისტისა და პოლიტიკოსის ბ.ბერრის წიგნი „პოლიტიკური არგუმენტაცია“, სადაც მოცემულია პირველი მეცნიერული მცდელობა ეკონომიკური მეთოდოლოგიის გამოყენებისა პოლიტიკის ნორმატიული ანალიზისას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანტის შემდეგ საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის იდეები თანდათან მივიწყებულ იქნა. თითქმის 170 წლის მანძილზე ამ მიმართულებით არ შექმნილა არც ერთი ფუნდამენტური ნაშრომი და აი, 1962 წელს გამოდის ცნობილი ამერიკელი ეკონომისტების ჯ.ბიუკენანისა და გ. ტალოკის წიგნი: „კონსტიტუციური დემოკრატიის ლოგიკური საფუძვლები“, რომლითაც ფაქტობრივად სრულდება კონტრაქტარიანიზმის 170-წლიანი კრიზისი. კანტის შემდეგ ტალოკი და ბიუკენანი იყვნენ პირველები, რომელთაც ჩამოუყალიბეს სრულფასოვანი კონვენციონალური კონცეფცია. საზოგადოების სოც-პოლიტიკური მოწყობის მოდელი, რომელიც მასშია გადმოცემული, საკმაოდ მარტივია: ავტორები აქცენტს აკეთებენ იმაზე, თუ როგორ შეიძლება იქნეს ორგანიზებული ის პოლიტიკური საზოგადოება, რომელიც ეფუძვნება ხელშეკრულებას. ისინი აღწერენ რამდენიმე სახელმწიფომდელ მდგომარეობას, რომელშიც რაციონალური ინდივიდე-

ბი ცდილობენ განსაზღვრონ სოციალურ ურთიერთობათა მარეგულირებელი წესები ანუ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, შექმნან პოლიტიკური სოციაცია. ასეთი ასოციაცია კი, როგორც წესი, იგება შემდეგი სქემით: თავდაპირველად განისაზღვრება ძირითადი წესები, რომლებიც განსაზღვრავენ ასოციაციის ინსტიტუციონალურ სტრუქტურას. ამ ეტაპზე უმთავრესია ყოველდღიურ გადაწყვეტილებათა მიღების პრინციპის დადგენა. წინასწარ დადგენილ ძირითად წესებზე იგება ნებისმიერი პოლიტიკური ასოციაცია.

ბიუკენენისა და ტალოკის მტკიცებით, ძირითად (კონსტიტუციური) წესთა არჩევისას აუცილებელია გამოვიყენოთ ე.წ. „ერთხმივობის პრინციპი“. უდავოა რომ ყოველი პოლიტიკური ასოციაცია უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდთა შორის საერთო შეთანხმებას; კონვენცია, რომელიც ამა თუ იმ პოლიტიკური ასოციაციის საფუძველში დევს, მიღებულ უნდა იყოს ამ ასოციაციის თითოეული წევრის მიერ, მაგრამ უკვე დაფუძნებულ ასოციაციაში მთავარ საკითხთა გადასაწყვეტად უფრო ადეკვატური იქნება „აბსოლუტური უმრავლესობის წესის“ გამოყენება. ბიუკანანი და ტალოკი ამ თეზისს ასაბუთებენ რაციონალური ინდივიდ-ამომრჩევლის კონცეფციის დახმარებით. ამ ინდივიდისთვის მისთვის საჭირბოროტო პრობლემათა გადაწყვეტისთვის, ამტკიცებენ ისინი, „აბსოლუტური უმრავლესობის წესის„ გამოყენება მაქსიმალურად საუკეთესო გამოსავალია ხმის მიცემის ნებისმიერ სხვა შესაძლო წესთან შედარებით, რადგან ამ შემთხვევაში ინდივიდის „ხარჯი“ ყველაზე მინიმალურია. ,,აბსოლუტური უმრავლესობის წესი” საზოგადოების ე.წ. „ტრანსაქციული დანახარჯის“ ოპტიმიზაციას ახდენს.

ბიუკანანი და ტალოკი, მსგავსად კანტისა, მიიჩნევენ რომ ლეგიტიმური პოლიტიკური ინსტიტუტები მხოლოდ თავისუფალი და რაციონალური ინდივიდების გაცნობიერებული არჩევანის შედეგია და ისინიც ამ სიტუაციას განიხილავენ, როგორც წმინდად ჰიპოთეტურს მაგრამ გერმანელი ფილოსოფოსისგან განსხვავებით, მათ შეძლეს არგუმენტირებულად ეჩვენებინათ, რომ მათ მიერ შემოთავაზებული პროექტი აბსტრაქტულ სიტუაციაში ყველაზე, უკეთესი ვარიანტია; ეფუძნებიან რა გარკვეულ „გზავნილებს“ ადამიანურ ბუნებაზე, ისინი ცდილობენ ამ აბსტრაქტული არჩევანის შედეგებისდედუცირებას. შეიძლება ვთქვათ რომ ასეთი მიდგომა იყო პირველი მაგალითი პოლიტიკური აზრის ისტორიაში.

ამასთან, ტალოკისა და ბიუკენანისთვის უმნიშვნელოვანესია დაშვება იმისა, რომ ჰიპოთეტური ხელშეკრულების შედეგი შეიძლება თეორიულად წინასწარ გათვალო; შესაძლებელია გათვალო იდეალური პოლიტიკური წყობის სხვადასხვა შესაძლო ვარიანტი ადამიანური ბუნებისშესახებ სხვადასხვა კონცეფციებისთვის. იმ დროისთვის ამ იდეამ ვერ ჰპოვა გამოხმაურება პოლიტიკურ ფილოსოფოსებს შორის. ამის მიზეზი შეიძლება ის იყო, რომ ბიუკანანი და ტალოკი არ იყვნენ პოლიტიკური ფილოსოფოსები, ხოლო იმ დროისთვის დისციპლინათშორისი კავშირიჯერ კიდევ არ იყო მჭიდრო. გარდა ამისა, ავტორები შემოიფარგლებიან მხოლოდ პოლიტიკის, როგორც კოლექტიურ გადაწყვეტილებათა მიღების სფეროზე მსჯელობით, ისე, რომ პოლიტიკური ფილოსოფიის სხვა მრავალ თემას არ ეხებიან, მაგალითად არ განიხილავენ სამართლიანობის საკითხს, რაც ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკურ ფილოსოფისათვის.

მიუხედავად ყველაფრისა, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ვთქვათ, რომ ტალოკი და ბიუკენანი გახლავთ თანამედროვე კონტრაქტარიანიზმის ფუძემდებლები, მაგრამ პრესპექტივაში მათი დამსახურება ჩრდილში აღმოჩნდა და ამის უპირველესი მიზეზი გახდა პოლიტ.ფილოსოფიაში ისეთი გრანდის გამოჩენა, როგორიც გახლავთ ჯ. როლსი.

§2 ჯ. როლსის სამართლიანობის თეორია და მისი გავლენა თანამედროვე პოლიტიკურ ფილოსოფიაზე

მოცემულ თავში ჩვენ განვიხილავთ საზოგადოებრივი ხელშეკრულების თანამედროვე ინტერპრეტაციებს, ვაჩვენებთ მათ ურთიერთ მიმართებებს; ამასთან განვიხილავთ ამ კონცეფციის მიმართებას პოლიტიკური ფილოსოფიის ისეთ საკვანძო მომდინარეობებთან, როგორებიცაა: უტილიტარიზმი, რეალური მორალიზმი, კომუნიტარიზმი და სხვ.

ამერიკელ ფილოსოფოსს ჯონ როლსს ეკუთვნის თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოლიტიკური-ფილოსოფიური კონცეფცია. მისი ნაშრომით „სამართლიანობის თეორია“ პოლიტიკური ფილოსოფიის ისტორიაში განვითარების სრულიად ახალი ეტაპი იწყება.

როლსის კონცეფციას საფუძვლად უდევს “შეთანხმების იდეა“. „სამართლიანობის თეორიას“ ის განიაზრებს, როგორც კლასიკური კონტრაქტარიანიზმის მემკვიდრეს (კონვენციონალურ თეორიათაგან იგი ყველაზე ახლოს დგას კანტის კონცეფციასთან).

როლსის ერთ-ერთი მთავარი მიზანია წარმომადგენლობითი დემოკრატიის იდეას მისცეს უკეთესი დაფუძნება, ვიდრე ინგლისურენოვან სამყაროში ამას მანამდე აკეთებდა უტილიტარიზმი. ამგვარ ალტერნატივად ის სწორედ სამართლიანობის თეორიას გვთავაზობს.

შეიძლება ვთქვათ, რომ პოლიტიკური ფილოსოფიის 170-წლიანი კრიზისი როლსის მიერ კონტრაქტარიანიზმის იდეების კვლავ აღორძინებით სრულდება.

ამერიკელმა ფილოსოფოსმა დასვა კითხები, რომელთაც გვერდს ვერ უვლიდა ვერც ერთი პოლიტიკური ფილოსოფოსი. მისი მთავარი მიზანია გაარკვიოს, თუ რა პრინციპები უდევს საფუძვლად „სრულიად მოწესრიგებულ“ (well-ordered) საზოგადოებას ანუ იმ საზოგადოებას, რომელიც პასუხობს სამართლიანობის მოთხოვნებს.

... სოციალური სამართლიანობის სათავეს როლსი საზოგადოების ბაზისურ სტრუქტურაში ეძიებს, იმ წესთა ერთობლიობაში, რომლითაც ძირითადი სოციალური ინსტიტუტები ანაწილებენ ფუნდამენტურ უფლებებსა და ვალდებულებებს და აგრეთვე განსაზღვრავენ სოციალური კოოპერაციით მიღებული მოგებების დანაწილებას. ამგვარად, ბაზისური სტრუქტურა, იმთავითვე გულისხმობს საზოგადოების დიფერენციაციას უფლება-ვალდებულებების მიხედვით. მაშასადაე ის შეიცავს სოციალურ რანგირებას... სხვაგვარად, რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი ინსტიტუტები ზოგიერთ საწყის სოციალურ პოზიციას თავიდანვე უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე რომელიმე სხვას, რაც საზოგადოებრივი უთანასწორობის წყაროა. „უთანასწორობა, წერს როლსი, ყოველი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია,... ადამიანი სოციალურად დიფერენცირებულ გარემოში იბადება".[1] ფილოსოფოსის მტკიცებით, სწორედ ბაზისური სტრუქტურას უნდა მივუყენოთ სოციალური სამართლიანობის პრინციპები, რაც საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ არჩევანი, როგორც პოლიტიკურ სისტემებს შორის, ასევე მოვამზადოთ ნიადაგი, თუ ეს საჭიროდ ვცანით, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების შეცვლისთვის; სოციალური სქემის სამართლიანობა მრავალმხრივაა. იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ მიეწერება საზოგადოების სხვადასხვა ფენებს ფუნდამენტური უფლებები და ვალდებულებები.

როგორც ვხედავთ, ავტორი მკაფიოდ მიჯნავს ერთმანეთისგან „სამართლიანობასა" და „თანასწორობას". უფრო მეტიც თავისი თეორიის მთავარ ამოცანას ხედავს – აჩვენოს, რომ საზოგადოება შეიძლება იყოს უთანასწორო, მაგრამ სამართლიანი...

როლსის ნაშრომის ამოსავალი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ „სამართლიანობის ბაზისური სტრუქტურის ელემენტები საწყისი შეთანხმების ობიექტებია"[2]. კონტრაქტი აქ შეიძლება განხილულ იქნას ადამიანთა გაერთიანების ფუნდამენტში მიღწეულ შეთანხმებად, რომელსაც დებენ თავისუფალი და რაციონალური ინდივიდები, რომელთაც საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ ამოსავალი თანასწორობის მდგომარეობაში. ამ პრინციპებმა უნდა დაარეგულირონ ყველა დანარჩენი პრინციპი, როგორც სოციალური კოოპერაციის საკითხები, ასევე მმართველობის ის ფორმები, რომლებიც შეიძლება დამყარდეს საზოგადოებაში. კონტრაქტის დადება აქ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთჯერადი აქტი,

[1] ჯ. როლსი „სამართლიანობის თეორია", 95 გვ.
[2] ჯ. როლსი „სამართლიანობის თეორია", 115 გვ.

როდესაც ისინი, „ვინც ჩართულნი არიან სოციალურ კოოპერაციაში, ერთიანი ძალისხმევით შეარჩევენ პრინციპებს, რომლებიც გაწერენ ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს და განსაზღვრავენ სოციალურ უპირატესობათა დანაწილებას. ადამიანებმა თავიდანვე უნდა გადაწყვიტონ, როგორ დაარეგულირებენ თავიანთ პრეტენზიებს ერთმანეთთან და როგორი იქნება მათი საზოგადოების ერთიანი ქარტია"[1].

როგორც როლსი აღნიშნავს, მისთვის კონტრაქტულ თეორიაში „ამოსავალი თანასწორობის მდგომარეობა" იმავე როლს ასრულებს, რასაც ტრადიციულ კონტრაქტულ თეორიაში ასრულებდა „ბუნებრივი მდგომარეობა", მაგრამ ჰობსის, ლოკისა და რუსოსგან განსხვავებით, ფილოსოფოსი მკვეთრად ემიჯნება ადამიანთა ბუნებრივი მდგომარეობისთვის რეალურობის მიწერას.

ბუნებრივი მდგომარეობის რეალურობის საკითხი როლსისთვის უმნიშვნელოა. იგი კანტის პოზიციას იზიარებს, რომლისთვისაც ბუნებითი მდგომარეობა მხოლოდ ჰიპოთეზა იყო. ფილოსოფოსი კანტს ეთანხმება ამ ჰიპოთეზის მნიშვნელობის გაგებაშიც. ის ფიქრობს, რომ ბუნებით თანასწორობის მდგომარეობა არის ჰიპოთეზური დაშვება, რომელიც როგორც კვლევის ინსტრუმენტი, გაგვაგებინებს იდეალურად როგორ არის შესაძლებელი საზოგადოების საფუძველში საერთო თანხმობის მიღწევა ადამიანებს შორის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ როლსი უტოპისტია, ან, რომ ის იდეალურ სახელმწიფოზე ოცნებობს, პირიქით, მისი კვლევის მიზანი რეალურად არსებული საზოგადოებაა (ლიბერალური საზოგადოება). ავტორი არ გაურბის იმის აღიარებას, რომ სინამდვილეში ყოველ საზოგადოებას გააჩნია უამრავი მადეტერმინირებელი ფაქტორი, რომლითაც ის არა მხოლოდ განსხვავდება იდეალური თანასწორობის მდგომარეობაში მყოფი საზოგადოებისგან, არამედ განმსაზღვრელ გალვენას ახდენს ადამიანის ინტერესებსა და არჩევანზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი რეალური საზოგადოება, თუ კი ის აკმაყოფილებსო სამართლიანობის, როგორც პატიოსნების პრინციპებს, რომლებიც მოიხაზა იდეალურ მოდელში, უახლოვდება რეალურს, რომელშიც ადამიანები თავიანთი ნებით არიან გაერთიანებულნი. რადგან ის ემყარება პრინციპებს, რომლებშიაც რეალური ადამიანები იტყოდნენ, რომ ეს პრინციპები მათთვის მისაღებია, ისინი რომ

[1] ჯ. როლსი, „სამართლიანობის თეორია", 125 გვ.

ყოფილიყვნენ ტოლძალოვან პირობებში მყოფი თავისუფალი და თანასწორი ინდივიდები, ამ ფაქტის გაცნობიერება რეალური საზოგადოების წევრებისთვის საჯაროდ მისაღებს გახდიდაო სამართლიანობის აღიარებულ პრინციპებს. „აქედან შეიძლება ითქვას, რომ ამ საზოგადოების წევრები ავტონომიურები არიან და ვალდებულებები აღებული აქვთ საკუთარი ნებით, როგორც თავისუფალი და თანასწორ ინდივიდებს“ – წერს როლსი.

... მაგრამ რა უზრუნველყოფს ამოსავალ მდომარეობაში ადამიანთა თანასწორობას? თუ ჰობსისთვის თანასწორობა ბუნების ფაქტი იყო, როლსმა თანასწორობის განმსაზღვრელად ცნება „არცოდნის ფარდა“ შემოიტანა. მისი ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთმა ინდივიდმა არ იცის თავისი ადგილი საზოგადოებაში, არ იცის თავისი კლასობრივი მდგომარეობა, სოციალური სტატუსი და არც ის, რაც „მას ხვდება წილად ბუნებრივი უნარების, გონებრივი შესაძ-ლებლობებისა და ძალის განაწილების შედეგად. ავტორი იმასაც კი უშვებს, რომ მხარეებმა არ იციან, თუ რა სათნოებები სურთ ან რა ფსიქოლოგიური მიდრეკილებები გააჩნიათ. სამართლიანობის პრინციპები აირჩევა სწორედ არცოდნის ფარდის მიღმა; ეს კი იმის გარანტიას იძლევა, რომ არჩევანის დროს არავინ დარჩება წაგებული ან მოგებული მისი ბუნებრივი უნარების ან შემთხვევითი სოციალური გარემოებების ძალით; ასეთი სიმეტრიულობის პირობებში გაკეთებული არჩევანი ადამიანისთვის როგორც მორალური (რაციონალური) არსებისთვის წარმოგვიდგება პატიოსნებად. ამოსავალ მდგომარეობაში სამართლიანობის (დისტრიბუციული სამართლიანობის) პრინციპების არჩევისას, როლსის თანახმად, ინდივიდები მოქმედებენ ე.წ. მ ა ქ ს ი მ ი ნ ი ს (მინიმაქსის) წესის მიხედვით – თამაშების თეორიაში გადაწყვეტულების კონცეფციის ერთ-ერთი ბაზისური მეთოდის თანახმად. ამ მეთოდის მიხედვით, გამარჯვებული ირჩევს მაქსიმალურს მინიმალურიდან მოგების ყველა შესაძლო ვარიანტში. ამ შემთხვევაში გვეძლევა ოპტიმალური შედეგი: წაგებულის ზარალი იქნება მინიმალური, ხოლო გამარჯვებულის მოგება – მაქსიმალური. მოცემული იდეის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამარჯვებული დამოკიდებულია თავის ნაკლებ წარმატებულ მეტოქეზე, მის „ანგარიშზე“; აქ მთავარია გაითვალოს ოპტიმალური გადაწყვეტილება. მაქსიმინის პრინციპის თანახმად, ამოსავალ მდგომარეობაში

ინდივიდთა ოპტიმალური არჩევანია ის პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფს შემდეგ ამოცანათა გადაწყვეტას: 1) ყველას ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა თავიანთ მიზანთა განხორციელებისთვის და 2) მოხდეს მაქსიმალური ხელშეწყობა იმ პირთა, რომელნიც წარუმატებელნი აღმოჩნდებიან. როლსი თვლის, რომ ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს სამართლიანობის შემდეგი ორი პრინციპი: 1) ადამიანები უნდა იყვნენ თანაბარუფლებიანნი; თანასწორობა უნდა იქნეს დაცული ძირითად უფლება-მოვალეობათა განაწილებისას და 2) სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა სამართლიანია მხოლოდ მაშინ, თუკი ის კომპენსირებად უპირატესობებს უზრუნველყოფს საზოგადოების სხვა, ნაკლებად წარმატებული წევრებისთვის.

როლსის თანახმად, სამართლიანობის ეს ორი ძირითადი პრინციპი თითოეულ მოქალაქეს მინიმალური კეთილდღეობის გარანტს აძლევს, რომლითაც ისინი ღირსეულ ცხოვრებას შეძლებს.

ამგვარად, თუ საყოველთაო თანასწორობა შეუძლებელია (ამერიკელი ფილოსოფოსისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არც აქვს), მაშინ ინდივიდებისთვის, რომლებიც ნულოვანი დონიდან იწყენენ ცხოვრებას და არც არაფერი უწყიან თავიანთი იერარქობრივი უპირატესობების შესახებ ყველაზე გონივრულია წინასწარ უშიშარყონ თავი წარუმატებლობის შემთხვევაში (ამაზე მიუთითებს სწორედ „მინიმაქსის წესი“ – „თამაშები ნულოვანი თანხით“). როგორც უკვე აღვნიშნეთ როლსის მიზანია გვიჩვენოს, რომ საზოგადოებაში შეიძლება იყოს უთანასწორობა, მაგრამ ამისდა მიუხედავად იყოს სამართლიანი...

საკითხი კი იმის თაობაზე, თუ როგორ წარმოუდგენია როლსს კომპენსაცია, მის თეორიის აპირისპირებს უტილიტარიზმთან. ამერიკელი ფილოსოფოსის გაგებით უსამართლოა მტკიცება, რომ ზოგიერთს ნაკლები შემოსავალი უნდა ჰქონდეს, რათა მთელი საზოგადოების, როგორც ინდივიდების აგრეგატის ჯამური ბალანსი გაიზარდოს (უტილიტარიზმი) მაშინ, როდესაც არაფერია უსამართლო იმის მტკიცებაში, რომ დასაშვებია საზოგადოების ერთი ნაწილი უპირატესობების მქონე იყოს იმ პირობით, თუ მთელ საზოგადოების ყოველი წევრი და განსაკუთრებით ყველაზე ნაკლებ წარმატებულები გაიუმჯობესებენ თავიანთ მდგომარეობას.

ამგვარად, ამოსავალ მდგომარეობაში, აბსტრაქციის მაქსიმალურად მაღალ დონეზე, არჩევანი ხორციელდება გარკვეული ინტერესების მქონე თავისუფალი, თანასწორი და რაციონალური ინდივიდების მიერ, ინდივიდებისა, რომელნიც სრულიად გულგრილნი არიან ერთმანეთის ინტერესების მიმართ და ეს ინტერესები რიგ შემთხვევაში შეიძლება უპირისპირდებოდნენ კიდეც ერთმანეთს. სამართლიანობის პრინციპები აქ არა თუ თავისთავად ცხადი დებულებებიდან დედუცირდება, არამედ მათი დაფუძნება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მრავალი განხილვის, ურთიერთმხარდაჭერის საფუძველზე, როცა ეს განხილვა ერთ საერთო ხედვად ჩამოყალიბდება. ყველას შეუძლია წამოაყენოს წინადადება, მოიყვანოს არგუმენტები მისი სხვების მიერ გაზიარებისთვის. ამ მსჯელობებს ცალსახად განსაზღვრული მორალური (რაციონალური) ხასიათი აქვთ, რადგან მათი შინაარსი მკაცრად განისაზღვრება სამართლიანობის პრინციპებით.

სამართლიანობა, როგორც პატიოსნება, არის ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ პრინციპები, რომლებიც უნდა შეირჩეს ამოსავალ მდგომარეობაში, იგივეობრივი იმ პრინციპებისა, რომლებიც შეესატყვისება ჩვენს მორალურ მსჯელობებს და ამიტომაც ისინი აღწერენ სამართლიანობის ჩვენს გრძნობას.[1]

ამერიკელი ფილოსოფოსის „სამართლიანობის თეორიამ“ იმ დროის პოლიტიკურ ფილოსოფიაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. პირველივე წლებში იქმნება საკმაოდ დიდი მოცულობის ლიტერატურა, რომელიც ეძღვნება ამ თეორიის კრიტიკულ ანალიზს. მასში შეიძლება გამოვყოთ სამი მთავარი მიმართულება: 1) კრიტიკა ეხება ე.წ. თეორიის შინაგან წინააღმდეგობებს 2) კრიტიკა ე.წ. საწყისი მდგომარეობის მოდელისა და 3) ინდივიდის კონცეფციის კრიტიკა.

კრიტიკოსთა შენიშვნები თავდაპირველად ძირითადად ეხებოდა როლსის მიერ გამოყენებული ე.წ. „თამაშებრივი მოდელების“ ფორმალურ ასპექტებს. კერძოდ, მიუთითებენ, რომ მაქსიმინი (მინიმაქსი) ეს არის ნულოვანი თანხით არაკოოპერაციული თამაშების გადაწყვეტულებების კონცეფცია. როლზის მიერ შეთავაზებული მოდელი სრულიად არ თავსდებაო ასეთი თამაშების ტრადიციულ

[1] უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ საზოგადოება, რომელსაც როლსის თეორია ეხება, ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოება და სწორედ მისი კონცეპტუალური საფუძვლების დაძებნას ცდილობს ავტორი. საზოგადოებები, სოც. პოლიტიკური გადახრებით, როლსის ინტერესის საგანს არ წარმოადგენს.

სტრუქტურაში. მართლაც, ჯერ ერთი, მასში საუბარია სოციალური კოოპერაციის მკაფიოდ გამოხატულ ვითარებაზე; მეორეც, თანამშრომლობისგან მიღებული მოგების ჯამი არ არის ნულოვანი –შესაძლებელია იყოს დადებითი შედეგიც ყველა მონაწილისთვის. ამიტომ ჩნდება კითხვები სხვა სფეროდან ნასესხები ტერმინოლოგიის პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროში გამოყენების კორექტულობის თაობაზე. გარდა ამისა, როგორც ჯ. ხარსანი[1] აღნიშნავს, თუ არჩევანის ამოცანის გადაწყვეტის კონცეფციად საწყის მდგომარეობაში გამოიყენება მაქსიმინის პრინციპი, მაშინ, ფორმალური თვალსაზრისით, ინდივიდებისთვის საწყის მდგომარეობაში ყველაზე რაციონალურ სტრატეგიას წარმოადგენს საშუალო სარგებლიანობის მაქსიმიზაციის უტილიტარისტული პრინციპის არჩევა. ხარსანი ბევრ საკითხში ეყრდნობა დაშვებას, რომ არსებობს სარგებლიანობის უნივერსალური შკალა, რომელიც სარგებლიანობის დონის მიხედვით თითოეული ინდივიდისა და შემდეგ მთელი საზოგადოებისთვის სარგებლიანობის საშუალო დონის გამოთვლის შესაძლებლობას იძლევა. მაგრამ „შეუძლებლობის“ მრავალრიცხოვანი შედეგები, რომლებიც მიღებულია საზოგადოებრივი არჩევანის თეორიაში, მართლაც აჩვენებს, რომ ინდივიდუალური უპირატესობების მინიჭების აგრეგირების მეთოდს თავისი შეზღუდვები აქვს. ამრიგად, სრულიად შესაძლებელია ეჭვქვეშ დადგეს საზოგადოებაში განაწილებითი სამართლიანობის ფუძემდებლურ პრინციპად ერთობლივი სარგებლიანობის მაქსიმილიზაციის პრინციპის გამოყენების ადეკვატურობა. ამასთან ერთად, ხარსანის ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ როლზის საწყის მდგომარეობაში საწყისი შეთანხმების მონაწილენი, მეტი ალბათობით, აგრეგირებული სარგებლიანობის მაქსიმიზაციის უტილიტარისტულ პრინციპს აირჩევენ და არა განსხვავების პრინციპს, დასტურდება თვით ექსპერიმენტული მონაცემების შედეგებით, რომელზედაც მოგვიანებით ვისაუბრებთ.

„სამართლიანობის თეორიის“ მეორე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა, რომელზე-დაც კრიტიკოსები მიანიშნებენ, არის როლზის მიერ თავის კონცეფციაში კანტიანური ეთიკის დეონტოლოგიური ელემენტების პირად ინტერესზე დამყარებულ არ-გუმენტაციასთან შეთავსების მცდელობა, კერძოდ კი თავად ხელშეკრულებისთვის per se მორალური ფასეულობის მინიჭება. რ. დვორკინი სამართლიანად აღნიშნავს,

[1] Harsanyi, J., ,,A criticue of John Rawls's theory", 1976. P37-63

რომ როლზის ინტენცია, საბოლოოდ, ზედმეტს ხდის ხელშეკრულების არგუმენტაციას: „რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვამტკიცოთ, როგორც ამას ბევრი ფილოსოფოსი აკეთებს, რომ თავად ადამიანის ინტერესებშია თავისი მოვალეობის შესრულება და ზნეობრივი კანონისადმი მორჩილება, იმიტომ, რომ მას ღმერთი დასჯის, ან იმიტომ, რომ ბუნებრივ წესრიგში გარკვეული როლის თამაშით ადამიანი ყველაზე დიდ კმაყოფილებას იღებს თავისი საქმიანობიდან, ანდა, როგორც კანტი თვლიდა, იმიტომ, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ შეიძლება თავისუფალი იყოს. როდესაც ასრულებს იმ ნორმებს რომლებიც სურს ჰქონდეს ზოგადი ნორმების სახით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოვალეობებს განსაზღვრავს ადამიანის ინტერესები და არა პირიქით. ამით არ მტკიცდება, რომ ადამიანისთვის იმ საკითხის გადაჭრისას, თუ რა არის მისი მოვალეობა, ნებადართულია მათი შეხამება საკუთარ ინტერესებთან; პირიქით, ადამიანმა გვერდზე უნდა გადადოს პირადი გამორჩენის ნებისმიერი ინტერესი და მხედველობაში მიიღოს მხოლოდ მოვალეობებთან დაკავშირებული მოსაზრებები. მაშასადამე, არამართებულია მოვალეობის თეორიით როლზის თეორიის იდეის დასაბუთება."[1]

შინაგან ლოგიკურ წინააღმდეგობებზე მინიშნების გარდა, როლზის მიერ წამოყენებული სამართლიანობის პრინციპების, ძირითადად „განსხვავების პრინციპის" შინაარსობრივი გაკრიტიკების მცდელობებიც იყო, ეს მცდელობები მეტწილად იდეოლოგიური მოსაზრებებით გახლდათ შთაგონებული – „სამართლიანობის თეორიას" ბევრი აღიქვამდა, როგორც იმ დროისთვის დასავლურ საზოგადოებაში სოციალ-დემოკრატიულ აპოლოგიას, რომელსაც ხშირად სადავოდ ხდიდნენ როგორც მემარჯვენეები (ლიბერტარიანელი მოაზროვნეები), ასევე მემარცხენეები (მარქსისტები, კერძოდ, ანალიტიკური მარქსიზმის წარმომადგენლები). მოცემული მიმართულების ფარგლებში გამოთქმული კრიტიკა ზოგადად იზიარებდა როლზის მიერ გამოყენებულ ინდივიდის საბაზო კონცეფციას, მაგრამ არ იზიარებდა ბუნებრივი მდგომარეობის მისეულ ინტერპრეტაციას. როლზის ხელშეკრულების თეორიის პირველი სერიოზული თეორიული ალტერნატივა გახდა ამერიკელი ფილოსოფოსის რ. ნოზიკის „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია".

[1] Дворкин, Р. О правах всерьез. Москва, 2005. С 242

როლზი იმპლიციტურად გულისხმობს, რომ ადამიანები ისწრაფვიან ერთობლივი ყოფისკენ; სწორედ აქედან მომდინარეობს მისი ინტერესი იმ პრინციპების კვლევისადმი, რომლებსაც შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოებაში ინდივიდებს შორის სამართლიანი ურთიერთობა. ნოზიკი კი თავის კვლევას იწყებს უფრო ფუნდამენტური საკითხიდან: კერძოდ, არის თუ არა საერთოდ საჭირო პიროვნებათაშორისი ურთიერთობების რაიმე ფორმით რეგულირება პოლიტიკური დადგენილებების მეშვეობით. ის აღნიშნავს, რომ არსებობს ყველა არსებული პოლიტიკური პროექტის ალტერნატივა – სახელმწიფოსა და, საერთოდ, პოლიტიკური ურთიერთობების არარსებობა. ამიტომ არჩევანის (ხელშეკრულების) საწყის ვითარებაში პოლიტიკური მოწყობის ალტერნატიული ვარიანტები კი არ უნდა შევადაროთ ერთმანეთს, არამედ ანარქიისა და სახელმწიფოს მდგომარეობები. როლზთან საწყის პოზიციაზე არჩევანი კეთდება სამართლიანობის სხვადასხვა კონცეფციებს შორის, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფო პოლიტიკას; შემდეგ ის აღწერს ინსტიტუციონალურ დიზაინს, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება არჩეულ პრინციპებს. ნოზიკი კი, პირველ რიგში, განიხილავს არჩევანის ორ ალტერნატივას – პოლიტიკური საზოგადოების არსებობასა და არარსებობას შორის. ის აჩვენებს (მართალია კონკრეტული ინდივიდების ნების გათვალისწინების გარეშე), რომ ანარქია, ზოგადად, შეუძლებელია – ბუნებრივი მდგომარეობაში ძირითადი მოთხოვნილება უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, რაც გარდაუვალად იწვევს „მინიმალური“ სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნას. ნოზიკი საწყის წერტილად იღებს ლოკის მიერ შემოთავაზებული ბუნებრივი მდგომარეობის აღწერას. აქ ჩანს მისი კონცეფციის არსებითი განსხვავება როლზის შეხედულებებისგან, რომელიც ეყრდნობა ბუნებრივი მდგომარეობის კანტისეულ ვერსიას. ნოზიკის ბუნებრივი ადამიანი, როლზისგან განსხვავებით, სავსებით აცნობიერებს თავის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს; ამასთან ერთად, მას შეიძლება ჰქონდეს მორალური თვისებები (რაც მას განასხვავებს ჰობსის ადამიანისგან). გარდა ამისა, მისთვის არ არის აშკარა პოლიტიკური შეზღუდვების დანერგვის აუცილებლობა.

კიდევ ერთი განსხვავება როლზსა და ნოზიკს შორის ის არის, რომ პირველი ცდილობს, გათვალოს (ფორმალურად მაინც), რომელი პრინციპები შეიძლება იქნეს არჩეული ფუძემდებლური საკონსტიტუციო ნორმების სახით, ნოზიკს კი უბრალოდ

არგუმენტები მოჰყავს პოლიტიკური მოწყობის განსაზღვრული ვარიანტის სასარგებლოდ. ის პრაქტიკულად არ მიმართავს ლეგიტიმურობის პრობლემას, რომელიც საკვანძოა საზოგადოებრივი ხელშეკრულების სხვა თეორიტიკოსებისთვის, არამედ ბუნებრივი და პოლიტიკური მდგომარეობების შედარებაზე ფოკუსირდება. შეიძლება ვთქვათ, რომ ნოზიკის ძირითადი ინტენცია მხოლოდ შეზღუდულად ეხება საზოგადოებრივი ხელშეკრულების პრობლემატიკას, ის მხოლოდ მინიმალური სახელმწიფოს აუცილებლობის ჩვენებას ცდილობს. ამ მიზნის მისაღწევად კი ნოზიკი „მინიმალურად“ იყენებს ხელშეკრულების თეორიას. ამის მიუხედავად, ბუნებრივი მდგომარეობის მისეულ ანალიზს (რომელიც დიდწილად ეყრდნობა ლოკის ხედვას) სრულიად შეიძლება ორიგინალურობის პრეტენზია ჰქონდეს.

რაციონალური არჩევანის თეორიის პოზიციებიდან როლზის სამართლიანობის თეორიის გადახედვის მნიშვნელოვანი მცდელობა ჰქონდა კანდელ ფილოსოფოს დ. გოტიესაც[1]. მისი ხელშეკრულების თეორია ყველაზე სრულად გადმოცემულია ნაშრომში „მორალი შეთანხმებით“. გოტიემ ძირითად ამოცანად დაისახა, ეჩვენებინა ადამიანების მიერ სხვადასხვა მორალური შეზღუდვების მიღების რაციონალურობა. მისთვის მთავარი ამ შეზღუდვების კონკრეტული შინაარსი კი არ არის, არამედ მათი შესაბამისობა ცალკეული ინდივიდების ეგოისტურ ინტერესებთან. გოტიე მიუთითებს,რომ მორალური ლეგიტიმაციის ორი ხერხი არსებობს (მისთვის მორალი, პირველ რიგში, გარკვეული ქცევითი შეზღუდვებია): მორალური და დელიბერატიული (moral and deliberative justification). არგუმენტაციის პირველი ეტაპი ეყრდნობა მორალური თეორიების იმანენტურ წანამძღვრებს, რომლებიც მათ ადამიანურ სამყაროსთან მიმართებაში ტრანსცენდენტურის სახით წარმოადგენს. თუმცა, გოტიეს აზრით, მსგავსი მოსაზრებები თანამედროვეობაში ღრმა კრიზისში იმყოფება (რომელიც პირველად ნიცშემ დააფიქსირა). ამიტომ აუცილებელია ახალი მორალური თვლასაზრისის შეთავაზება, კერძოდ კი ისეთის, რომელიც დამყარებული იქნება კონკრეტული ინდივიდების რაციონალურ გათვლაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მორალური შეზღუდვები ქმედითი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ადამიანების ეგოისტური მისწრაფებების კონგრუენტულია; ან, როგორც ჰიუმი ამბობს, მათი დაცვა პირადი ინტერესი ხდება. მორალის ქმედითი კონცეფციის

[1] Gauthier, D. , Moral Dealing, Cornell University Press, 1990

შესაქმნელად საჭიროა იმის ჩვენება, რომ პრინციპულად შესაძლებელია ეგოისტურად განწყობილ რაციონალურ არსებებს შორის ზოგიერთ შემზღუდველ ნორმასთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა. სწორედ აქედან გამომდინარეობს გოტიეს ინტერესი კონტრაქტარიანიზმისადმი. ფილოსოფოსის აზრით, ხელშეკრულების თეორიის ტერმინებით არგუმენტაცია საუკეთესოდ ეთანადება მის მიზნებს. მართლაც, კონტრაქტარიანიზმი გულისხმობს, რომ რაციონალური ინდივიდები მხოლოდ მაშინ თანხმდებიან ამა თუ იმ მორალურ-პოლიტიკურ შეზღუდვებს, როდესაც ისინი მათ სასარგებლოდ მიიჩნევენ (თუმცა ამ ტრადიციის წინამორბედ ფილოსოფოსებს ღიად ან ლატენტური ფორმით შემოჰქონდათ მორალური შეზღუდვები). სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობს გოტიე. ის გვთავაზობს, წარმოვიდგინოთ გარკვეული მდგომარეობა, რომელიც მსგავსი იქნება ეკონომისტების იდეალური ბაზრისა. პატიოსანი კონკურენციის პირობებში ინდივიდუალური ურთიერთობები მოგვცემდა ყველა მონაწილე მხარისთვის ოპტიმალურ შედეგს, მაგრამ რეალური ცხოვრება ძალიან შორსაა მსგავსი ვითარებიდან. გოტიეს ინტერპრეტაციით მორალური და პოლიტიკური ნორმების ძირითადი დანიშნულებაა ხელოვნური ჰარმონიის უზრუნველყოფა იქ, სადაც „ბუნებრივი“ – შეუძლებელია. ნორმების წარმოსაქმნელად საჭიროაო ერთგვარი „არქიმედის“ (Archimedean) საყრდენი წერტილი. ასეთად გოტიე ბუნებრივი მდგომარეობის ტრადიციული კონცეპტის საკუთარ ვერსიას გვთავაზობს, რომელსაც „საწყისი ვაჭრობის ვითარებას“ (initial bargaining position) უწოდებს. ბუნებრივი მდგომარეობის მისეულ აღწერაში სამი ძირითადი პარამეტრის გამოყოფა შეიძლება: 1) შეთანხმების მონაწილეთა (parties) დახასიათება; 2) მათი წარმოდგენები (beliefs) სამყაროზე; 3) მიზნები (desires), რომელთა მიღწევასაც ცდილობენ, როლზის კონცეფციისგან განსხვავებით, გოტიეს ინდივიდები სოციალურად თანაარსებობენ; ხელშეკრულების პოტენციურ მონაწილეებს შორის არ დაიშვებიან ბავშვები, ავადმყოფები და ყველა ის, ვინც შეიძლება სოციალურ აუტსაიდერებს მივაკუთვნოთ – „ხმას“ ფლობენ მხოლოდ ის ინდივიდები, რომლებსაც სხვა ადამიანებთან ერთმანეთისთვის სასარგებლო ურთიერთობის უნარი აქვთ. ამ ინდივიდებს სრული ინფორმაცია გააჩნიათ საკუთარი თავის, საკუთარი ცხოვრებისეული ინტერესებისა და გარშემო მყოფთა შესახებ; იმისთვის, რომ შეთანხმება ნამდვილად დაეყრდნოს

რაციონალურ გათვლას, აუცილებელია ყველა რევალენტური მონაცემის გამოყენება. გოტიე ამტკიცებს (და აქ ის როლზს ეთანხმება), რომ ინდივიდები ზოგადად არ არიან დაინტერესებული სხვების კეთილდღეობით; შესაბამისად, ისინი გულგრილნი არიან ნებისმიერი წარმოდგენის მიმართ სიკეთეზე, საკუთარი სიკეთის გარდა.

და როგორ ხდება შეთანხმება? ფილოსოფოსი აკრიტიკებს ხელშეკრულებას (შეთანხმებას), ვითარებას, როგორც არაკოოპერაციული გამოსავლის მქონე თამაშის, გავრცელებულ გააზრებას. რადგან ამ შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია, რომ იყვნენ წაგებულები, ამიტომ მსგავსი სპეციფიკაცია სულაც არ იძლევა მორალური შეზღუდვების ისეთი მოტივების არსებობის გარანტიას, რომელიც მისაღები იქნება მისი ყველა მონაწილისთვის. სანაცვლოდ იგი გვთავაზობს ალტერნატიულ კონცეფციას. საწყის ვითარებაში, თუ ეს ვითარება წარმოდგენილია, როგორც არაკოოპერაციული თამაში ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, გოტიეს აზრით, ვაჭრობის შედეგები მახინჯდება ძალისმიერი ურთიერთობების ზემოქმედებით (power effects), ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, შედეგები მახინჯდება იმით, რომ უფრო ძლიერ მონაწილეს აქვს ყველა სუსტი მონაწილის იძულების შესაძლებლობა. როგორ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ მსგავსი რამ? გოტიე ამტკიცებს, რომ ეს პრობლემა შეიძლება გადაიჭრას ,,ვაჭრობაში" მონაწილე ინდივიდების მიმართ ძალადობრივი ქმედებების ჩადენის შესაძლებლობებზე გარკვეული შეზღუდვების შემოღების გზით. ის ამ პრინციპს „ლოკის დათქმას" (Lockean Proviso) უწოდებს; მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ვერავინ შეძლებს საკუთარი თავისთვის სარგებლის მიღებას სხვისი მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე. ამგვარად ალტერნატივების (სამართლიანობის პრინციპების) სიმრავლე საწყისი ვაჭრობის ვითარებაში არსებითად იზღუდება. რით ხელმძღვანელობენ ინდივიდები ასეთ ვითარებაში სამართლიანობის პრინციპების არჩევისას? გოტიეს არ აკმაყოფილებს მაქსიმინის წესის გამოყენება, რომელსაც როლზი იყენებს, ისევე, როგორც არ აკმაყოფილებს თეორიულ-თამაშებრივი ამოცანების გადაჭრის სხვა ხერხები (პირველ რიგში, წონასწორობა ნეშის მიხედვით). ამის მაგივრად მან შეიმუშავა საწყისი ვაჭრობის ვითარებაში სარგებლის გაანგარიშების საკუთარი სქემა, რომელიც ემყარება ,,მინიმალური ფარდობითი დათმობების კონცეფციას" (minimal relative concessions). ამ კონცეფციის თანახმად, თამაშის ოპტიმალური გადაწყვეტა არის არა ინდივიდუა-

ლური მოგებების ნაკრები, რომელსაც შეთანხმების მონაწილეები ვერ გააუმჯობესებენ წონასწორობიდან ცალმხრივად გადახრის გზით, არამედ ე.წ. მინიმალური „ფარდობითი დათმობების“ ნაკრები. გოტიეს თანახმად, ბუნებრივ მდგომარეობაში რაციონალურია სამართლიანობის არა ის პრინციპები, რომელიც სარგებლის მიღების თვალსაზრისით არის ყველაზე „სასარგებლო“, არამედ ის, რომელიც მინიმალურ დათმობებს მოითხოვს მორალური შეზღუდვების ყველა დანარჩენ სისტემასთან შედარებით.

მინიმალური ფარდობითი დათმობებისა და „ლოკის დათქმის“ კონცეფციების შეჯერება ქმნის ე.წ. „შეზღუდული მაქსიმიზატორების“ საზოგადოებას, რომლის ყველა წევრი ეთანხმება ზოგიერთი მორალური ნორმის დაწესებას, რომლებიც მათ ურთიერთობებს დაარეგულირებს. ეს ძალზე საინტერესო მომენტია გოტიესთან თუმცა ის დაწვრილებით არ ახდენს ამ ნორმების ბუნების აღწერას: მას უფრო მნიშვნელოვან ამოცანად ესახება კონსტიტუციური შეთანხმების მიღწევის პრინციპული შესაძლებლობის დემონსტრირება.

უნდა აღინიშნოს, რომ ნოზიკისა და გოტიეს კონცეფციები, რომლებიც მეტწილად როლზის სამართლიანობის თეორიის კრიტიკაზეა აგებული, მაინც პრაქტიკულად იყენებს ინდივიდის იმავე კონცეფციას, იმ რაციონალური და ავტონომიური არსებისა, რომელსაც აქვს შეთანხმების დადებისა და შესრულების უნარი. თუმცა ეს ავტორები ცვლიან უშუალოდ ტერმინ „რაციონალურის“ შინაარსს და ემხრობიან ავტონომიის განსხვავებულ კონცეფციებს, მაგრამ, უეჭველია, რომ ,,ადამიანის” მათეულ გაგებებს შორის მსგავსება უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება.

კრიტიკული შენიშვნების მესამე კატეგორია კონტრაქტარიანიზმის იმ ვერსიის მისამართით, რომელიც 1971 წელს წარმოადგინა როლზმა, სწორედ ადამიანის ბუნების კონცეფციას ეხება, რომელიც საფუძვლად უდევს ხელშეკრულების თეორიას. ეს კატეგორია კომუნიტარიზმის (და მისი მემკვიდრე მულტიკულტურალიზმის) პოლიტიკურ ფილოსოფიასთან ასოცირდება და გადმოცემულია ა. მაკინტაირის[1], ჩ. ტეილორის[2], მ. უოლცერისა[3] და მთელი რიგი სხვა ავტორების ნაშრომებში. მათი კრიტიკის ძირითადი შინაარსი ის არის, რომ წარმოდგენა ადამიანზე, როგორც

[1] А. Макинтаир, ,,После добродетели”, М. 2000
[2] C. Taylor, ,,Hegel and Modern society”, Cambridge University Press, 1979
[3] Walzer, M. , S pheres of Justice, oxford, 1983

რაციონალურ და ავტონომიურ ინდივიდზე, სპეციფიკური ტიპის აზროვნების შექმნილია, აზროვნებისა, რომელიც წარმოიშვა პროტესტანტულ ევროპაში ახალი დროის დასაწყისში; კომუნიტარიზმის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ამ წარმოდგენაზე დაყრდნობით შეუძლებელია სამართლიანობის უნივერსალური თეორიის შექმნა. ისინი იცავენ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც სამართლიანობის პრინციპებსა და მორალური და პოლიტიკური ქმედებების სხვადასხვა ნორმებს ღრმად აქვთ ფესვები გადგმული იმ სოციუმის კულტურაში სადაც ისინი მოქმედებს. ამიტომ პრაქ-ტიკულად შეუძლებელია ყოველდღიურობიდან აბსტრაჰირებით რეალური ვითარების წარმოდგენა, რომელიც სახელშეკრულებო თეორიების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს სამართლიანობის პრინციპების განსაზღვრისას. გარდა ამისა, როგორც კომუნიტარისტები მიიჩნევენ, კონტრაქტარიანიზმის ფილოსოფიური წინაპირობები: ინდივიდუალიზმი და რაციონალიზმი მხოლოდ ერთ-ერთი მსოფლგაგებაა დედამიწაზე არსებულ მრავალ მსოფლგაგებათა შორის, ამიტომ ეჭვს იწვევს მისი სხვა საზოგადოებებზე გავრცელების მცდელობა. ყველაზე რადიკალური ფორმულირებით ეს არგუმენტი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც მო-რალური რელატივიზმის სახესხვაობა, რომელიც უარყოფს სხვადასხვა კულტურუ-ლი იდენტურობის მატარებლებს შორის სამართლიანობის პრინციპებთან და-კავშირებით კონსესუსის მიღწევის პრინციპულ შესაძლებლობას.

ჰეგელის კვალდაკვალ კომუნიტარისტები პოლიტიკური წესრიგის საფუძვლებს საზოგადოებაში ხედავენ. ისინი ავითარებენ ადამიანების მათ სამყაროსთან შერიგების ჰეგელისეულ ინტენციას. მათთვის სამართლიანობის წყარო არა ჰიპოთეტური ხელშეკრულება, არამედ ისტორიული პროცესის მსვლელობაში აკუმულირებული მორალურ წარმოდგენებისა და ზნეობრივი იმპერატივების სიმრავლეა, რომელიც ორგანულადაა ჩაქსოვილი საზოგადოების წევრთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს სიმრავლე არ მოწმდება ადამიანების უპირატესობების სისტემის შესაბამისად, მაგრამ თავად წარმოადგენს სტანდარტს, რომლის მიხედვითაც ფასდება ეს უპირატესობები. ... ის წონა, რომელიც ეძლევა ინდივიდის უპირატესობებს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ემორჩილება ან ხელს უწყობს ის საერთო კეთილდღეობას. როლზის სამართლიანობის თეორია მოწოდებულია ადამიანების მდგომარეობებს შორის არსებული არასამართლიანი

განსხვავებების მინიმიზაციისთვის. თუმცა კომუნიტარისტები თვლიან, რომ თითოეული ადამიანი სწორედ იმ კონკრეტული სოციალური იდენტურობის მატარებელია, რომელიც იძლევა მისი სიკეთეების იერარქიას[1]. ინდივიდუალურ ვითარებებს შორის განსხვავებები მათთვის არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ რესურსებისა და შესაძლებლობების სამართლიან განაწილებამდე. სიკეთის ინდივიდუალური კონცეფციების მსგავსება საზოგადოების სტაბილურობის საფუძველია; მაგრამ ეს მსგავსება თავად წარმოადგენს გარკვეული ტიპის იდენტურობის დომინირების შედეგს, რომელიც საზოგადოების ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა და ინდივიდების ცნობიერებაში ჩაინერგა სოციალიზაციის პროცესში. სამართლიანობისა და უსამართლობის ცნებები კონკრეტულ საზოგადოებებში შეიძლება განსხვავებული იყოს; უფრო მეტიც, ისინი, შესაძლოა, შეუთავსებელიც კი იყოს. ამრიგად, სამართლიანობის ერთიანი კონცეფციის დამყარებისკენ სწრაფვა ერთი სახელმწიფოს ფარგლებშიც კი, კომუნიტარისტების არგუმენტაციის თანახმად, უცილობლად წინააღმდეგობაში მოდის იმ ფაქტთან, რომ სამყაროს შესახებ ზოგიერთი წარმოდგენა ნაკლებად თანმიმდევრულად უნდა იქნეს აღიარებული და, შესაბამისად, უარყოფილი.

მაგრამ აქ ისმის კითხვა: თუ ადამიანური „მე“ საზოგადოების მიერ იქმნება, მაშინ პრინციპულად შესაძლებელია თუ არა სიკეთეზე იმ ინდივიდუალური წარმოდგენების შეცვლა, რომლებიც გარკვეული კოლექტიური იდენტურობით განპირობებულ წინასწარ მოცემულობას წარმოადგენს? მ. სენდელი[2] ამტკიცებს, რომ ინდივიდს არ შეუძლია გასცდეს მასში არსებულ სიკეთეების იერარქიის საზღვრებს და გარკვეული გარე პოზიციებიდან გააკრიტიკოს ის. ეს თეზისი პირდაპირ ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნების ლიბერალურ გაგებას. დისკუსია იმის თაობაზე, აქვთ თუ არა ინდივიდებს საკუთარი სიკეთეების კონცეფციის გადასინჯვისა და, მთლიანობაში, საკუთარი იდენტურობის მოდიფიკაციის უნარი (როგორც მიიჩნებს როლზი და კანტის სხვა თანამედროვე მიმდევრები) თუ ისინი რჩებიან იმ საზოგადოების იდენტურობის ტყვეებად, რომელშიც ცხოვრობენ (რაც კომუნიტარისტების ზოგად პოზიციას წარმოადგენს), პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარების ერთ-ერთი ცენტრალური მიმართულება გახდა 1980-იან წლებში.

[1] Макинтаир, А. , После добродетели , М. С. 60-65

[2] Sandel, M. , Liberalism and the Limits of Justice, Cambridge University, Press, 1982

მიუხედავად თავიანთი მოსაზრებების მკაცრი დასაბუთებულობისა, კომუნიტარისტები ამ კამათში დამარცხდნენ; ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მათ ვერ შეძლეს ადამიანის ბუნების სრულფასოვანი კონცეფციის ფორმულირება და მხოლოდ თავიანთი ოპონენტების კრიტიკით შემოიფარგლნენ. ნაკლოვანებების მიუხედავად, ლიბერალური წარმოდგენა ინდივიდზე, როგორც რაციონალურ აგენტზე, რომელსაც აქვს ლოკალური კონტექსტიდან აბსტრაჰირების უნარი იმის განსაზღვრისას, თუ რა არის მისთვის სასიკეთო, უფრო ადექვატური და ერთიანი აღმოჩნდა, ვიდრე კომუნიტარისტების დაქსაქსული მცდელობები. ამის მიუხედავად მათი არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ სპეციფიკური კულტურული ფასეულობების უარყოფა, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კეთილდღეობის ზოგიერთ ინდივიდუალურ კონცეფციაში, მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ეს მოთხოვნილებები არ პასუხობს ადამიანის მოთხოვნილებების იერარქიის ლიბერალურ ხედვას (რამაც ასახვა ჰპოვა როგორც როლზის „პირველადი სიკეთეების“ კონცეფციაში, ასევე კანტიანური მიმართულების ლიბერალების უმრავლესობის მიერ per se ფასეულობის სახით მხარდაჭერილ ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების განსაზღვრის უფლებაში), არ არის დასაბუთებული და ეს სერიოზული გამოწვევა გახდა როგორც მთლიანად ლიბერალური თეორიისთვის, ასევე ხელშეკრულების პარადიგმისათვის.

სინამდვილეში, როგორც ჩ. ტეილორი[1] აღნიშნავს, მსგავსი პოზიცია, ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანილი, გულისხმობს ინდივიდუალურ კეთილდღეობაზე ყველაზე ლიბერალური წარმოდგენების უარყოფასაც კი: თავისუფალ ინდივიდს – სიტყვა „თავისუფლების“ ლიბერალური (ი. ბერლინის ტერმინოლოგიით თუ ვისარგებლებთ – „ნეგატიური“) გაგებით, არა აქვს რაიმე კონკრეტული კონცეფციის არჩევის სტიმული. ამიტომ არჩევანის თავისუფლება (იმპლიციტურად ჩადებული ინდივიდის კონცეფციაში, რომელიც ფუძემდებლურია ხელშეკრულების თეორიებისთვის), იმის გამო, რომ ის გვაძლევს საკუთარი ცხოვრებისეული მიზნების რეალიზების შესაძლებლობას, რომლებიც, თავის მხრივ განისაზღვრება საჭიროებების შესახებ ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებებით, უფრო „ინსტრუმენტული ფასეულობის“ სახით უნდა განხორციელდეს.

[1] Taylor, C Hegel and Modern Society, Cambridge University Press 1979, P. 157

კომუნიტარისტების მიერ ხელშეკრულების თეორიის კრიტიკა ბევრ ასპექტში ეხმაურება ფემინიზმისა და ე.წ. „რასობრივი შეგნების“ (race-conscious) ფილო-სოფოსების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ინდივიდის საბაზისო კონცეფცია, რომელსაც ხელშეკრულების თეორიები ემყარება, ანუ სარგებლიანობის რაციონალური მაქსიმიზატორი, რომელიც საკუთარი სარგებლისთვის იღწვის – სამყაროზე უაღრესად მამაკაცური შეხედულების, უფრო მეტიც, იმ მამაკაცის თვალსაზრისის გამოხატულებაა, რომელიც კონკრეტულ ეპოქაში და კონკრეტულ საზოგადოებაში (მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისში) ცხოვრობდა. ასეთი აშკარად გენდერული და ისტორიული დეტერმინაციის გამო ხელშეკრულების თეორიის დებულებები, სულ მცირე, სერიოზულ გადახედვას მაინც მოითხოვსო. ფემინისტებიც და რასობრივი დისკრიმინაციის მოწინააღმდეგენიც, ჩვეულებრივ, ილაშქრებენ იმის წინააღმდეგ, რომ ზოგიერთი სოციალური ჯგუფის (ქალების, აფრო-ამერიკელების, ინდიელების ან რელიგიური უმცირესობების) ინტერესებს არ ითვალისწინებენ სოციალური ხელშეკრულების დადების დროს. მაგალითად, კ. პეიტმანი[1] მიიჩნევს, რომ დასავლურ საზოგადოებაში ფორმულირდა დაუწერელი „სექსუალური ხელშეკრულება“ მამაკაცთა მიერ, რომელიც ქალების მორჩილებაში ყოფნისკენ არის მიმართული. ის წერს, რომ ინდივიდუალიზმი, რომელსაც ეყრდნობა საზოგადოებრივი ხელშეკრულების კონცეფცია, რეალურად ანდროგინული საწყისის მანიფესტაციას წარმოადგენს, რადგან გულისხმობს ინდივიდის დამოუკიდებლობას ფიზიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის ზრუნვისგან, რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ვინმე სხვა აიღებს საკუთარ თავზე. მოგვიანებით ჩ. მილზი[2] ამ არგუმენტაციას რასობრივ ურთიერთობებთან მიმართებაში ავითარებს.

თუ შევაჯამებთ კონტრაქტარიანიზმის კრიტიკოსთა სხვადასხვა მოსაზრებებს, შეიძლება გამოვყოთ ორი პრინციპული პოზიცია, რომელიც აჩვენებს საზოგა-დოებრივი ხელშეკრულების თეორიის მოწყვლადობას: 1) ადამიანის ბუნების შესახებ მისი საწყისი დაშვებების უნივერსალურობის ეჭვქვეშ დაყენება და 2) ხელშეკრუ-ლების სფეროდან მორალური სახის ზოგიერთი ისეთი შეზღუდვის ამოღების მოთ-ხოვნა, რომელიც ტრადიციულად ამოღებულია საწყისი მდგომარეობის მოდელებიდან. როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, მოსაზრებებს,

[1] Pateman, C. , The Sexual Contract, Stanford University Press, 1998
[2] Mills, C. , The Racial Contract. Cornell University Press, 1977

რომლებიც ამ ბოლო ტიპს განეკუთვნება, არსებითი ნაკლი აქვს: ყველა თეორია, რომელიც შეთავაზებულია საწყის მდგომარეობაში არჩევანის თავისფლების გაზრდის ან შეზღუდვის სახით, თავად საჭიროებს ლეგიტიმაციას. არგუმენტების პირველი ტიპი, თავის მხრივ, ნამდვილად სერიოზული შედავებაა. ხელშეკრულების ტრადიციების წარმომადგენელთა მიერ მსგავსი სახის მოსაზრებებზე პასუხის გაცემის მცდელობამ წარმოშვა ახალ კონცეფციათა მთელი რიგი, რომლებშიც ექსპლიციტურად შეტანილ იქნა ის ცვლადები, რომლებიც ახასიათებდა არა მხოლოდ რაციონალურობის მოდელს, არამედ საწყისი შეთანხმების მონაწილეთა შესაძლო ფასეულობითი და მორალური პრიორიტეტების განმსაზღვრელ კულტურულ კონტექსტსაც.

§3 „დელიბერატიული“ ბრუნი საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიაში

თუ წარმოვიდგენთ, რომ კონსტიტუციური შეთანხმება იდება არა იმ ადამიანების შორის, რომლებიც საერთო ფასეულობებს იზიარებენ და მეტ-ნაკლებად მსგავსი ინტერესები აქვთ, არამედ სხვადასხვა საზოგადოებების წარმომადგენლებს შორის, რომლებიც სრულიად სხვადასხვაგვარად ხედავენ სამყაროს, აშკარა გახდება: იმისთვის, რომ იყოს წარმატებული, მსგავსი შეთანხმება საყრდენი წერტილების, ერთმანეთის მკვეთი მოსაზრებების არსებობით უნდა იქნეს გამყარებული, რაც სხვადასხვა იდენტურობის მატარებელ ინდივიდებს შორის დიალოგის გამართვის შესაძლებლობას იძლევა. რაციონალურობის ვიწრო „ეგოისტური“ (მაქსიმიზატორული) კონცეფცია არ შეიძლება მიღებული იქნეს ასეთ საყრდენ წერტილად, რადგან სხვადასხვა საზოგადოებებში შეიძლება სხვადასხვაგვარი წარმოდგენები არსებობდეს იმის შესახებ, თუ რომელი მოთხოვნილებები/ინტერესები უნდა იყოს მიღებული როგორც ბაზისური. ამ საზოგადოებების წარმომადგენლებს შორის რაიმე სახის ხელშეკრულების დადება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეძლებენ, რომ არგუმენტირებულად აუხსნან ერთმანეთს საკუთარი ინტერესები და აჩვენონ, რომ ამ ინტერესებს მათი ოპონენტების კოორდინატთა სისტემაშიც კი აქვს არსებობის უფლება. შესაბამისად, იმისთვის რომ გადავლახოთ კომუნიტარისტული კრიტიკა ამასთან მიმართებით, საჭიროა თვალსაჩინოდ ვაჩვენოთ, რომ სრულიად შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და ფასეულობების მატარებლებს შორის. თეორეტიკოსი კონსტრაქტარიანელების მიერ ამ აზრის გაცნობიერებამ ხელშეკრულების ტრადიციაში ახალი პარადიგმის წარმოშობა გამოიწვია, რომლის ფარგლებშიც აქცენტირება ხდებოდა არა იმ რაციონალური არჩევანის ვითარების მოდელირებაზე, რომელშიც ჩართული არიან პიროვნების კონცეფციით აღწერილი ინდივიდები, არამედ განსხვავებული კულტურული იდენტურობის წარმომადგენელთა შორის კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობების ანალიზზე. ამ პარადიგმის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ადამიანური საქმიანობის კომუნიკაციურ ასპექტებს და მორალური არგუმენტაციის საკითხებს.

მსგავსი სახის პირველი კონცეფცია შემოთავაზებულ იქნა გერმანელი მოაზროვნის ი. ჰაბერმასის[1] მიერ. მისი დამოკიდებულება პრობლემისადმი მნიშვნელოვნად განსხვავდება ხელშეკრულების თეორიის ადრე შემოთავაზებულ ინტერპრეტაციათაგან. ჰაბერმასის იდეებს მყარი ფილოსოფიური საფუძველი აქვს. მისი პოლიტიკური შეხედულებები ორგანულადაა შერწყმული მის სოციოლოგიურ თეორიასთან. ის თავის ფილოსოფიურ სისტემაში ბიუკანანის, ნოზიკისა და როლზის სისტემებისგან განსხვავებით, საწყის ვითარებაში სამართლიანობის რაიმე სახის აბსტრაქტული პრინციპების მარტო ე.წ. „გათვლას“ კი არ გვთავაზობს, არამედ სოციალური ინტერაქციების დროში რეალურ მიმდინარეობაზე ახდენს ყურადღების კონცენტრაციას. მისთვის საზოგადოება არ არის რიგიდული სტრუქტურა, რომელიც უცვლელ ნორმებს ემორჩილება; რეგულაციის ინსტიტუტები განუწყვეტლივ შეიძლება იცვლებოდეს შექმნილი ვითარებიდან, სოციუმში ძალთა ბალანსიდან გამომდინარე. შესაბამისად, პოლიტიკური და მორალური თეორეტიკოსების ამოცანაა ისეთი, ყველაზე სამართლიანი პრინციპების შემუშავება, რომლებიც მსგავსი ცვლილებების პროცესის გაკონტროლების საშუალებას მოგვცემს. ჰაბერმასს პირველ რიგში აინტერესებს, თუ როგორ შეუძლიათ, და შეუძლიათ კი საერთოდ ინდივიდებს თავიანთი ურთიერთობების წესების ტრანსფორმირება; შესაძლებელია თუ არა ამ საკითხის რეგულირება და მისი მდგენი რომელი ნორმები უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა განსაზღვრული.

ის იღებს კონტრაქტარიანიზმის ძირითად თეზისს, რომლის თანახმადაც გადაწყვეტილება ასეთი ნორმების შინაარსის შესახებ ერთად უნდა მიიღოს ყველამ, ვისაც ეს ეხება, ანუ ის დაინტერესებულ პირთა შეთანხმების შედეგი უნდა იყოს. მხოლოდ ასე შეძლებს პოლიტიკური ნორმები ლეგიტიმაციის მოპოვებას. მაგრამ როგორი უნდა იყოს ასეთი ხელშეკრულების დადების პირობები? ჰაბერმასი ვერ ხედავს ადამიანების სასიცოცხლო ინტერესებიდან და მოთხოვნილებებიდან სრული აბსტრაჰირების აუცილებლობას, რასაც დაჟინებით მოითხოვს როლზი. ფილოსოფოსი მიიჩნევს, რომ ჭეშმარიტად სამართლიანი იქნება მხოლოდ ის გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებენ კონსესუსში ჩართული ყველა აგენტის მიზნებზე სრული ინფორმაციის მქონდე ინდივიდები. ანუ ინდივიდები, რომლებსაც

[1] Хабермас, Ю. Моральное сознание и комуникативное деиствие, Наука 2000.; Очерки политичнской теории, М. , 2008; ,,Теория комуникативного деиствия, М. , 2007

ინფორმაცია ექნებათ როგორც საკუთარ, ასევე გარშემო მყოფ ადამიანთა მიზნებზე. მისი აზრით არცოდნის ფარდა თითქმის ანადგურებს როლზის თეორიის პოტენციალს, რადგან გაურკვეველია, როგორ შევუხამოთ ერთმანეთს არცოდნის მოთხოვნა და ალტერნატივების ცოდნა (რომლებიც კიდევ შესაფასებელი იქნება). ჰაბერმასი ასევე არ მოითხოვს სამართლიანობის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი პრინციპების მიღებას, რომლებიც მომავალში არ შეიძლება, რომ გადაიხედოს. პირიქით, ის დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ აუცილებელია სოციალური ურთიერთქმედებების მომწესრიგებელი ნორმების მუდმივი განახლება; ეს უკანასკნელნი უნდა გახდეს დაინტერესებული მხარეების მუდმივი მსჯელობის ობიექტი.

ჰაბერმასის მტკიცებით, მის მიერ წამოჭრილ პრობლემათა გადაჭრა პრინციპულად შესაძლებელია. მისი აზრით ადამიანებისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ სტრატეგიული რაციონალურობა (რომელიც სარგებლიანობის მაქსიმიზაციაზე რაციონალური არჩევანის თეორიის იგივეობრივია), არამედ კომუნიკაციური რაციონალურობაც, რომელიც ადამიანთა შორის მყარი კავშირების დამყარებისკენაა მიმართული. ჰაბერმასისეული ადამიანი არის არა ეგოისტი მაქსიმიზატორი, არამედ ის zoon politikon-ის ერთგვარი თანამედროვე ვარიანტია; საზოგადოებრივი ყოფა მისი, როგორც ადამიანის არსებობის საკვანძო ასპექტია. ფილოსოფოსის აზრით, ,,სხვების ქმედებათა გაგების პრობლემა წარმატებით შეიძლება გადაიჭრას გარკვეული მაკოორდინირებელი სოციალური ინსტიტუტების (პირველ რიგში, ენის) მეშვეობით, რომლებიც ყველას თამაშის ერთიან წესებს სთავაზობს[1]". კ.ო. აპელის ნაშრომებზე დაყრდნობით ის ამტკიცებს, რომ ,,შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმ არგუმენტაციის (რომელიც წარმოდგენილია როგორც საკუთარი პოზიციის სხვათათვის გაზიარებაზე მიმართული დისკურსის ძირითადი ფორმა) გარკვეული პრაგმატული წინაპირობები, რომლებსაც ვერ უარვყოფთ ისე, რომ წინააღმდეგობაში არ შევიდეთ საკუთარ თავთან. სწორედ ეს ფუძემდებლური ფორმები ქმნის წარმატებულ პიროვნებათაშორისი კომუნიკაციის საფუძველს[2]". თუ მოხერხდება იმის ჩვენება, რომ არსებობს დისკურსის გარკვეული სახეების ასეთი წანამძღვრები, ეს საკმაოდ ძლიერი არგუმენტი იქნება იმის სასარგებლოდ, რომ სხვადასხვა ინდივიდებისთვის არსებობს

[1] Хабермас Ю. Моральное сознание и коммуникативное деиствие. С. 125-129
[2] Хабермас Ю. Теория коммуникативного деиствия , С. 65-66

საერთო ენის გამონახვის შესაძლებლობა, და რაც უფრო ზოგადი იქნება დისკურსის ეს სახე, მით უფრო დამაჯერებელი გახდება არგუმენტი. ამ და თავისი სოციოლოგიური კონცეფციის ზოგიერთ სხვა დებულებაზე დაყრდნობით, ფილოსოფოსი აგებს დისკურს-ეთიკას, რომელიც მისი მტკიცებით უნდა გახდეს სამართლიანი საზოგადოების საძირკველი. ამ იდეის არსი კი ის არის, რომ შესაძლებელია გარკვეული პროცედურული წესების შემოტანა, რომლებიც მოაწესრიგებს მორალურ საკითხთან დაკავშირებულ დისკუსს და ამ წესებით შემოსაზღვრულ კომუნიკაციურ სივრცეში შესაძლებელი გახდება ყველასთვის მისაღები გადაწყვეტულების პოვნა. ჰაბერმასის ეთიკას საფუძვლად უდევს ორი პროცედურული პრინციპი:

1) D („დისკურსის“) პრინციპი. დისკურსის ეთიკის თანახმად, ამა თუ იმ ნორმას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს მნიშვნელობაზე, თუ ყველა, ვისაც კი ეს ეხება, როგორც პრაქტიკული დისკურსის მონაწილეთ, მიაღწევენ (ან შეეძლოთ, რომ მიეღწიათ) თანხმობას იმის თაობაზე, რომ ეს ნორმა ძალაშია.

2) U („უნივერსალიზაციის“) პრინციპი. ნებისმიერი ქმედითი ნორმა უნდა აკმაყოფილებს შემდეგ პირობას: ის პირდაპირი და თანმდევი მოქმედებები, რომლებიც ასე თუ ისე გამომდინარეობს (სავარაუდოდ) თითოეული ცალკეული პირის ინტერესების დაკმაყოფილებასთან მიმართებით ამ ნორმის საყოველთაო დაცვიდან, შესაძლებელია მიღებულ ყოფილიყო ყველას მიერ, ვისაც ეს ნორმა ეხება (და ის მათთვის უფრო მისაღები აღმოჩნდებოდა, ვიდრე პიროვნებათაშორისო კონფლიქტების მოწესრიგების მათთვის ცნობილი სხვა ფორმების შედეგები).

ფილოსოფოსის აზრით ეს ორი პრინციპი უნდა გახდეს საზოგადოებრივი ურთიერთობების ნებისმიერი იმ სისტემის საფუძველი, რომელსაც სამართლიანობის სტატუსზე აქვს პრეტენზია. ადამიანებს ნებისმიერ სფეროში შეუძლიათ მიაღწიონ ურთიერთხელსაყრელ შეთანხმებას, თუ მათ სამართლიან პირობებში ექნებათ თავისი პრობლემების განხილვის შესაძლებლობა. „სიკეთეების“ განაწილების საკითხები, რომლებიც როლზსა და ნოზიკისათვის საკვანძოა, კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების წესები, რაზეც კონცენტრირებული იყვნენ ბიუკანანი და ტალოკი, და საზოგადოების კონკრეტული პოლიტიკური დიზაინი, რომელიც კლასიკური ხელშეკრულების კონცეფციების ავტორების ყურადღების ცენტრში იყო,

ჰაბერმასისთვის მეორე რიგის პრობლემებს წარმოადგენს, რომელთა წარმატებით გადაწყვეტა დისკურსის სამართლიანი პირობების შექმნაზეა დამოკიდებული.

მისი ეთიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა დიაქრონიული ხასიათი – საზოგადოებრივი ხელშეკრულება მეორდება თითოეული ახალი პრობლემის წარმოშობასთან ერთად და ყოველივე ეს ხდება რეალურ დროში ადამიანთა ყოველდღიური მოთხოვნილება-ინტერესების მიზეზით. სამართლიანობის ნებისმიერი წესი, რომლებიც სცდება მისი პროცედურული ასპექტის ფარგლებს, არ შეიძლება პოსტულირებული იყოს, როგორც უცვლელი. უფრო მეტიც, თეორიულად ამ წესების მიერ შეთავაზებული პროცედურული სამართლიანობის პრინციპებიც კი შეიძლება გაკრიტიკებულ იქნეს. თუმცა ჰაბერმასი უშვებს, რომ არსებობს სამართლიანობაზე მრავალგვარი წარმოდგენების კონვერგენციისა და უნივერსალური კონცეფციის ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რაც გამომდინარეობს ადამიანთა დისკურსიული და რაციონალური უნარების ერთგვაროვნებიდან. გარდა ამისა, მისი აზრით დისკურს-ეთიკის საფუძველზე შესაძლებელია ადამიანთა მოღვაწეობის სპეციფიკური სფეროების მარეგულირებელი კონკრეტული სამართლიანი წესების შემუშავებაც. ჰაბერმასისთვის დისკურსიული ეთიკის გამოყენების უმნიშვნელოვანეს სფეროს პოლიტიკა წარმოადგენს, რადგან პრაქტიკაში კონფლიქტების გადაწყვეტა ძალადობის სხვადასხვა ფორმების დახმარებით ბევრად აღემატება კონსენსუსის მიღწევაზე ორიენტირებული მეთოდის გამოყენებას.

თავისი შემდგომი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჰაბერმასმა თავისი ეთიკური სისტემის პრინციპების თანამედროვეობის ისეთ აქტუალურ პოლიტიკურ პრობლემებთან მისადაგებას მიუძღვნა, როგორებიც არის ეროვნებათაშორისი კონფლიქტები, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, ადამიანის უფლებები, ტერორიზმთან ბრძოლა. მისი კონცეფცია ერთ-ერთი პირველი ნამუშევარი გახდა ბოლო ორი ათწლეულის ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკურ-ფილოსოფიური პროექტის – დელიბერატიული დემოკრატიის თეორიაში. გერმანელი ფილოსოფოსის იდეებმა მასშტაბური დისკუსიები გამოიწვია თვითონ საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის ფარგლებშიც. კერძოდ, ჯ. როლზმა ჰაბერმასის კრიტიკის პასუხად გარკვეული ცვლილებები შეიტანა კონტრაქტარიანული დოქტრინის მისეულ ინტერპრეტაციაში, რომელიც „სამართლიანობის თეორიაში“ ჰქონდა

წარმოდგენილი. როლზის განახლებული ხელშეკრულების კონცეფცია ყველაზე სრულყოფილი სახით გადმოცემულია ტრაქტატში „პოლიტიკური ლიბერალიზმი“. მასში ძირითადი ყურადღება ეთმობა საკონსტიტუციო პრინციპების განსაზღვრის იმ დისკურსიულ და კომუნიკაციურ ასპექტებს, რომლებიც საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს. როლზი ღიად აღიარებს, რომ თავის კვლევაში მხოლოდ ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკური ორგანიზაციით შემოიფარგლება (მსგავსი ინტენცია აშკარაა „სამართლიანობის თეორიაშიც“, თუმცა დაწვრილებით არ განიხილება). მაგრამ ის უშვებს, რომ ასეთ საზოგადოებებშიც კი შეიძლება იყვნენ სრულიად განსხვავებული კულტურული იდენტურობის და „პირველადი კეთილდღეობათა“ მქონე ადამიანები. ამის მიუხედავად, საზოგადოების, როგორც ერთიანი მთლიანობის შენარჩუნება აუცილებლად გულისხმობს ისეთი საკონსტიტუციო შეთანხმების შემუშავებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს თანაბრად გავითვალისწინოთ განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე ჯგუფთა ძირითადი მოთხოვნილებები, გადავწყვიტოთ საკვანძო ფასეულობითი კონფლიქტები და უზრუნველვყოთ სტაბილურობა და მშვიდობა.

„პოლიტიკურ ლიბერალიზმში“ როლზი კონცენტრირებულია არა იმდენად განაწილებითი სამართლიანობის პრინციპებზე, რამდენადაც იმის დამტკიცებაზე, რომ პლურალისტურ საზოგადოებაში ლიბერალურ-დემოკრატიული სახელისუფ-ლებო ინსტიტუტები შეიძლება ლეგიტიმური და მდგრადი იყოს. ამ ნაშრომში აღწერილ „მსოფლიოში“ ადგილი არ რჩება „არცოდნის საფარით“ განპირობებული ინფორმაციული შეზღუდვებისთვის. ინდივიდის კონცეფცია, რომელსაც როლზი აქ იყენებს, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ კონცეფციისგან, რომელიც „სამართლიანო-ბის თეორიაშია“ წარმოდგენილი. რაციონალური (rational) ეგოისტი-მაქსიმიზა-ტორის ნაცვლად ის თავისი თეორიის ცენტრში „გონიერ“ მოქალაქეს აყენებს. ცნება „გონიერისა“ ამ შემთხვევაში არ არის იგივეობრივი რაციონალურობის იმ ცნებისა, რომელიც ხელშეკრულების კლასიკურ თეორიებში გვხვდება. აქ „გონიერად“ ითვლება ინდივიდი, რომელიც ისწრაფის, რომ იცხოვროს სამართლიან, ყველა მისი წევრისთვის მისაღები პრინციპებით მოწყობილ საზოგადოებაში. ასეთი ინდივიდისთვის საზოგადოებრივი ხელშეკრულების დადება არის არა მარტო კერძო

ინტერესების რეალიზების საშუალება, არამედ მიზანიც, რომელსაც დამოუკიდებელი ფასეულობითი შინაარსი აქვს. გონიერ მოქალაქეებს შეიძლება სხვადასხვა წარმოდგენები ჰქონდეთ სამყაროში საკუთარი ადგილის, სიკეთისა და ბოროტების, საკუთარი კეთილდღეობის შესახებ. მაგრამ თავად „გონივრულობის“ სტატუსის გამო ისინი სხვა ადამიანებს უტოვებენ თავიანთი შეხედულებებისგან განსხვავებულ შეხედულებების ქონის უფლებას. როლზისთვის შემწყნარებლობა პრაქტიკული გონების მოთხოვნაა. მსოფლმხედველობითი საკითხები იმდენად რთულია, რომ შეუძლებელია ნამდვილად გონიერმა ინდივიდმა დარწმუნებით განაცხადოს პრეტენზია მათ საბოლოო გადაწყვეტაზე. მან უნდა აღიაროს, რომ სხვებსაც აქვთ ფუნდამენტურ პრობლემებზე მოსაზრებების დამოუკიდებლად გამოტანის უნარი და დაეთანხმოს იმას, რომ აუცილებელია ამ მოსაზრებათა პატივისცემა.

პოლიტიკურ საზოგადოებაში იდენტურობების შესაძლო პლურალიზმის გასათვალისწინებლად როლზს შემოაქვს ორი ახალი ცნება: „გადამფარავი კონსესუსი“ და „საჯარო გონება“. ამ ტერმინის ყველაზე ზოგადი გაგებით, „საჯარო გონების“ კონცეფცია არის მოქალაქეობის თავისებური, კომუნიკაციის სივრცის საზღვრების განმსაზღვრავი კონცეფცია, რომელზედაც ვრცელდება და რომელშიც, კოლექტიური მცდელობებით წესდება პოლიტიკური საზოგადოების ძირითადი პრინციპები. შ. უოლინი საჯარო გონების კონცეფციას განმარტავს, როგორც რუსოსეული „საყოველთაო ნების“ ანალოგს „აკადემიური ლიბერალიზმის საუკუნეში“ და ამასთან აღნიშნავს, რომ როლზი არ ისწრაფვის „აიძულოს ადამიანები, თავისუფლები იყვნენ“, არამედ ცდილობს შექმნას მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სხვაგვარად მოაზროვნე უმცირესობების სამოქალაქო საზოგადოებაში ინკორპორაციას. ეს კონცეფცია აყალიბებს პლურალისტულ საზოგადოებაში პოლიტიკური ნორმების ლეგიტიმურობის დასაბუთების პროცედურისადმი მოთხოვნებს. როლზი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ნებისმიერი პრინციპი, რომელსაც საყოველთაო მნიშვნელოვნებაზე აქვს პრეტენზია, აუცილებლად უნდა იქნას დასაბუთებული განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე პირთათვის საჯარო ხასიათის მქონე ისეთი არგუმენტების დახმარებით, რომლებიც – 1) ინტუიციურად გასაგები და მისაღებია მოქალაქეთა უმრავლესობისთვის და 2) შეფასებას აძლევს შესაბამის პრინციპს „საერთო კეთილდღეობის“ ცნებების მეშვეობით.

„გადამფარავ კონსესუსში“ როლზი გულისხმობს სამართლიანობის პრინციპების ნაკრებს, რომლებზედაც შესაძლებელია შეთანხმების მიღწეცა განსხვავებული იდენ-ტურობის მატარებელთა შორის. მოტივები, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ჯგუ-ფების წარმომადგენლები კონკრეტულ პრინციპს მათი ინტერესების შესაბამისად თვლიან, სხვადასხვა შეიძლება იყოს. აქ აუცილებელ პირობას მხოლოდ ამ პრინციპის მიღების არაწინააღმდეგობრივი, ლოგიკური არგუმენტაციის ფორმულირების შესაძლებლობა წარმოადგენს, რომელიც ამა თუ იმ ჯგუფის ზოგადი მსოფლმხედველობის იგივეობრივი იქნება. და მაინც, სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები შეიძლება დაეთანხმონ იმას, რომ თითოეულ მათგანს უფლება აქვს ის ღმერთი ირწმუნოს, რომელიც საჭიროდ მიაჩნია, იმის მიუხედავადაც კი, რომ წანამძღვრები, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ მიერ რწმენის თავისუფლების უფლების აღიარებას, არსებითად განსხვავებულია.

ჰაბერმასის მსგავსად როლზსაც არა აქვს პრეტენზია „გადამფარავი კონსენსუ-სის“ შინაარსი ერთადერთი შესაძლო ხერხით იყოს დადგენილი; ფილოსოფოსის მტკიცებით, ის ფუძემდებლური პრინციპები, რომლებიც მიჩნეულია პლურალისტური ლიბერალური სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის მისაღებად, შეიძ-ლება იცვლებოდეს გარე და შიდა ვითარებიდან გამომდინარე. ამის მიუხედავად, როლზი მაინც ჩამოთვლის იმ ძირითად ინსტიტუტებს, რომლებიც, მისი აზრით, უზრუნველყოფს ლიბერალური საზოგადოების მოწყობის ფუძემდებლური პრინციპების ეფექტურ რეალიზაციას, იმ პრინციპებისას, რომლებიც ამ საზოგადოე-ბის მოქალაქეებს, იმისდა მიუხედავად, თუ როგორია მათი პირადი მსოფლმხედვე-ლობა, შეუძლიათ მიიღონ გონივრული პოლიტიკური წესების სახით. ეს „ნაკრები“ წარმოადგენს 1971 წლის ნაშრომში ჩამოყალიბებული სამართლიანობის პრინციპების გაფართოებულ სიას. რესურსების სამართლიანი განაწილების, ასევე თანაბარი უფლებებისა და თანაბარი (შედარებით) შესაძლებლობების მიცემის გარდა, როლზი ახსენებს ისეთ სპეციფიკურ მექანიზმებსაც კი, როგორებიც არის ჯანდაცვის უნი-ვერსალური სისტემა, არჩევნების სახელმწიფო დაფინანსება და უმუშევართა შემ-წეობა. მსგავს კერძო შემთხვევებს მხოლოდ არაპირდაპირი დამოკიდებულება აქვს მისი ნაშრომის იმ ასპექტებთან, რომლებიც საინტერესოა საზოგადოებრივი ხელშეკ-რულების თეორიის თვალსაზრისით და ჩვენ ამას აღარ შევეხებით.

„პოლიტიკური ლიბერალიზმის“ გარდა, დელიბერატიული პროექტის განვითარების ფარგლებში შემოთავაზებული იყო, ასევე რამდენიმე კონცეფცია, რომლებიც ავითარებდა საჯარო დასაბუთების პრინციპის (public justification) ამა თუ იმ ვერსიას, რომელიც, პრაქტიკულად, ჰაბერმასის დისკურს-ეთიკის ინტენციის რეალიზაციისკენ არის მიმართული. მსგავსი სახის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პროექტი შემოგვთავაზა ტ. სკენლონმა[1]. ის მორალური „ფილტრის“ სახით (ანუ მეტა-პრინციპის სახით, რომელიც კანტის ფილოსოფიაში საზოგადოებრივი ხელშეკრულების მეორე ვერსიის თანახმად სხვადასხვა ეთიკური და პოლიტიკური ნორმების მორალური „სტატუსის“ შემოწმებას ემსახურება) იყენებს არა ყველა დაინტერესებული ინდივიდის თანხმობას, არამედ გონივრულ საწყისებზე ამა თუ იმ იმპერატივის უარყოფის შეუძლებლობას. სკენლონის მიხედვით, ნებისმიერ პრინციპს, რომელიც აწესრიგებს ინდივიდუალურ (და ჯგუფურ) ქცევას, შეიძლება ჰქონდეს ნორმატიულობის პრეტენზია, თუ ვერცერთი ადამიანი, რომელთაზეც ვრცელდება ამ პრინციპის გამოყენებით გამოწვეული რაიმე სახის შედეგი, ვერ წარმოადგენს მისი მიღების საწინააღმდეგო რაციონალურ მოსაზრებას. ადვილი შესამჩნევია, რომ ამგვარ მეტა-ეთიკურ ფილტრს ტოლერანტობის გაზრდილი ზღურბლი აქვს, რაც შესაძლებლობას აძლევს მრავალ ნორმატიულ სისტემას სამართლიანობის ფუძემდებლური პრინციპების სტატუსზე ჰქონდეს პრეტენზია: ეს ფილტრი მოითხოვს არა რაციონალურობის ინდივიდუალური კონცეფციის გარკვეული პრინციპით ნავარაუდები უპირატესობების გათანასწორებას, არამედ იმის დაწვრილებით აღწერას, თუ რატომ არის ეს პრინციპი მკაცრად მიუღებელი.

სკენლონის კონტრაქტუალიზმის თეორიამ ძლიერი ზეგავლენა იქონია ხელშეკრულების კონცეფციის განვითარებაზე.

კონტრაქტუალისტური მიდგომისა და ჰაბერმასის დისკურს-ეთიკის შეთავსების მცდელობა განახორციელა ამერიკელმა პოლიტ. ფილოსოფოსმა ნ. საუტვუდმა[2], რათა დაეძლია სკენლონის „გონივრული უარყოფის“ ცნებასთან დაკავშირებული სირთულეები და ხელშეკრულების კონცეპტისთვის პოზიტიური მიმართულება დაებრუნებინა (აქცენტია შეთანხმებაზე და არა უარყოფის შეუძლებლობაზე). სკენლონის იდეებით ასევე აქტიურად ისარგებლა ინგლისელმა

[1] Scanlon T. , What we ove to each other, Cambridge, MA: Harvard University Press, 1998

[2] Southwood N. ,,Contractualism and the Foundations of morality, Oxford University Press, 2010

პოლიტიკურმა ფილოსოფოსმა დ. პარტიფმა[1] ნაშრომში "On What Matters" , რომელიც ვფიქრობთ რომ ნორმატიული პოლიტიკური აზროვნების სფეროში „სამართლიანობის თეორიის" შემდგომ გამოქვეყნებული ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომია.

დღეისათვის ხელშეკრულების პარადიგმის კიდევ ერთი პერსპექტიულ მიმართულებას ე.წ. „კანტიანური კონსტრუქტივიზმი" წარმოადგენს. ეს არის ადამიანური წარმოდგენების ფილოსოფიური ანალიზის მეთოდოლოგია, დაფუძნებული კანტის ეთიკური თეორიის თანამედროვე ინტერპრეტაციაზე, რომელიც 1980 წელს ჯ. როლზის მიერ იყო შემოთავაზებული. მოცემულ შემთხვევაში შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს ტერმინმა „კონსტრუქტივიზმი". თუმცა ამ მიმართულების მომხრეები იზიარებენ იმას, რაც საერთო აქვს XX კონსტრუქტივიზმის სხვადასხვა სახესხვაობებს, ანუ რწმენას იმისა, რომ სოციალური ნორმები ყალიბდება სოციალური ინტერაქციების მსვლელობაში და ამავდროულად რეგულაციურ პრინციპებს „გამოგონილ" იდეებად არ განიხილავენ. ამ პრინციპების „კონსტრუქტივისტული" ხასიათი მხოლოდ ის არის, რომ ადამიანური ბუნების გარკვეული კონცეფციიდან მათი მიღება დედუქციის მეთოდებით ხდება. როლზი მიუთითებს, რომ კონსტრუქტივისტული მიდგომის კანტისეული ვერსიის ფარგლებში ეთიკური თეორიის მხოლოდ შინაარსი იქმნება; თავად დასაბუთებისა და ლეგიტიმაციის პროცედურა კი არ წარმოადგენს კონსტრუირების საგანს. პირიქით, ის შეადგენს „სამშენებლო მასალას", რომლის გარეშეც შეუძლებელია თავად პროცესი. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში სინამდვილის კონსტრუირება უფრო საყოველთაოდ მიღებული მორალური წარმოდგენების რეკონსტრუირება და ადამიანის გონების განსაზღვრულ თანდაყოლილ მახასიათებლებში მათი ჩანერგვის მცდელობა გამოდის.

ისევე, როგორც კონტრაქტარიანიზმის სხვა სახესხვაობებში, კანტიანურ კონსტრუქტივიზმშიც პოლიტიკური ან ეთიკური ნორმების ლეგიტიმურობის ზღვრულ საფუძველს საყოველთაო თანხმობა წარმოადგენს; მაგრამ აქ აუცილებელი არ არის, რომ თანხმობა გაგებულ იყოს, როგორც რაციონალურ და ავტონომიურ ინდივიდებს შორის ერთგვარი, თუნდაც ჰიპოთეტური ხელშეკრულების აქტი. კონსტრუქტივისტულ პარადიგმებში უნივერსალური პერსპექტივა შეიძლება

[1] Parfit, D. ,,On what matters", Oxford University Press, 2011

მიღწეულ იქნეს სხვა ხერხის დახმარებით, მაგალითად, იმით, რომელიც კანტის კატეგორიულ იმპერატივშია გამოყენებული: ინდივიდს რომელიღაც ნორმატიული პრინციპის სტატუსზე ფიქრისას სთავაზობენ, მიიღოს გადაწყვეტილება მოცემული პრინციპის საყოველთაო კანონის სახით გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე. თუ კონკრეტული ნორმა შესაბამის ფილტრს გაივლის, ანუ მას მიიღებს (ან ვერ შეძლებს მის უარყოფას) ყველა რევალენტური აგენტი, ის არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას, როგორც მორალური თვალსაზრისით მცდარი ან არასწორი. ასეთი პროცედურა არ გულისხმობს ვაჭრობის აუცილებლობას (როგორც ბიუკანანის და ტალოკის, როლზის ან გოტიეს სახელშეკრულებო კონცეფციებში) ან, თუნდაც, ინდივიდების მიერ ერთობლივ განხილვას ამა თუ იმ პრინციპის ლეგიტიმაციისთვის; ამრიგად, ხელშეკრულების იდეა ამ ტრადიციაში მხოლოდ ლატენტური ფორმით არის წარმოდგენილი.

კანტიანური კონსტრუქტივიზმი კონტრაქტარიანიზმის სხვა თანამედროვე ვერსიებისგან კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავებით ხასიათდება. თუ სახელშეკრულებო კონცეფციათა უმრავლესობაში ივარაუდება, რომ [პოლიტიკური] ნორმების ლეგიტიმურობის საფუძველია ინდივიდუალურ ინტერესებთან მათი კონგრუენტობა, კანტიანური კონსტრუქტივიზმის მომხრეები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ მიზეზი, რომლის გამოც საჭიროა მორალის მოთხოვნებისადმი ან პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი დამორჩილება, თავად ადამიანის, როგორც რაციონალური აგენტის ბუნებაშია ჩადებული. ეს კონცეფცია ავითარებს კანტისეულ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ მორალური ნორმები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დასაბუთებული იყოს, თუ ისინი გამომდიანარეობს პრაქტიკული გონების მოთხოვნებიდან და ლეგიტიმურობის ყოველგვარი ემპირიული წყაროებისგან ავტონომიურია.

კანტიანური კონსტრუქტივიზმის მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება ხელშეკრულების პარადიგმის თანამედროვე ინტერპრეტაციებისგან (განსაკუთრებით დელიბერატიული ვერსიებისგან) არის მისი უნივერსალისტური ხასიათი, ამ პროექტში იმპლიციტურად ჩადებულია წარმოდგენა იმის შესახებ, რომ „კონსტრუირების“ შედეგი უნდა გახდეს პრინციპთა სიმრავლე, რომელთაგან თითოეული ინტუიციურად იქნება გასაგები ინდივიდისთვის. მაგრამ, ასეთ

შემთხვევაში, ამ პრინციპების დასასაბუთებლად არ მოითხოვება არც ლოკალური საზოგადოების ტრადიციების დამოწმება (რასაც დაბეჯითებით ითხოვენ კომუნიტარისტები), და არც „გადამფარავი კონსენსუსის“ გამოყენება (რასაც გვთავაზობს თავად როლზი „პოლიტიკურ ლიბერალიზმში“). რადგან ნორმათა სისტემის შინაარსი და მიღების მოტივაცია ყველასთვის თვალნათელია, ზედმეტი ხდება ლეგიტიმურობის დამატებითი წყაროების გამოყენება.

კანტიანური კონსტრუქტივიზმის საინტერესო ვერსიას გვთავაზობს კ. კორსგორი. როგორც როლზი და სახელშეკრულებო თეორიის დელიბერატიული ინ-ტერპრეტაციის მომხრეები, ნორმების ლეგიტიმურობის დასაბუთების საკითხს კორსგორიც პროცედურული თვალსაზრისით უდგება. ის მიიჩნევს, რომ „მორალურ კითხვებზე პასუხები არსებობს, თუ არსებობს კორექტული პროცედურები, რომ-ლებიც იძლევა მათი მიღების შესაძლებლობას[1]“. იმის გამო, რომ კორსგორი გარკვეულწილად აღიარებს მორალური ჭეშმარიტების არსებობას, თავის კონცეფციას განსაზღვრავს, როგორც „პროცედურული რეალიზმის“ სახესხვაობას. ამის მიუხე-დავად, თავად კორსგორი მიუთითებს, რომ მისი თეორია განსხვავდება ორთოდოქსა-ლური მორალური რეალიზმისგან. ის თვლის, რომ ნებისმიერი ნორმა ლეგიტიმურია, თუ ის შეესატყვისება პრაქტიკული გონების მოთხოვნებს.

ამგვარად, ზოგადად დღეს კონტრაქტარიანიზმში შეიძლება გამოვყოთ სამი მთავარი მიმართულება: პირველი წარმოდგენილია როლსის „სამართლიანობის თეორიაში, აგრეთვე ბიუკენანის, ნოზიკისა და გოტიეს შრომებში, რომელიც ეფუძ-ნება კლასიკურ კონტრაქტულ თეორიათა ინდივიდის კონცეფციას. ამ მიმდინა-რეობაში ყურადღება გამახვილებულია განაწილებითი სამართლიანობის პრობლე-მებზე. მეორე მიმართულება ეკუთვნის ჰაბერმასს, გვიანდელ როლსს, საუტვუდს და აგრეთვე „ეპისტემურ“ და დელიბერატიულ დემოკრატიათა კონცეფციების სხვადასხვა ავტორებს. ეს ავტორები ე.წ. „ეგოისტურ მოდელს“ ავსებენ ადამიანური ბუნების ე.წ. კომუნიკაციური ასპექტებით და ფოკუსირებას ახდენენ მულტიკულტურულ საზოგადოებაში საბაზისო, კონსტიტუციურ პრინციპთა შესახებ კონსესუსის მიღწევის პრობლემაზე. მესამე მიმართულება კი გახლავთ კანტიანური კონსტრუქტივიზმი, რომელიც უნივერსალურ პრინციპთა შემუშავებას ისახავენ

[1] Korsgaard, C. The constitution of agency, Oxford Universiti Press, 2008, P. 30-31.

მთავარ მიზნად, პრინციპთა, რომელიც ეფუძნება პრაქტიკული გონების მოთხოვნებს (ო. ნილი, ნაწილობრივ, სკენლონი, კორსკგორი...).

ამგვარად, ჩვენ ფაქტობრივად განვიხილეთ საზოგადოებრივი ხელშეკრულების ყველა ძირითადი თანამედროვე ინტერპრეტაცია და უკვე შეგვიძლია პასუხი გავცეთ კითხვას: არის თუ არა ეს მიმართულებები ერთიანი მიმდინარეობა პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრისა? აქ ჩვენი პასუხი ერთმნიშვნელოვანია: თანამედროვე კონტრაქტული კონცეფციები პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრის კონცეპტუალურად ერთიან მიმდინარეობას წარმოადგენს. ამ საკითხზე დაწვრილებით ვისაუბრებთ მომდევნო თავის პირველ პარაგრაფში, როცა განვსაზღვრავთ კლასიკურ და არაკლასიკურ კონვენციონალურ თეორიათა მსგავსება-განსხვავებებს.

§4 საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია და თანამედროვე ემპირიული კვლევების არსი

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თანამედროვე თეორია დიდწილად დაფუძნებულია პოზიტივისტური მეცნიერებათა პრინციპებზე. მისი საკვანძო დაშვებების უმრავლესობა შეიძლება ხელახლა ფორმულირდეს ჰიპოთეზის სახით, რომელიც ექვემდებარება ემპირიულ შემოწმებას. „სამართლიანობის თეორიის“ შემდეგ საზოგადოებრივი ხელშეკრულების ცალკეულ დებულებათა ემპირიული შემოწმების მრავალი მცდელობა იყო. ასეთი მცდელობების უდიდესი ნაწილი ხორციელდებოდა ე.წ. „ქცევითი ეკონომიკის“[1] მიმართულებით. კვლევის შედეგებმა რაციონალური თეორიის ძირეულ დებულებათა გადახედვა განაპირობა, რასაც შედეგად მოჰყვა ქცევითი ეკონომიკაში კომუნიკაციური რაციონალურობის მთელ რიგ კონცეფციათა შექმნა, როგორიცაა მაგალითად დ. კანემანისა და ა. ტვერსკის „პერსპექტივის თეორია“, გ. საიმონის „შეზღუდული რაციონალურობის თეორია“, თ. ნეილის „გადაწყვეტილებათა მიღების თეორია“ და სხვა. ამ კონცეფციათა მიზანი იყო რაციონალური არჩევანის კლასიკური თეორიის იმ შინაგან წინააღმდეგობათა დაძლევა, რომლებიც ემპირიული კვლევების დროს იქნა აღმოჩენილი.

ამ ტენდენციამ თავისი დიდი ასახვა ჰპოვა პოლიტიკური ფილოსოფიაში რაციონალურობის სხვადასხვა კონცეფციებს შორის, რომლებიც ჩნდება ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით რაციონალური არჩევანის კლასიკური თეორიის გადააზრების შედეგად. აქ შეიძლება გამოვყოთ ინგლისელი პოლიტიკური ფილოსოფოსის ჯ. აინსლის „პიროვნების ჰობსისეული კონცეფცია“, სადაც ინდივიდი წარმოდგება, როგორც სხვადასხვა საპირისპირო ინტერესთა ერთიანობა, გადარჩენისთვის (ანუ საკუთარი რეალიზაციისთვის) ქაოსური ომის მდგომარეობაში მყოფი.

ზოგად პრინციპთა გამოკვლევები, პრინციპთა, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ადამიანები გადაწყვეტულებათა მიღებისას, მხოლოდ ირიბად ეხებოდა საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩატარდა მთელი რიგი ექსპერიმენტები, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა თანამედროვე

[1] მიმდინარეობა თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში, რომელიც სწავლობს ადამიანის რაციონალურობას რეალური სოციალურ ურთიერთობებში.

კონტრაქტული კონცეფციის ბაზისური იდეის შემოწმება, იდეისა, რომლის თანახმად, ინდივიდი, რომლის ქცევა განისაზღვრება ზოგიერთი სოციალურად მოცემული უპირატესობებით, ეთანხმება სამართლიანობის თეორიის იმ მოთხოვნებს, რომლებიც ამ კონცეფციიდან დედუქციურადაა გამოყვანილი.

ამ მიმართულებით კვლევების პიონერებად გვევლინებიან ინგლისელი მკვლევარები[1] ნ. ფლორიხი, და ოპენჰაიმერი და შ. ივი, რომლებმაც ემპირიულ დონეზე დაამტკიცეს, რომ „არცოდნის ფარდის მიღმა“ შეიძლება მიღწეულ იქნას ერთხმივი გადაწყვეტილება კოლექტივში კეთილდღეობის განაწილების პრინციპების შესახებ, მაგრამ ასეთი ექსპერიმენტალური საზოგადოებრივი ხელშეკრულების შინაარსი განსხვავდება როგორც როლსის, ისე მისი მოდელის მთავარი მეტოქის-უტილიტარიზმის წინასწარმეტყველებათაგან. ფლორიხის, ოპენჰაიმერისა და შ. ივის ექსპერიმენტებში ყველაზე პოპულარული არჩევანი აღმოჩნდა ე.წ. „ინტუიციონისტური პრინციპი“, რომელიც წარმოადგენს როლსის სამართლიანობის პრინციპებსა და „ორთოდოქსალური უტილიტარიზმს“ შორის გარკვეულ კომპრომისს: საშუალო დონის შემოსავლის მაქსიმიზაციას მინიმალური შემოსავლის ფიქსირებული გარანტიების მიცემით იმათთვის, ვისაც ბედი არ გაუღიმებს „არცოდნის ფარდის“ აწევის შემდეგ.

უმეტეს კვლევებში ყველაზე მეტად გავრცელებული არჩევანი საწყის მდგომარეობაში აღმოჩნდა სამართლიანი განაწილების სხვადასხვა კომბინირებული პრინციპები. მსგავს დასკვნებამდე მივიდნენ ის ავტორებიც, რომლებიც იყენებდნენ ე.წ. „მიუკერძოებელი დამკვირებლის“ მოდელს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კ. ჰერნეს[2] ემპ. შრომები, რომლებშიც სამართლიანობის პრინციპების არჩევა განიხილება არა უბრალოდ როლსიეულ საწყის მდგომარეობაში, არამედ ხდება „ბუნებრივ მდგომარეობათა“ სხვადასხვა მოდელების შედარება, კერძოდ, როლსის „არცოდნის ფარდისა“ და ტ. სკენლონის ე.წ. „მიუკერძოებელი დამკვირვებლის“ მოდელთა ურთიერთშედარება. ჰერნესა და მისი კოლეგების ექსპერიმენტალური კვლევების თანახმად, როლსის მიერ შემოთავაზებული განსხვავების პრინციპი ხშირად ირჩეოდა სკენლონის მიერ მოდელირებულ ამოსავალ მდგომარეობაში. „არ-

[1] Frolich N. , Oppenheimer J. , Eavey C. Laboratory results Rawls distributive justice, Britisch Journal of political science

[2] Herne k. , The role of information in choices over income distributions, Journal of Conflict Resolution.

ცოდნის ფარდის“ მიღმა მყოფთა აზრები ხშირად თანხვდებოდა სარგებლიანობის მაქსიმიზაციის უტილიტარულ პრინციპს (ჯგუფის ყველა წევრისთვის მინიმალური შემოსავლის გარკვეული გარანტიებით). ეს ექსპერიმენტული მონაცემები ადასტურებენ ხარსანის კრიტიკულ შენიშვნას იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი შეთანხმების როლსისეულ მოდელში ყველაზე რაციონალური არჩევანია მაქსიმიზაციის ტრადიციული პრინციპისა და არა „განსხვავების პრინციპის“ არჩევა. მთლიანობაში, კონტრაქტული თეორიების პრინციპთა ლაბორატორიული კვლევები მეტყველებს იმაზე, რომ პირობებმა, რომლებშიც მიმდინარეობს სამართლიანობის საბაზო პრინციპების არჩევა, შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ არჩევანზე; „ამოსავალი მდგომარეობის“ სპეციფიკაცია, რომელიც გარდაუვლად წინ უძღვის სამართლიანობის პრინციპთა არჩევას, სამართლიანობის კონვენციონალური თეორიის არსს განსაზღვრავს. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს ემპირიული შესწავლა იმისა, თუ როგორ იცვლება შეხედულებები სამართლიანობის იდეალური პრინციპებზე თვითონ „ამოსავალი მდგომარეობის“ მიხედვით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შეხედულებები, რომლებიც „არჩევანის პირობების“ ცვლილებებისას ინვარიანტული რჩება, წარმოადგენენ ადამიანთა მიერ სამართლიანობის პრობლემების ყველაზე ფუნდამენტურ გაგებას. ახალმა ექსპერიმენტულმა კვლევებმა შეიძლება წინ წასწიონ ამ საკითხის თეორიული კონცეფცია ძირითად დაშვებათა რეალურობისა და ამ დაშვებებზე დაფუძნებული მართლზომიერების შესახებ.

საზ. ხელშეკრულების თეორიის ვალიდობის ემპირიულ მტკიცებულებათა ძიება ხორციელდება ევოლუციურ სოცილოგთა მიერაც, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფორმირებისა და ცვლილებების პროცესების შესწავლაზე. როგორც ევოლუციურ ბიოლოგიაში, ამ დარგშიც ფართოდ არის გავრცელებული ე.წ. თამაშებრივი მეთოდები“, რაც მას აახლოებს საზოგადოებრივი ხელშეკრულების კონცეფციასთან. ევოლუციური თვალსაზრისით საზოგადოებრივი შეთანხმების განხილვის ყველაზე მასშტაბური მცდელობას წარმოადგენს კ. ბინმორის[1] ორტომიანი ნაშრომი „თამაშების თეორია და საზოგადოებრივი ხელშეკრულება“. ბინმორი ცდილობს კონცეფციას „სამართლიანობა, როგორც პატიოსნება“ მისცეს დინამიური განზომილება. მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეს არის უსასრულოდ გან-

[1] Binmore K. , Game theory and the social contract, Cambridge, Ma: MIT Press, 1998

მეორებად კოოპერატიულ თამაშებში წონასწორობის მოძებნის გზა. მას შემოაქვს ორი ძირითადი მეტაფორა: „ცხოვრების თამაშები“ და „მორალის თამაშები“. პირველი თამაში ასახავს საზოგადოების ფუნდამენტურ პრობლემას: უზრუნველყოს საკუთარი „გადარჩენა“. ეს თამაში მთლიანად ბუნების წესებით ითამაშება, რომელთა შეცვლაც ადამიანს არ ძალუძს; მორალური ნორმები კი, ბინმორის თანახმად, წარმოადგენს გარე პირობების ცვლილებებისადმი ადამიანთა კოლექტივების ადაპტაციის ფორმას. ვინაიდან სოციუმმა შეიძლება იარსებოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ყველა წევრი დაიცავს ერთი და იგივე წესს, მაშინ „ცხოვრების თამაშის“ ყოველ ახალ ეტაპზე საჭირო იქნება არჩეულ იქნას საბაზისო პრინციპები, რომლებიც დაარეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ურთიერთობის წესების შესახებ ინდივიდთა შეხედულებების კოორდინაციისთვის შემოიღება თამაში „მორალი“ (რომელიც საზოგადოებრივი ხელშეკრულების ნაირსახეობას წარმოადგენს): ადამიანები ერთად ირჩევენ სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტებს, რომლებიც განსაზღრავენ მათ ქცევას მთავარ თამაშში „გადარჩენა“. ვინაიდან ეს ინსტიტუტები აირჩევა ერთხმივი გადაწყვეტილებით, სოციუმის წარმომადგენლები უპირისპირდებიან რა ბუნებას, ამოდიან იქედან, რომ მათი ამხანაგები (თანამოარსებენი) მოქმედებენ ანალოგიურად, თავიანთ ქცევებში ხელძღვანელობენ მსგავსი მოტივებით. ეს დამატებითი ცოდნა საშუალებას იძლევა „ტრანსაქციული დანახარჯების“ მინიმიზაციისა და გარკვეულ გარანტიათა მიღებისა წარუმატებელი ინდივიდუალური სტრატეგიის არჩევის შემთხვევაში „ცხოვრების თამაშში“. ამგვარად, რაიმე ნორმატიული წესრიგის დადგენა როგორც საზოგადოებრივ პროცესთან კოორდინაციის ინსტრუმენტისა, წარმოდგება როგორც ცალკეულ ინდივიდთა რაციონალური არჩევანი, ინდივიდთა, რომლებიც უწინარესად ესწრაფვიან საკუთარ რეალიზაციას („გადარჩენას“, ბინმორის ტერმინით რომ ვთქვათ).

მიუხედავად უდავო სიახლისა, ბინმორის მოდელი შეიძლება მწვავედ იქნას გაკრიტიკებული. ნეშის წონასწორობის კონცეფცია, რომელსაც ბინმორი იყენებს, როგორც კოოპერატიული თამაშების ამოცანათა გადაწყვეტის ძირითად მეთოდს არ იძლევა ყოველთვის საშუალებას, შეირჩეს ერთადერთი „წონასწორობა“ მრავალთაგან (რაც დამახასიათებელია განმეორებადი კოოპერატიული თამაშებისთვის). მაშასადამე, მტკიცება იმისა, რომ „სამართლიანობა, როგორც პატიოსნება“ არის

უნივერსალური გადაწყვეტილება, შეიძლება დაყენებულ იქნას ეჭვქვეშ და მოითხოვს უფრო საფუძვლიან მტკიცეას, ვიდრე ეს ბინმორის მიერ არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, აქ სრულიად გაუგებარია, მეორე რიგის თამაშის შემოტანა, კერძოდ, „მორალის თამაშის“. ხომ არ უნდა შემოვიფარგლოთ ერთი დიდი თამაშისთვის ოპტიმალური გადაწყვეტილებების ძიებით?!!

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის იდეათა დასაბუთების საინტერესო ვარიანტს გვთავაზობს აგრეთვე ევოლუციური სოციოლოგი რ. საგდენი,[1] რომელმაც განმეორებადი კოოპერატიული თამაშების მეშვეობით აჩვენა, თუ როგორ ყალიბდება სოციალური კონვენციები. საგდენი თავის ნაშრომში „საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის ევოლუცია“ ასკვნის, რომ პრაქტიკაში მიღებული ნორმები ყოველთვის არ წარმოადგენს ყველაზე რაციონალურ არჩევანს; პირიქით, სრულიად შესაძლებელია, რომ კონკრეტულ სოციუმში დამყარდეს სამართლიანობის სუბოპტიმალური პრინციპები, რომლებშიც საკმაოდ მდგრადი იქნებიან გრძელვადიან პერსპექტივაში და შეძლებენ გაუწიონ წინააღმდეგობა მათ უფრო ეფექტური პრინციპებით შეცვლას; მეორე მხრივ სპონტანური სოციალური ურთიერთობების შედეგად წარმოშობილი კონვენციების ასეთი მდგრადობა შეიძლება განიხილებოდეს დამატებით არგუმენტად იმ ავტორთა წინააღმდეგ, რომელნიც მიუთითებენ იმ წეს-ნორმათა მოწყვლადობაზე, რომლებიც მოცემულია საზოგად. ხელშეკრულების თეორიებში.

ძალზე საინტერესო კვლევას გვთავაზობს კ. ბოემი[2], ეთოლოგი და სოციალურ-ანთროპოლოგი კალიფორნიის უნივერსიტეტიდან. ბოემმა რამდენიმე ათეული პრიმიტიული საზოგადოების შესახებ მონაცემთა საფუძველზე აჩვენა, რომ „დისტრიბუციული ინსტიტუტების“ წარმოქმნა კაცობრიობის ისტორიის გარკვეულ ეტაპზე გამოწვეული იყო იმ მიზეზებით, რომლებიც კონტრაქტულ თეორიებში განიხილება ხელშეკრულების დადების ძირითად მიზეზებად. როგორც ბოემი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ პირველყოფილ ჯგუფებში ცალკეული წარმომადგენელი ამ ჯგუფისა ისწრაფვის ინდივიდუალური დომინირებისკენ, როგორც ნებისმიერი ბიოლოგიური ორგანიზმი, იმავდროულად გრძნობს რა დაპირისპირების, დამარცხე-

[1] Sugden R. The economics of rights, co-operation and welfare. Oxford, 1986
[2] Boehm, C Moral origins: The evolution ofvirtue, Basic Books, 2012

ბის დიდ რისკს, ჯგუფის წევრები ამჯობინებენ დაემორჩილონ „ზეპიროვნულ“ ავტორიტეტს, ვიდრე კონკრეტულ ადამიანის ნებას.

პირველყოფილ საზოგადოებებში კოლექტიური ნების პრიორიტეტი ინდივიდუალურზე წარმოადგენს ამ საზოგადოების წევრთა მიერ მათი თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვის ინსტრუმენტს, რაც მათ საბოლოოდ მიიყვანს დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებამდე.

საერთო ჯამში, ევოლუციური არგუმენტები აჩვენებენ, რომ ერთი მხრივ, მორალური წესი შეიძლება დამყარდეს, როგორც ერთგვარი კომპრომისი (წონასწორობითი მდგომარეობა), განპირობებული მოთხოვნილებებით, რომლებიც დომინირებს ამა თუ იმ „საზოგადოებაში“, ძირითადი სოციალური ჯგუფების ბალანსით და გარემოს ზეწოლით, მეორე მხრივ კი ევოლუციური აუცილებლობა სახეობის გადარჩენის უზრუნველყოფისა და ამით ინდივიდის გადარჩენის შანსების გაზრდა, მიიჩნევა სრულიად კონკრეტულ არგუმენტად, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ამა თუ იმ მორალური ან პოლიტიკური ნორმის ლეგიტიმურობის შესახებ დისკუსიაში. გრძელვადიან ისტორიულ პერსპექტივაში, როგორც ამას აჩვენებს პრაქტიკა საზოგადოებები ან მუდმივად ცვლიან თავიანთ ინსტიტუტებს უფრო ეფექტური ინსტიტუტებით (სამართლიანობა განიხილება როგორც ეფექტურობის ნორმატიული განზომილება) ან მარცხდებიან გადარჩენისთვის ბრძოლაში. ევოლუციური არგუმენტი შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც გარკვეული სახის დასტური მაქსიმის რეალური გამოყენების სასარგებლოდ, რაც საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის ბაზისურ იდეას წარმოადგენს, კერძოდ თეზისი იმის შესახებ, რომ პოლიტიკურ-ნორმატიული წესრიგის შექმნა ხელს უწყობს ინდივიდუალური ინტერესების უფრო ეფექტური დაკმაყოფილებას. მოცემული ანთროპოლოგიურ-ეთნოგრაფიული ემპირიული კვლევების მონაცემები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია არა თუ მხოლოდ ახალი დროის ევროპის იდეოლოგიურ წარმოდგენებს ასახავს, არამედ გამოხატავს საზოგადოების მაკროევოლუციის ლოგიკაზეც.

წარმოდგენილი ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ ეგრეთ წოდებულ ამოსავალ მდგომარეობაში შეიძლება მიღწეულ იქნას ერთხმივი გადაწყვეტილება საჭირბოროტო ცხოვრებისეულ საკითხებზე და რომ ამოსავალი მდგომარეობის

სპეციფიკაცია აქ განმსაზღვრელი მნიშვნელობისაა. ამასთან ინდივიდთა შორის შეთანხმება რეალურად გამოწვეულია მართლაც იმ მიზეზებით რომელთაც კონტრაქტარიანელები განიხილავენ ხელშეკრულების დადების ძირითად მოტივად: წარუმატებლობის, მარცხის მინიმიზაცია, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

თავი III

ხელშეკრულების ტრადიცია თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის სტრუქტურაში

§1 კლასიკური და თანამედროვე ხელშეკრულების თეორიების შედარებითი ანალიზი

XX საუკუნის შუა წლებში საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის აღორძინება მოხდა მეტწილად სოციალურ მეცნიერებათა არსენალში ახალი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გამოჩენის წყალობით, რომელთაც საფუძვლად ედო წანამძღვრები, რომლებიც მჭიდროდ გახლდათ დაკავშირებული კლასიკური კონტრაქტორიანული კონცეფციების საკვანძო პოსტულატებთან. საუკუნენახევრიანი წყვეტის მიუხედავად, ხელშეკრულებით ტრადიციის თანამედროვე და კლასიკურ ინტერპრეტაციათა მემკვიდრეობითობა არ უნდა იწვევდეს ეჭვს. როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, დღეს ხელშეკრულების თეორიები ინარჩუნებს ინდივიდუალისტურ ორიენტაციას: პოლიტიკური პროცესის (ამ ტერმინის ფართო გაგებით) ძირითადი სუბიეტქი არის ცალკეული ინდივიდი და არა რომელიმე უფრო მასშტაბური სოციალური ერთეულები. ზოგადად ადამიანის კონცეფცია კონტრაქტარიანიზმის სხვადასხვა ინტერპრეტაციებში მსგავსია – ესაა რაციონალური სუბიექტი, რომელიც ესწრაფვის თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ნარჩუნდება ხელშეკრულების კონცეფციათა ე.წ. ინსტრუმენტული მიმართულებაც, რომლებიც განიხილება როგორც გარკვეული პოლიტიკური ლეგიტიმიზაციის ხერხი; თუმცა განსხვავდება ობიქტი, რომლის მიმართაც გამოიყენება ხელშეკრულების იდეაზე დაფუძნებული არგუმენტაცია. თუ წინათ ყურადღების ცენტრში იყო პოლიტიკურ ინსტიტუტთა სხვადასხვა ტიპები, ამჟამად აბსტრაქციის ხარისხი გაზრდილია: ხელშეკრულების თეორიის ზოგიერთი თანამედროვე ვერსია მიმართავს უკვე უნივერსალურ მორალურ პრინციპებს. გარდა ამისა, ბევრი კონტრაქტარიანელი ინტერესდება უპირველეს ყოვლისა პროცედურული და არა განაწილებითი სამართლიანობით, ანუ იმ პრინციპებით, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოებაში გადაწყვეტილებათა მი-

ღების პროცესს: ბიუკენანი, ჰაბერმასი და გოტიე უწინარეს განიხილავენ სწორედ სამართლიან პროცედურებს, და მხოლოდ ნოზიკს გამოაქვს წინა პლანზე განაწილების პრობლემები.

კლასიკური ხელშეკრულებითი თეორიებისაგან განსხვავებით, თანამედროვე კონტრაქტარიანისტები აღარ იყენებენ ადამიანის არსებობის ბუნებრივი და პოლიტიკურ მდგომარეობათა მკაფიოდ გამოხატულ დაპირისპირებას (ნოზიკის გარდა). ამის ნაცვლად მათ შემოაქვთ გარკვეული აბსტრაქტული სიტუაცია, რომლის აღწერაც შეიძლება თ. მორის ტერმინის მეშვეობით – „უტოპია“, ადგილი, რომელიც შეიძლებოდა არსებულიყო, თუმცა არასდროს უარსებია. ადამიანის ბუნების შესახებ გარკვეული დაშვებებიდან გამომდინარე, ისინი ცდილობენ იპოვონ პასუხი კითხვაზე: საზოგადოებრივი ურთიერთობის მაკონსტიტუირებელი რომელი პრინციპები შეიძლება შეირჩეს ამგვარ წარმოსახვით მდგომარეობაში? ეს საკითხი ასახავს XX საუკუნის ხელშეკრულებითი თეორიების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს, რომელიც შეიძლება აღინიშნოს როგორც „საანგარიშო ინტენცია“ და რომელიც მდგომარეობს იმის დასაბუთებაში, რომ შეიძლება „ნორმატიულ მიზანთა“ ლეგიტიმურობის შეფასება გონებრივი ექსპერიმენტის მეშვეობით იმის თაობაზე, თუ რისი არჩევა შეეძლებოდათ თავისუფალ და რაციონალურ ინდივიდებს, როგორც ყველაზე სამართლიანისა, მათ რომ მისცემოდათ ამგვარი შესაძლებლობა.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების ყველა თანამედროვე თეორიას ახასიათებს შემდეგი ძირითადი ნიშნები: 1) ინდივიდუალიზმი; 2) რაციონალიზმი; 3) ინსტრუმენტალიზმი; 4) ჰიპოთეტური საწყისი მდგომარეობის შემოყვანა; 5) აქცენტი სამართლიანობის ზოგად პრინციპებზე (პროცედურულსა თუ განაწილებითზე); 6) „საანგარიშო ინტენცია“. ამასთან 1-2-ე და 4-6-ე პუნქტები ეხება თეორიის საგნობრივ სფეროს, მე-3 პუნქტი კი თანამედროვე პოლიტიკურ ფილოსოფიაში ხელშეკრულების იდეის როლის სხვადასხვა გაგებას იწვევს – ის წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა ინსტრუმენტს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფო მოწყობის ნებისმიერი ტიპის დასაცავად (თუმცა უმეტესწილად საზოგადოებრივი ხელშეკრულება განუყოფლად არის დაკავშირებული ლიბერალურ-დემოკრატიულ ტრადიციასთან).

ისმის კითხვა: რამდენად მართებულია საუბარი კონტრაქტარიანიზმზე, როგორც ერთიან თეორიაზე, თუ უნდა ვაღიაროთ, რომ ერთადერთი, რაც დღეს აერთიანებს ხელშეკრულების თეორიებს, არის მხოლოდ ხელშეკრულების მეტაფორა? ყველაზე ზოგადი გაგებით, საზოგადოებრივი ხელშეკრულება – ეს არის თეორია, რომლის თანახმადაც პოლიტიკური რეჟიმის ლეგიტიმურობის საფუძველი მართულთა თანხმობაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერ ისეთ პოლიტიკურ ინსტიტუტთა არსებობა (თუ პოლიტიკას განვმარტავთ მხოლოდ როგორც ნორმატიულობის ერთ-ერთი განზომილებას) რომლებიც გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს ადამიანთა ქცევას, მოწონებულ უნდა იყოს მათი იურისდიქციისადმი დაქვემდებარებული თითოეული ინდივიდის მიერ. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია განსხვავდება პოლიტიკური ფილოსოფიის სხვა მიმართულებათაგან სოციალურ ურთიერთობათა სამყაროს განსაკუთრებული ხედვით. ამ ხედვას საფუძვლად უდევს სინთეზი ინდივიდუალიზმისა და ინსტრუმენტული მიდგომისა სოციალური კოოპერაციისადმი და პოლიტიკური ინსტიტუტების როგორც მისი კერძო გამოვლინებისადმი. ადამიანის ქცევის შემზღუდველი ეს სტრუქტურები იქმნება თავად ადამიანთა მიერ, რომლებიც გონივრულად მისდევენ თავიანთ ინტერესებს. პოლიტიკური ნორმები გვესახება უფრო მოხერხებულ და საიმედო მეთოდად მოულოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ანარქიის მდგომარეობას.

ამ კონცეფციის ფარგლებში ინდივიდუალური ინტერესები განიხილება, როგორც ადამიანთა ურთიერთობების განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, აქედან კეთდება დასკვნა, რომ მხოლოდ იმგვარ პოლიტიკურ წყობას აქვს არსებობის ლეგიტიმური უფლება, რომელიც ხელს უწყობს ამ ინტერესთა განხორციელებას; ამასთან თავის ლეგიტიმურობას ის იძენს ინდივიდის თანხმობით ამ წყობის მიერ დაწესებულ მისი პირადი თავისუფლების შეზღუდვებზე. თითოეული ადამიანი ხდება ხელისუფლების ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმი და იღებს უფლებას მისთვის კანონიერი წინააღმდეგობის გაწევისა თავისი ინტერესების შელახვის შემთხვევაში.

სწორედ ეს არის ყველა კონვენციონალური თეორიის გამაერთიანებელი ნიშანი. კონკრეტული მორალური პრინციპები თუ პოლიტიკური რეჟიმები,

რომლებსაც ხელშეკრულების თეორიის ინსტრუმენტარიის გამოყენებით იცავენ სხვადასხვა ავტორები, ამ კონტექსტში წარმოადგენს მხოლოდ აქციდენციებს. ამ თემაზე მსჯელობისას ფილოსოფოსები სხვადასხვა დასკვნებამდე მივიდნენ: აბსოლუტური მონარქიიდან პირდაპირ დემოკრატიამდე. მაგრამ სახელმწიფოს არსებობისათვის ინდივიდუალური თანხმობის, უფრო ზუსტად ინდივიდუალურ თანხმობათა ჯამის, განმსაზღვრელი მნიშვნელობის აღიარება კონტრაქტარიანიზმის ყველა წარმომადგენელს აერთიანებს რაც საშუალებას გვაძლევს მასზე ვისაუბროთ როგორც თანამედროვე საზოგადოებრივი აზრის კონცეპტუალურად ერთიან მიმართულებაზე, მეტიც, ამგვარი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ხერხი პასუხის გასაცემად პოლიტიკური და მთელი მორალური ფილოსოფიის საკვანძო კითხვაზე: რატომ უნდა იცავდნენ ადამიანები ნორმებს? აღნიშნული საკითხი ფილოსოფოსთა უმრავლესობისათვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო ათწლეულებში. ამ საკითხის დაყენება ლოგიკურად გამომდინარეობს ხელშეკრულების პარადიგმის საბაზო დაშვებებიდან, მეტიც, წარმოადგენს ამ უკანასკნელის ინსტრუმენტული მიმართულების პირდაპირ შედეგს. კითხვა – რისთვის სჭირდება სუბიექტს რაღაც ნორმატიული წესი – დიდი ხნის განმავლობაში არავის დაუსვამს და ვერც იქნებოდა დასმული, რადგანაც არ არსებობდა მისი ფორმილირების წინაპირობები. იმთავითვე მიიჩნეოდა რომ არსებობს იდეალური ზეციური წესრიგი, რომელიც შეიძლება ნაწილობრივ მაინც იქნას შემეცნებული და შემდეგ გარკვეულწილად რეალიზებული პოლიტიკურ პრაქტიკაში. სწორედ ხელშეკრულების თეორიებში იქნა შემოთავაზებული დასაბუთების მოდელი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შექმნა წინაპირობები ამ რწმენის კრიტიკისა. კონტრაქტარიანიზმის პირველი წარმომადგენელნი ეცადნენ პასუხის გაცემას ჯერ კიდეც დაუსმელ კითხვაზე – რატომ უნდა მივდიოთ პოლიტიკურ დადგენილებებს როგორც რეალურად არსებულს, ისე ფილოსოფიური ტრაქტატებში წარმოდგენილს? აპელაციამ ადამიანის ქცევის ეგოისტური მდგენელისადმი, რომელიც იმპლიციტურად მოცემულიყო ხელშეკრულების თეორიის კლასიკოსთა მსჯელობებ-ში, დიდად შეარყია ამა თუ იმ პროექტის სასარგებლოდ წამოყენებული მეტაფიზიკური არგუმენტების ავტორიტეტი. ადრე ევროპულ ფილოსოფიაში

წარმოდგენილ ყოფიერების ყველა იერარქიაში, არა აქვს მნიშვნელობა, იქნებოდა ის პლატონისეული თუ არისტოტელესეული, საკუთრივ ადამიანური რასაკვირველია იმყოფებოდა დაბალ დონეზე ღვთაებრივთან იდეალურთან შედარებით. პოლიტიკური ფილოსოფია იმ სახით, როგორითაც ის ჩამოყალიბდა საბერძნეთში უწინარესად მიზნად ისახავდა შემლებისდაგვარად ხორცი შეესხა მათთვის სააქაოში იდეალურ პოლიტიკურ დადგენილებათა სახით.

ორიენტაცია ადამიანის კეთილდღეობაზე „აქ და ახლა“ ზედმეტს ხდიდა მეტაფიზიკურ დასაბუთებას, მაგრამ მაშინ კითხვის ქვეშ დგება პოლიტიკური ფილოსოფიის თავად საზრისიც – მისი მიზანი ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ,,ტრანსცენდენტული” სოციალურში განსხეულდეს. რა თქმა უნდა, ხელშეკრუ-ლებითი ტრადიციის წარმომადგენლები საკითხს არ სვამდნენ ასე მწვავედ; პირიქით, ისინი ყველანი ბუნებრივ-სამართლებრივი ტრადიციის მიმდევრები იყვნენ და სწამ-დათ ადამიანთა მოქმედებების წამმართავი უზენაესი და უცვლელი კანონის არსებობა, ისევე როგორც ცდილობდნენ ამ კანონის შეცნობასა და ცხოვრებაში მის განხორციელებას თავიანთი იდეების მეშვეობით. თუმცა მათ მაინც დაუშვეს, რომ ადამიანური ბუნების ძირითადი თვისება – ეს არის სწრაფვა თვითგადარჩენისკენ, რაც, ცხადია, იგივეობრივი არ არის სიკეთის სოკრატესეული გაგებისა (როგორც ტრანსცედენტულისა უტილიტარული, ხორციელი სიამოვნებისადმი), რომელიც საფუძვლად ედო მთელ წინა პოლიტიკურ-ფილოსოფიურ ტრადიციას. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია „სიკეთეთა“ ტრადიციული იერარქიის ინფლაციის ირიბი მიზეზი გახდა. სავარაუდოდ, სწორედ ამან გამოიწვია პოლიტიკურ ფილოსოფიაში სხვადასხვა არაკლასიკურ მიმართულებათა ჩამოყალი-ბება. მათ შორის ყველაზე გავლენიანი ხდება პოზიტივიზმი, თავისი ე.წ. vertfreiheit-ის დოქტრინით.

მეორე მხრივ, პოლიტიკური იდეოლოგიის ჩამოყალიბების პროცესი (რაც ასევე განეკუთვნება XIX საუკუნეს) გარკვეულწილად იქცა რეაქციად ხელშეკრულების თეორიაში სიკეთის შესახებ ტრადიციულ ფილოსოფიურ წარმოდგენათა იმპლიცი-ტურად ჩადებულ კრიტიკაზე: სავარაუდოდ, იმ დროის ყველა იდეოლოგია და ისეთი გაუკუღმართებული და თითქოსდა ყველა ღირებულების უარმყოფელი აზროვნების ფორმაც, როგორიცაა ნიჰილიზმი, წარმოდგენდა მცდელობას, შეევსოთ ლაკუნები

სამყაროს ტრადიციულ სურათში (ანდა, ნიჰილიზმის შემთხვევაში, უბრალოდ დაეხუჭათ მათზე თვალი). ამ ინტელექტუალურმა ცვლილებებმა სერიოზული დარტყმა მიაყენა პოლიტიკური ფილოსოფიის ლეგიტიმურობას, როგორც დისციპლინისა რომელიც ქმნის პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებათა შეფასების კრიტერიუმებს. მეტაფიზიკისაგან დაშორება ფილოსოფიური აზრის ძირითად ტრენდად იქცა იმ მიმართულებებშიც კი, რომლებიც დაკავშირებული არ იყო პოზიტივიზმთან – მთელი პოსტმოდერნისტული ფილოსოფია ამას ადასტურებს. მაგრამ მეტაფიზიკური და ტრანსცენდენტული იდეების კრიტიკას სერიოზული საფუძვლები ჰქონდა. ტრადიციული წარმოდგენა პოლიტიკური თეორიის შესახებ მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდა მისი ზემოქმედებით. ყოველივე ამან პოლიტიკურ ფილოსოფიას საშუალება მისცა, გადასულიყო რეფლექსიის ახალ დონეზე.

ამგვარად, ზოგადად დღეს კონტრაქტარიანიზმში შეიძლება გამოვყოთ სამი მთავარი მიმართულება: პირველი წარმოდგენილია როლსის „სამართლიანობის თეორიაში, აგრეთვე ბიუკენანის, ნოზიკისა და გოტიეს შრომებში, რომელიც ეფუძ-ნება კლასიკურ კონტრაქტულ თეორიათა ინდივიდის კონცეფციას. ამ მიმდინა-რეობაში ყურადღება გამახვილებულია განაწილებითი სამართლიანობის პრობლე-მებზე. მეორე მიმართულება ეკუთვნის ჰაბერმასს, გვიანდელ როლსს, საუტვუდს და აგრეთვე „ეპისტემურ“ და დელიბერატიულ დემოკრატიათა კონცეფციების სხვადასხვა ავტორებს. ეს ავტორები ე.წ. „ეგოისტურ მოდელს“ ავსებენ ადამიანური ბუნების ე.წ. კომუნიკაციური ასპექტებით და ფოკუსირებას ახდენენ მულტიკულტურულ საზოგადოებაში საბაზისო, კონსტიტუციურ პრინციპთა შესახებ კონსესუსის მიღწევის პრობლემაზე. მესამე მიმართულება კი გახლავთ კანტიანური კონსტრუქტივიზმი, რომელიც უნივერსალურ პრინციპთა შემუშავებას ისახავენ მთავარ მიზნად, პრინციპთა, რომელიც ეფუძნება პრაქტიკული გონების მოთხოვნებს (ო. ნილი, ნაწილობრივ, სკენლონი, კორსკგორი...). მიუხედავად მთელი რიგი განსხვავებებისა ამ მიმართულებებში შეიძლება გამოვყოთ მთავარი საერთო ნიშანთვისებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ვისაუბროთ მათზე, როგორც ერთიან მიმდინარეობაზე და არა ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მიმართულებებზე: ინდივიდუალიზმი, რაციონალიზმი, ინსტრუმენტალიზმი,

ჰიპოთეტური საწყისი მდგომარეობის შემოყვანა, აქცენტი სამართლიანობის ზოგად პრინციპებზე, ეგრეთ წოდებული „საანგარიშო ინტენცია“...

მიუხედავად 170-წლიანი წყვეტისა კლასიკურ და არაკლასიკურ თეორიათა მემკვიდრეობითობა ეჭვს არ იწვევს. როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, თანამედროვე თეორიები ინარჩუნებენ კლასიკურ თეორიათა თითქმის ყველა ბაზისურ პრინციპს, რაც საშიალებას გვაძლევს ვისაუბროთ მათზე, როგორც პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრის ერთიან და დამოუკიდებელ მიმართულებაზე. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება პოლიტიკურ-ნორმატიულ პრობლემათა გადასაწყვეტად. მტკიცდება, რომ მოცემული თეორიის გამოყენების სფერო არ შემოისაზღვრება მხოლოდ პოლიტიკური აზრით, არამედ ის ვრცელდება სხვა ისეთ დისციპლინებზე, რომელთაც ნორმატიულობის კონცეპტთან აქვთ მჭიდრო კავშირი: ეთიკა, იურისპრუდენცია და მაკრო სოციალური ისტორია.

§2 საზოგადოებრივი ხელშეკრულება და ნორმატიულობის პრობლემა

„ტრაქტატი ადამიანის ბუნების შესახებ“[1] დევიდ იუმმა აღნიშნა, რომ აქამდე ყველა ფილოსოფოსს, რომელიც წერდა ეთიკურ პრობლემებზე, მოსაზრებები მართულის შესახებ გამოჰყავდა მოსაზრებებიდან არსებულის შესახებ, თუმცა სინამდვილეში არავითარი ლოგიკური საფუძვლები მსგავსი დასკვნისათვის არ არსებობდა. ამით იუმმა ჩამოაყალიბა ეთიკური თეორიის მნიშვნელოვანი პრობლემა: რა არგუმენტებიც არ უნდა მოიყვანონ ეთიკური კონცეფციების ავტორებმა თავიანთი იდეების დასაცავად, რეალურ ცხოვრებაში მუდმივად ფიქსირდება მორალური მოთხოვნებიდან იდნივიდთა გადახრის შემთხვევები. ამის მიზეზი მარტივია – ადამიანთა ანგარებითი ინტერესები იშვიათად ემთხვევა მკაცრ, ხშირად თავგანწირვის მომთხოვნ ეთიკურ ნორმებს. ,,ეგოიზმი” ხშირად იმარჯვებს მორალზე. ამიტომ, იუმის აზრით, მორალური თეორიები შეიძლება ქმედითი იყოს მხოლოდ მაშინ, თუ მათი მიმდევრობა თანხვდება პირად ინტერესებს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი არგუმენტები იმის სასარგებლოდ, რომ იუმის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი ადეკვატურია (თუ არა საუკეთესო ამოსავალი პუნქტი მორალური თეორიების დასაბუთების საკითხში), ბევრი ფილოსოფოსი, რომელიც დაკავებული იყო თეორიული ეთიკის საკითხებით, კრიტიკულად აფასებდა ეგოისტურ ქცევას, განიხილავდა რა მას როგორც რაღაც არამორალურს. ამგვარი შეხედულებები ყველაზე თანმიმდევრულად გამოხატულია კანტის პოზიციაში, რომლის თანახმადაც ზნეობრივი ქცევის ერთადერთი მოტივი უნდა იყოს მორალური კანონის წინაშე მოვალეობის გრძნობა. მაგრამ ინდივიდუალურ ეგოისტურ ინტერესთა უგულვებელყოფა, როგორც მორალური იმპერატივების მიდევნების მოტივი, ვერ წყვეტს საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ უნდა მიიღონ ადამიანებმა მორალის მოთხოვნები. ცხადია, რომ ნებისმიერი ნორმატიული თეორია უნდა შეიცავდეს პასუხს ჰობსის „ლევიათანში“ გამოყვანილი შეშლილის არგუმენტებზე, რომელიც ამტკიცებს, რომ „ვინაიდან ყოველი ადამიანი უნდა ზრუნავდეს თვითგადარჩენისა და თავის მოტხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, არავითარი საფუძველი არ არის იმისა, რომ ადამიანისათვის არ შეიძლებოდეს

[1] დევიდ იუმი ,,ტრაქტატი ადამიანის ბუნების შესახებ” 104 გვ. მოსკოვი 1985 წ.

გაკეთება იმისა, რაც, მისი თვალსაზრისით, მიაღწევინებს აღნიშნულ მიზნებს, და აი ამიტომ შეთანხმებათა როგორც დადება, ისე არდადება, როგორც შესრულება, ისე არშესრულება თანაბრად არ ეწინააღმდეგება გონივრულობას, თუ ეს ხელს უწყობს ვისიმე სიკეთეს“.[1] როგორ შეიძლება დავარწმუნოთ ამგვარი შლეგი იმაში, რომ ის მართალი არ არის? შეიძლება თუ არა მას დავუმტკიცოთ, რომ მან ზოგჯერ უნდა დათმოს ინტერესები აბსტრაქტულ ეთიკურ იდეათათვის? საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ უნდა დავემორჩილოთ მორალის მოთხოვნებს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თანამედროვე ფილოსოფიაში. მე-20-21 საუკუნეების პოლიტიკური ფილოსოფიის მთელი ისტორია კი შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც „ნორმატიულობის წყაროს“ ძიება, ანუ ძიება იმისა, რაც ადამიანებს აძლევს საფუძველს, მიიღონ მორალური თეორიების მიერ დაწესებული შეზღუდვები.

არის თუ არა იუმის მიერ ჩამოყალიბებული (და ჰობსისა და ლოკის ადრეულ ხელშეკრულებით თეორიებში იმპლიციტურად ნაგულისხმევი) მაქსიმა ნორმატიულობის პრობლემის ეფექტური გადაჭრა? შეიძლება ეგოისტური ინტერესები იყოს ნორმატიული წესრიგის საფუძველი? თუ ეთიკური თეორიის ქვაკუთხედის ძიებისას უნდა მივმართოთ მორალური რეალიზმის სხვადასხვა ვარიანტებს? ეგოისტური ქცევის საწინააღმდეგო არგუმენტები იუმამდეც და მის შემდეგაც, როგორც წესი, აპელირებს ტრანსცედენტულზე. ამგვარი ტრანსცედენტული შეიძლება იყოს ღმერთი, ყოფიერების აბსტრაქტული, იდეალური წესი ანდა ისტორიული განვითარების „ობიექტური“ კანონები. ყველა მათგანს გააჩნია ერთი არსებითი თვისება – ისინი შეუძლებელია იქნას ვერიფიცირებული, ბოლომდე უარყოფილი ან ბოლომდე დამტკიცებული. თანამედროვე მეცნიერების პირობებში აუცილებლობით არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობს ან არსებობს. ამა თუ იმ მორალური თეორიის მიდევნება ხშირად ხდება, როგორც გარკვეულ წილად რწმენის სიმბოლოს არჩევა ადამიანთა მიერ დადგენილი უამრავი სიმბოლოდან.

იმისათვის, რომ პრაქტიკაში მორალური კონცეფცია გარკვეულწილად უნივერსალური იყოს, საჭიროა ამ ნორმების დაცვა მისაღებიყოს ნებისმიერი ინდივიდისათვის, რომელიც ხვდება მისი იურისდიქციის სფეროში. მაგრამ სხვადასხვა მორალური თეორიების საფუძველმდებელი პრინციპები ხშირად

[1] თომას ჰობსი, ,,ლევიათანი”, გვ. 195

კონფლიქტში შედის მათ მიერ დადგენილი ნორმების უნივერსალური მისაღებობის მოთხოვნასთან. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, იმ მორალური კონცეფციებისგან რომლებიც მეტაფიზიკურს ასახელებენ თავიანთ ზღვრულ დასაბუთებად, შეუძლებელია მივიღოთ ცალსახა და უნივერსალური პასუხი კითხვაზე, თუ რატომ უნდა მივიღოთ მათგან დადგენილი ნორმები.

შეიძლება გამოიყოს პოლიტიკური თეორიის ლეგიტიმურობის დასაბუთების სამი ძირითადი ხერხი: დამორჩილება არსებული ნორმებისადმი უზრუნველ-ყოფილია ან რეპრესიული, ძალადობრივი მეთოდებით. ან ნორმატიული წესი ღრმადაა ინკორპორირებული იმ საზოგადოების წევრთა ცნობიერებაში, რომელშიც ის ფუნქციონირებს და ინდივიდებს ვერ წარმოუდგენიათ ცხოვრების არსებული წესის ვერავითარი გონივრული ალტერნატივა. და ბოლოს, ამა თუ იმ ინსტიტუტებმა შეიძლება მოიპოვონ თავიანთი ლეგიტიმურობა ინდივიდთა საერთო თანხმობის ფაქტიდან, თანხმობა ამ დროს უზრუნველყოფილია ადამიანთა მიერ ამ ინსტიტუტთა და თავიანთ ინტერესთა კონგრუენტულობის გაცნობიერებით.

აღნიშნული ხერხებიდან პირველი, რასაკვირველია მიუღებელი იქნება მორალურ ფილოსოფოსთა უმრავლესობისათვის. მაგრამ ეს ცხადია, არ აბათილებს იმ ფაქტს, რომ ის ხშირად გამოყენებულია ისტორიაში. მაგრამ იდეოლოგიის კუთხით ყველაზე დესპოტურ რეჟიმებშიც კი არსებობდა და ყოფით დონეზე ძალიან გავრცელებული იყო ოფიცალურის საწინააღმდეგო მორალური წარმოდგენები. „კონტრ“-მორალის ამგვარი „გამძლეობა“ მოწმობს იმას, რომ ძალადობა საეჭვოა იყოს ნორმატიული სისტემათა პრაქტიკული ფუნქცირების უზრუნველყოფის მთავარი ინსტრუმენტი.

ლეგიტიმურობის უზრუნველყოფის მეორე მეთოდის წარმატებულობის საკ-ვანძო მიზეზია შესაბამისი ნორმატიული სისტემის მოქმედების სფეროში ჩართული ინდივიდების შეზღუდული რაციონალურობა შეზღუდული რაციონალურობა აქ შეიძლება საკმაოდ ფართოდ იქნას გაგებული. ის ვლინდება ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ თავისებურებებში (რისკისადმი შემცირებული ან მომატებული მიდრეკილება და გარემო სინამდვილის არაკრიტიკული აღქმა), იმ სოციალურ პირობებში, რომლებშიც ყოფიერებენ ადამიანები (საზოგადოებაში ცოდნის დაბალი დონე; ტრადიციული, „მითოლოგიური“ აზროვნების დომინირება; ანომიისა და

განუსაზღვრელობის მაღალი დონე). ამ მეთოდის ეფექტიანობა მიიღწევა იმის ხარჯზე, რომ ადამიანები, რომლებიც იღებენ გარკვეული ნორმატიული სისტემის დებულებებს, უბრალოდ ვერ აცნობიერებენ მისთვის დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობებს; მეტიც, მათ ინტერესთა იერარქია ბევრწილად იგება იმგვარად, რომ იგი თანხვდება სისტემის იმპერატივებს და მიმართავს მათ იქეთკენ, რომ დაიცვან შექმნილი წესრიგი (იმის მიუხედავადაც კი, რომ არსებობს ალტერნატიული ინსტიტუტები, რომლებსაც შეეძლება, მნიშვნელოვნად აამაღლონ, როგორც ცალკეულ ინდივიდთა, ისე მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობის დონე).

ეს მეთოდი ფუნქციონირებს ლეგიტიმაციის იმ მექანიზმის მსგავსად, რომელიც აღწერილია ბერგერისა და ლუკმანის[1] მიერ „რეალობის სოციალურ კონსტრუირებაში“. იმ მიზეზთა განმარტებები, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს ესა თუ ის ინსტიტუციონალური წესი „მართებულად“, ისევე როგორც ინტელექტუალური საფუძვლები მათ მისაღებად, კონსტრუირებულია წინასწარ, ჯერ კიდევ ამ კითხვის დამსმელი კონკრეტული ინდივიდის დაბადებამდე, და, ტრადიციით ნაკურთხი, თაობიდან თაობას გადაეცემა. აზრობრივ სივრცეში, ინტელექტუალურ „ოიკუმენაში“ (იმაში, რასაც ბერგერი და ლუკმანი უწოდებენ „სიმბოლურ უნივერსუმს“). რომელიც სახავს ცალკეულ ადამიანთათვის ხელმისაწვდომი ცოდნის სპექტრს და, მაშასადამე, იმ საკითხთა სპექტრსაც, რომლებიც შეიძლებოდა დასმული ყოფილიყო შესაბამისი საზოგადოების მოწყობის თაობაზე, არ რჩება ადგილი კრიტიკული რეფლექ-სიისათვის. ნებისმიერი მინიშნება ნორმატიული სისტემის არასრულყოფილებაზე, ის ობიექტებიც კი, რომელთა შესახებ ფიქრმაც შეიძლება გააჩინოს მსგავსი აზრები, მკაცრად არის ტაბუირებული ,,ცბიერი” მითოლოგიური სისტემების მეშვეობით, რომლებიც ეყრდნობა ადამიანური ფსიქიკის ირაციონალურ მდგენელებს.

ყველაზე წმინდა სახით ამგვარი სქემა რეალიზებულია პრიმიტიულ საზოგა-დოებებში, სადაც დაგროვებული ცოდნის მოცულობა იმდენად მცირეა მითო-ლოგიურ წარმოდგენებთან შედარებით, რომ გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან არსებული მორალური შეზღუდვების კრიტიკული განხილვის შესაძლებლობა პრაქტიკულად არ არსებობს. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ იმ შემთხვევებშიც, როდესაც ინდივიდუალური გარემოებები იწვევს კონფლიქტს სამყაროს ამგვარ

[1] Бергер П., Лукман Т. социальное конструирование реальности М. 1995.

იდეოლოგიურად კონსტრუირებულ სურათსა და პირად ინტერესს შორის, შეწირვითი არჩევანი საკუთარი ინტერესის სასარგებლოდ ყოველთვის როდი არის ყველაზე სავარაუდო ალტერნატივა (ემპირიული მეცნიერების თვალსაზრისით, ეს არჩევანი უფრო დეტერმინირებულია პირადი ფსიქოლოგიური თავისებურებებით, ვიდრე სისტემის საფუძვლად არსებული საბაზო მითის ეფექტურობით).

ამ მეთოდის ეფექტიანობა ასევე ეჭვს იწვევს თეორიული თვალსაზრისით. პიროვნების კონცეფცია, რომელიც ფიგურირებს თანამედროვე პოლიტიკურ-ფილოსოფიურ ნაშრომთა უმეტესობაში, როგორც წესი, მოკლებულია ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ე.წ. „აღმაშფოთებელ ეფექტებს“, ისევე როგორც იძლევა სოციეტალური ფაქტორების ზემოქმედების ელიმინირების საშუალებას. ამიტომ ნებისმიერი ნორმატიული სისტემა, რომელიც საკუთარი აღწარმოების ძირითად ინსტრუმენტად ითვალისწინებს სამყაროს შესახებ ინდივიდუალურ წარმოდგენათა შეზღუდვას ან კონსტრუირებას, მოწყვლადია კრიტიკისათვის კარგად ინფორმირებული და რაციონალური თეორეტიკოსის პოზიციებიდან.

ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ, თუ რა პერსპექტივები იშლება მესამე მითითებული ალტერნატივის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნება კოლექტიურად დამავალდებულებელ ნორმების მიმართ ინდივიდუალური თანხმობის იდეას. როგორც ზემოთ აღინიშნა, თავად მტკიცება იმისა, რომ ადამიანები აფასებენ ამა თუ იმ ნორმებს სიკეთის შესახებ საკუთარ წარმოდგენათა შესაბამისად, არის სავსებით რეალისტური. პრაქტიკაში ინდივიდთა უმრალესობა ხშირად იქცევა კარგისა თუ სასარგელოს შესახებ საკუთარი, კონკრეტული ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბებული წარმოდგენების შესაბამისად და არა ისე, როგორც ვარაუდობს საზოგადოებრივი მორალი და მითუმეტეს მრავალი ფილოსოფიური პროექტი, როგორც წესი, გაცილებით უფრო აბსტრაქტული, ვიდრე სოციალურ ნორმათა ნებისმიერი რეალურად ფუნქციონირებადი სისტემა. ეს ხდება იმიტომ, რომ ინდივიდები ვერ ხედავენ საკმარის საფუძვლებს, რათა დაემორჩილონ მათთვის გაუგებარ, თავსმოხვეულ და ,,თვითნებურ” მოთხოვნებს და უარი თქვან ისეთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, რასაც მაღალი ადგილი უკავია სიკეთეთა მათ ინდივიდუალურ იერარქიებში.

ამგვარად მორალური თეორია, რათა იყოს ემპირიულად წარმატებული, უნდა პასუხობდეს შემდეგ ორ პირობას. ჯერ ერთი, ის მინიმალურ შეზღუდვებს უწესებდეს ინდივიდთა სწრაფვას, მოახდინონ თავიანთი ცხოვრებისეული მიზნების რეალიზება შეზღუდვების გარეშე, არა იმიტომ, რომ აქ თავისუფლებას აქვს რაღაც ეთიკური ღირებულება, არამედ იმიტომ, რომ ინტერესთა და მორალის მოთხოვნათა კონფლიქტის შემთხვევაში საეჭვოა რამემ შეუშალოს ხელი ინდივიდებს, უკუაგდონ ეს უკანასკნელი. ამ მოთხოვნის ჩამოყალიბება სხვაგვარადაც შეიძლება: მორალის უნივერსალური სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სიკეთის სხვადასხვა ინდივიდუალურ კონცეფციათა მაქსიმალურ შეთავსებადობას ისე, რომ არ ანიჭებდეს უპირატესობას რომელიმე ერთს (ან რამდენიმეს).

მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნა – ამგვარი სისტემა უნდა იძლეოდეს რაციონალურ სტიმულებს ამ ნორმათა დასაცავად. პირველი პირობა შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც მეორის კერძო შემთხვევა. მაგრამ, უარყოფითი სტიმულების არარსებობა არის ნორმატიული შეზღუდვათა მიღების მხოლოდ აუცილებელი და არა საკმარისი პირობა. მის იურისდიქციაში შემავალ ინდივიდთა სტაბილურობისა და ლოიალობის მართლაც მისაღები დონის მისაღწევად ეთიკურმა სისტემამ უნდა წარუდგინოს მათ საფუძვლიანი არგუმენტები იმის სასარგებლოდ, რომ მისი მოთხოვნების მიდევნება მათ მისცემს საშუალებას, მიაღწიონ მეტ სიკეთეს ვიდრე ამ მოთხოვნათა უგულებელყოფის შემთხვევაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ეთიკური თეორიის ლეგიტიმურობის ზღვრული საფუძველი უნდა იყოს ინდივიდთა თანხმობა, ვერც იძულება, ვერც თვითნებური მორალური ავტორიტეტებისადმი მიმართვა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მორალის სისტემის ფუნქცირებას სამყაროს სხვადასხვა მსოფლგაგების მქონე ადამიანთა თანაცხოვრების პირობებში.

არსებობს თუ არა რაიმე პოლიტიკურ-ფილოსოფიური დოქტრინა, რომელიც გარკვეულწილად მაინც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს? ჩვენი აზრით ასეთ დოქტინას წარმოადგენს საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ ხელშეკრულების თეორიათა უმეტესობის მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ის, რომ ამგვარი სისტემის შინაარსი სავალდებულო არაა პირდაპირ შეჯერებულ იყოს ხელშეკრულების იდეასთან; ეს უკანასკნელი მხოლოდ საშუალებაა პირველის ლეგიტიმაციისათვის. ხელშეკრულების თეორიებს

ინსტრუმენტული ხასიათი აქვთ par excellence. ისინი პასუხობენ არა კითხვას, თუ კერძოდ როგორ უნდა დაარეგულირონ ადამიანებმა თავიანთი ურთიერთობები, არამედ კითხვას, თუ რატომ უღირთ თავიანთ ურთიერთობათა დარეგულირება.

როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, კონტრაქტულ კონცეფციას გააჩნია მთელი რიგი ნაკლოვანებები და ზოგჯერ სერიოზული შინაგანი წინააღმდეგობები. მიუხედავად იმისა, რომ მათი ძირითადი სისუსტეები ეხება არა მათ ფუნდამენტურ იდეას, არამედ მის კონკრეტულად განხორციელების მცდელობებს, სადავო არ უნდა გავხადოთ იმ თეზისის მნიშვნელობა, რომ მორალური წეს-ნორმები გარკვეულწილად შეჯერებულ უნდა იქნეს ადამიანთა პირად ინტერესებთან. მაგრამ აქ კრიტიკოსმა შეიძლება სამართლიანად დასვას კითხვა: ამგვარი შეთანხმების ფარგლებში როგორ უნდა მოხდეს „ეგოისტ“ ინდივიდთა მიერ მორალური ნორმების დაცვის გარანტირება? თუ ნორმატიული წესრიგის ლეგიტიმურობის ერთადერთი საფუძველი არის ინდივიდუალური თანხმობა, რას დაეყრდნობა ეს წესრიგი, როდესაც თანხმობის სტიმულები გაქრება?

როგორც ჩანს, ამ კითხვაზე არცთუ საუკეთესო პასუხი იქნება იმის მტკიცება, რომ თანხმობა ამა თუ იმ შეზღუდვებზე, რომლებიც გათვალისწინებულია პირვანდელი საკონსტიტუციო შეთანმხებით, გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს ხელშეკრულების მონაწილეებს. ამგვარი მტკიცება ეყრდნობა გარკვეულწილად თვითნებურ მორალურ წარმოდგენას დაპირებათა შესრულების მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ადვილად შესადავებელია. საკუთარი სიტყვის შესრულების ვალდებულება სულაც არ იქნება საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ინდივიდმა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, თუ ამან შეიძლება მიაყენოს საგრძნობი ზიანი. ამ შემთხვევაში ყოველთვის როდი გამოდგება ხელშეკრულებითი მიდგომის მომხრეთა მიერ ხშირად გამოყენებული ევოლუციური არგუმენტი (განმეორებადი კოოპერაციული თამაშების თეორიიდან ნასესხები), რომლის თანახმადაც ინდივიდებისათვის რაციონალურია მოქცევა მათ მიერ აღიარებულ შეზღუდვათა შესაბამისად იმ შემთხვევებში, როდესაც მათი ურთიერთქმედება არ შემოიფარგლება ერთადერთი შემთხვევით. ჯერ ერთი, განმეორებადი თამაშებისათვის არ არსებობს ერთადერთი უნივერსალური სტრატეგია, რომელიც მოგვცემდა წონასწორობის თვითშენარჩუნებადი მდგომარეობის (ანუ მორალურ ნორმათა სტაბილური სისტემის) დამყარების საშუალებას.

მეტიც, ექსპერიმენტული კვლევები გვიჩვენებს, რომ რეალური ურთიერთქმედების სიტუაციაში წონასწორობა, კოოპერაციული სტრატეგიები გამოიყენება უფრო იშვიათად, ვიდრე ქცევის ნაკლებად ეფექტიანი ეგოისტური მიმართებები. და ბოლოს, სრულებით შესაძლებელია ისეთი სიტუაციების წარმოდგენა, რომლებშიც საზოგადოებრივი მორალის მოთხოვნები შედის გადაუჭრელ წინააღმდეგობაში ადამიანების კერძო ინტერესებთან.

თავიდანვე უნდა ავირჩიოთ რაღაც მეტა-პრინციპი ასეთი პრობლემების გადასაჭრელად. თუ კონფლიქტის მონაწილენი აღიარებენ მხარეთა მოთხოვნების მართლზომიერებას ან იპოვნიან საერთო კოორდინატებს ურთიერთობის მორალური მდგენლის შესაფასებლად, მაშინ სავარაუდოა, რომ იპოვიან გადაწყვეტას, რომელიც ყველა მხარისათვის უფრო მომგებიანი იქნება, ვიდრე მორალის შეთანხმებითი სისტემის ფარგლებს გარეთ გატანილი ძალისმიერი კონფლიქტი.

სიტუაციები, რომლებშიც შეუძლებელია კოპრომისის მიღწევა, მართლაც სავსებით შესაძლებელია. ასეთი სიტუაციის მაგალითი, რომელიც ქრესტომატიული გახდა, მოჰყავს ჯ. ტორეკს. თავის კლასიკურ ნაშრომში „უნდა გავითვალისწინოთ კი რიცხვები?“ („Should the numbers count?“) მან შემოგვთავაზა შემდეგი აზრობრივი ექსპერიმენტი: წარმოვიდგინოთ, რომ არსებობს (საწყის მაგალითში ექვსი) რამდენიმე ადამიანი, რომლებმაც სასწრაფოდ უნდა მიიღონ წამალი, რათა გადაურჩნენ სიკვდილს. ერთ-ერთი მათგანი ისე მძიმედაა, რომ მის გადასარჩენად საჭიროა წამლის მთელი მარაგის მიღება; თუმცა სხვების გადასარჩენად საკმარისი იქნება ერთი მეხუთედი ნაწილი არსებული მარაგისა. რას მივანიჭოთ უპირატესობა მოცემულ სიტუაციაში: ერთი სიცოცხლის გადარჩენას სხვა დანარჩენების ფასად თუ ყველას გადარჩენას ერთის ფასად?

თავდაპირველად მოცემული პარადოქსი განიხილებოდა როგორც შედავება უტილისტური ლოგიკის მიმართ და მოწოდებული იყო იმის საჩვენებლად, რომ ყოველთვის გონივრული არ არის უმრავლესობის სარგებლიანობის გამოყენება „მორალური“ საქციელის კრიტერიუმად: მართლაც, არის კი მორალური ერთი ადამიანის მოკვლა რამდენიმე სხვა ადამიანის გადასარჩენად? თუ ამ მაგალითს ისე ჩამოვაყალიბებთ, რომ შესაძლო გავხადოთ მოლაპარაკება ავადმყოფებს შორის, პარადოქსი მაინც არ გაქრება: მხარეები ძნელად თუ მივლენ შეთანხმებამდე, კერძოდ,

თუ როგორ უნდა მოხდეს წამლის განაწილება. ყველა შესაძლო ვარიანტიდან ნებისმიერ შემთხვევაში მინიმუმ ერთი მხარე მონაწილეთაგან შეთანხმებით დაკარგავს ყველაფერს. ამიტომ შეთანხმება ასეთ პირობებში არარაციონალური იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის; შედეგად კონსესუსი ვერ მოხდება.

აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ტორეკის მიერ აღწერილი მაგალითი მარგინალურია. თანამედროვე პოლიტიკურ ფილოსოფიაში უფრო გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმადაც მორალური თუ პოლიტიკური ნორმები მეტწილად უნდა არეგულირებდეს ადამიანთა თანაცხოვრების ზოგად პრინციპებს, ვიდრე იძლეოდეს ყველა კერძო მორალური სიძნელის დაძლევის გზას. უფრო მეტიც, ტორეკის პარადოქსს შესაძლოა კორექტულად, (შეთანხმების თეორიის თვალსაზრისით), ავუაროთ გვერდი, შევთავაზებთ რა მხარეებს კენჭისყრას წამლის განაწილების მიზნით – მოცემულ შემთხვევაში ყველას აქვს გადარჩენის გარკვეული შანსი და შესაბამისად იღებს სტიმულს კენჭისყრა მიიღონ წამლის განაწილების პრინციპად არსებულ სიტუაციაში.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტორეკის მიერ აღწერილ ექსტრემალური შემთხვევის მსგავს შემთხვევებს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ უმეტესობა კონფლიქტებისა, რომლებიც ასე თუ ისე იღებს მორალურ განზომილებას, დაკავშირებულია ან მხარეთა მიერ ურთიერთ პოზიციების გაუგებრობასთან, ან, რაც უფრო აბსურდული ჩანს, მხარეთა მიერ საკუთარივე მიზნების, საკუთარივე მორალურ წარმოდგენების გაუგებრობასთან. მხარეთა კეთილი ნების არსებობის შემთხვევაში მსგავსი შემთხვევები ორივე მხრისათვის სასარგებლოდ, შესაძლებელი იქნებოდა გადაგვეჭრა ბევრად უფრო ეფექტურად. ბუნებრივია, რომ პრაქტიკაში მსგავსი კონსენსუსის მიღწევა საკმაოდ შრომატევადი პროცესია, რადგან აქ მოქმედებს მრავალი სოციოლოგიური ფაქტორი: წარსული წყენები, უნდობლობა, რისკისადმი მიდრეკილება, საფრთხის ირაციონალური შეგრძნება, საკუთარი ინტე-ლექტუალური შესაძლებლობების შეზღუდულობა, ღრმად გამჯდარი ცრურწმენები. თუმცა თეორიულ დონეზე მორალური კონფლიქტის პრინციპული გადაჭრადობის დემონსტრირება სავსებით რეალური (ყოველ შემთხვევაში გადაუჭრელი არა) ჩანს. ასეთი დემონსტრირების ყველაზე მნიშვნელოვანი ცდა განახორციელა ი. ჰაბერმასმა. გერმანელი ფილოსოფოსის აზრით, სამართლიანი დისკუსიის პირობებში, როდესაც

ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია საკუთარი აზრის გამოთქმა და საკუთარი პოზიციის ახსნა ფუნდამენტური მორალური და პოლტიკური პრინციპების თაობაზე, რომლებიც არეგულირებს ურთიერთობებს საზოგადოებაში, კონსენსუსის მიღწევა სავსებით შესაძლებელია. ჰაბერმასს მოჰყავს მთელი რიგი ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური არგუმენტები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ ინდივიდუალური წარ-მოდგენების კონვერგენცია ,,საჭიროზე" სავსებით შესაძლებელია. დისკურს-ეთიკის კონცეფცია გულისხმობს, რომ ადამიანებს (ლოკალური კულტურული კონტექსტისაგან დამოუკიდებლად) აერთიანებს მორალური ხედვის ერთიდაიგივე შინაგანი მექანიზმი, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს homo sapiens-ის სახეობრივ მახასიათებელს. ჰაბერმასის მორალური თეორიის ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ„აღადგინოს", გაიაზროს და ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს სოციალური ურთიერთობების ლატენტური ნორმატიული წანამძღვრები, რომლებიც ინტუიციურად აღიქმება ნებისმიერი კომპეტენტური ინდივიდის მიერ ნებისმიერ სოციუმში.

მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანებებისა, ჰაბერმასის კონცეფციამ დიდად წაახალისა მორალური პრინციპების დასაბუთებისას კომუნიკაციური მექანიზმების როლისადმი ინტერესის ზრდა. ამასთან ცალკეული კონცეფციების გაჩენა შეთანხმებითი ტრადიციების შიგნით, რომლებიც აქცენტს აკეთებს არა იმდენად მორალური ნორმების რაციონალურ არჩევანზე, რამდენადაც სამართლიანი პროცედურების შექმნაზე, რომლებიც უზრუნველყოფს მსგავს არჩევანს, მეტად მნიშვნელოვანია პრობლემის გასააზრებლად; მნიშვნელოვანია ჩვენება იმისა თუ როგორ არის შესაძლებელი კონსენსუსის მიღწევა რეგულაციური პრინციპების თაობაზე პლურალისტურ საზოგადოებაში. საზოგადოებრივი შეთანხმების თეორიის საბაზო მდგომარეობა არ უარიყოფა განხილვის პროცესში ინდივიდუალურ ინტერესების კორექციის აუცილებლობის მტკიცებით. ჰაბერმასი ღიად აღიარებს, რომ მორალური ნორმები შეთანხმებული უნდა იყოს ინდივიდუალურ მისწრაფე-ბებთან, რაც გარკვევით ჩანს დისკურს-ეთიკის ძირითადი პოსტულატების ფორ-მულირებებში. და პრინციპი D და პრინციპი U ექსპლიციტურად გულისხმობს, რომ ნებისმიერ ნორმას, რომელსაც პრეტენზია აქვს კოლექტიურ მნიშვნელოვნებაზე,

შეუძლია მიიღოს ასეთი სტატუსი იმ პირობით, რომ მის ლეგიტიმურობას აღიარებს ყველა დაინტერესებული პირი.

იგივე ჩანს როლზის „პოლიტიკურ ლიბერალიზმში“: საჯარო გონების“ კონცეფციას მიზნად აქვს შექმნას ერთობლივი კომუნიკაციური სტანდარტი საბაზო ნორმატიული პრინციპების განსახილველად, რაც საშუალებას მისცემს ინდივიდებს, რომლებიც კონსტიტუციურ შეთანხმებაში მონაწილეობენ, გაიგონ და ნათელი გახადონ ერთმანეთის პოზიციები. ინდივიდუალური თანხმობა ეთიკური სისტემის ლეგიტიმურობისა და საზოგადოებრივი შეთანმხების დელიბერატიულ ვერსიებში უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად რჩება.

მნიშვნელოვან განსხვავებას მორალური ნორმების ლეგიტიმაციის შეთანხმებით მეთოდსა და ზემოთ აღწერილ რეპრესიულ და მითოლოგიურ/კონსტრუქტივისტულ მეთოდებს შორის, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოცემული მეთოდი აპელირებას ახდენს არა ტრანსცენდენტულ მორალურ წარმოდგენებზე, არამედ რაციონალურ პრაგმატულ მოსაზრებებზე. მორალური თეორიის დასაბუთების ეს მეთოდი არ გადაგვამისამართებს წანამძღვრებთან ან ნორმატიულ იდეალებთან, რომლებიც თვითონ ამ თეორიაშია ჩადებული, არამედ ის ეყრდნობა რაღაც გარეგან უნივერსალურ კრიტერიუმს. ამ თვლასაზრისით საზოგადოებრივი შეთანხმება წარმოადგენს მხოლოდ საშუალებას ამა თუ იმ მორალური და პოლიტიკური შეზღუდვის ლეგიტიმაციისათვის. ამასთან სრულიად შესაძლებელია, რომ ის წარმოადგენს ყველაზე ადეკვატურ ინსტრუმენტს მიზნის მისაღწევად. თავის ნაშრომში „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია“ რობერტ ნოზიკმა აღნიშნა, რომ პოლიტიკური თეორიის საუკეთესო დასაბუთებაა ის, რაც მოიცემა არაპოლიტიკური ტერმინებით. საზოგადოებრივი შეთანხმების თეორია აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს – პოლიტიკურ ნორმებზე დაქვემდებარება შეთანხმებითი მიდგომის ფარგლებში არის თავად ადამიანთა მიერ საკუთარი ინტერესებისა და შეზღუდვების გააზრება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნორმები ძირითადად გამოიყვანება ინტერესებიდან და არა იმ ღირებულებითი წარმოდგინებიდან, რომლებიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ პოლიტიკურ პროექტს.

თუ თეორიისადმი ზემოთ ჩამოყალიბებული მოთხოვნები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებს ნორმატიულობის პრობლების გადაჭრაზე სწორია, მაშინ შეთანხმების

თეორიის „მინიმალისტურობა“ მას ანიჭებს მნიშვნელოვან უპირატესობებს მორალუ-რი და პოლიტიკური რეგულაციური პრინციპების ლეგიტიმაციის სხვა მეთოდებთან შედარებით. უფრო მეტიც, საზოგადოებრივი შეთანხმების თეორიის პოტენციალი არ დადის მხოლოდ ლეგიტიმაციაზე. ის შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ინსტრუმენტი სხვა მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრისას, სახელდობრ, პოლიტიკური და მორალური კანონების ყველაზე ეფექტური კონსტრუირებისათვის. შეთანხმების იდეა მჭიდროდაა დაკავშირებული წარმოდგენასთან რაღაც იდეალური სიტუაციის შესახებ, რაც საშუალებას იძლევა გავთვალოთ, რომელი არჩევანი იქნება ყველაზე რაციონალური ადამიანის ბუნების სხვადასხვა მოდელისათვის. კონტრაქტულ თეორიებში როლზთან ვხვდებით არცოდნის ფარდას; ჰაბერმასთან – იდეალურ მეტყველებით სისტემას; გოტიესთან – ვაჭრობის სიტუაციას. საწყისი მდგომარეობის კონცეფციის ამგვარი ადაპტიურობის ერთ-ერთი უპირატესობაა, ის რომ იგი მდგრადი აღმოჩნდა იმ ავტორთა კრიტიკის მიმართ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მორალური პიროვნების – რაციონალური და ავტონომიური აგენტის კონცეფციის (რომელიც წარმოდგენილია, მაგალითად „სამართლიანობის თეორიაში“) გამოყენებას იმის საფუძველზე, რომ პიროვნების მოცემული მოდელი ეფუძნება ნორმატიულ წანამძღვრებს, რომლებსაც აქვს მკაფიოდ საიდენტიფიკაციო სოციალურ-კულტურული სათავეები. სინამდვილეში, ნებისმიერი რასობრივი, გენდერული და რელიგიური განსხვავებები შეიძლება ამა თუ იმ მეთოდით გათვალისწინებულ იქნას ცალკეული პარამეტრების სახით, რომლებიც ახასიათებს საწყისი მოლაპარაკებების სიტუაციას.

სამივე მიმართულება კონტრაქტარიანიზმისა ეხება ნორმატიულობის პრობლემის სამ განსხვავებულ ასპექტს. ავტორები, რომლებიც ახდენენ შეთანხმების თეორიის ინტერპრეტირებას რაციონალური არჩევნის ტერმინებში, ფოკუსირდებიან საკითხზე, თუ რატომ უნდა დაემორჩილონ ინდივიდები სხვადასხვა ნორმების მოთხოვნებს, რომლებიც ზღუდავს მათ თავისუფლებას. კონტრაქტარიანიზმის დელიბერატიულ/კომუნიკაციური ვერსიების წარმომდგენლები ცდილობენ აჩვენონ, თუ როგორ შეიძლება შეთავსდეს ერთი თანამეგობრობის ფარგლებში კეთილდღეობის სხვადასხვა კონცეფციები და ბოლოს, კანტის კონსტრუქტივიზმის მომხრეები ისწრაფვიან გამოთვალონ, კერძოდ რა ხასიათი უნდა ჰქონდეს

შემზღუდავ ნორმებს, გამომდინარე ინდივიდუალური რაციონალურობის გარკვეული კონცეფციიდან. შეიძლება ცალსახად ვთქვათ, რომ მიმართულებებს შორის არავითარი შინაგანი წინააღმდეგობა არ არსებობს.

მომავალში სავსებით შესაძლებელია შეიქმნას ერთიანი კონცეფცია არა მხოლოდ ნორმატიულობის პრობლემათა გადაწყვეტისა, არამედ რეგულაციურ პრინციპთა ლეგიტიმურობის დამსაბუთებელ ეფექტურ მეთოდებსაც შექმნის, პრინციპთა, რომლებიც აწესრიგებენ ადამიანური ყოფის პოლიტიკურ და მორალურ განზომილებებს. შეიძლება ვთქვათ, რომ პარფიტის ე.ი. „სამმაგი თეორია“ ასეთი სინთეზის პირველი მცდელობა იყო, თუმცა ეს თეორია უფრო ყურადღებას ამახვილებს ფუნდამენტურ მორალურ ნორმათა დაფუძნების პრობლემებზე, ვიდრე პოლიტიკურ ინსტიტუტთა ლეგიტიმურობის საკითხებზე. მომავალში შეიძლება კვლევა წარმართოთ ამ მიმართულებით, რაც თანამედროვე კონტრაქტარიანიზმში მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. პარფიტის იდეათა განვითარება და მოდიფიკაცია ამავდროულად საშუალებას მოგვცემს პროგრესს მივაღწიოთ აქტუალური თანამედროვე პოლიტიკურ-ფილოსოფიური პრობლემების გადაწყვეტა-ში.

ამგვარად, საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება პოლიტიკურ-ნორმატიულ ინსტიტუტთა ლეგიტიმაციის.

დასკვნა

ამრიგად, ჩვენს ნაშრომში განხილულ იქნა საზოგადოებრივი ხელშეკრულების კონცეფციის ფორმულირებისა და მისი ევოლუციის პროცესი. გამოიყო არსებითი ნიშან-თვისებები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ მოცემულ თეორიაზე, როგორც პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრის ერთიან და დამოუკიდე-ბელ მიმდინარეობაზე. განვიხილეთ კონტრაქტარიანიზმის გამოყენების პერსექტივები ნორმატიულობის პრობლემათა გადასაწყვეტად. იგი განსაზღვრულ იქნა, როგორც პოლიტიკურ-ნორმატიულ ინსტიტუტთა ლეგიტიმაციის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება.

ჩვენი კვლევის ძირითადი დასკვნები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით:

1) კლასიკური კონტრაქტარიანიზმი წარმოიშვა ახალი დროის ადრეულ პერიოდში, მისი წარმოქმნის უმთავრესი წინაპირობა გახდა მე-16 საუკუნის ბოლოს ევროპულ ფილოსოფიაში ინდივიდუალურობისა და რაციონალურობის ახალ კონცეფციათა ჩამოყალიბება.
2) მიუხედავად მთელი რიგი განსხვავებებისა, რომლებიც არსებობს კლასიკურ კონტრაქტულ თეორიებს შორის, მათში შეიძლება გამოვყოთ მთავარი საერთო მომენტები, რომელნიც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ კლასიკურ კონტრაქტულ თეორიაზე, როგორც პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრის ერთიან მიმართულებაზე: ა) პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ მდგომარეობათა დაპირისპირება. ბ) მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი. გ) რაციონალიზმი. დ) ინსტრუმენტალიზმი...
3) მე-19 საუკუნის დასაწყისში კლასიკური კონტრაქტარიანიზმის კრიზისის უმთავრესი მიზეზი ხდება ეგრეთ წოდებული ინტელექტუალური რეაქცია საფრანგეთის რევოლუციაზე, რომლის იდეოლოგიურ ფუნდამენტს სწორედ საზოგადოებრივი ხელშეკრულების საფუძველმდებელი პრინციპები წარმოადგენდა. კონვენციონალურ მიდგომას ცვლის ჰოლისტური მიდგომა.
4) მე-20 საუკუნის შუა წლებში იწყება ხელშეკრულების პარადიგმის კვლავ აღორძინება, რაც განპირობებულ იქნა პოლიტიკური ფილოსოფიის

კრიზისისა და სოციალურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის განვითარებით. განსაკუთრებული როლი ამ მხრივ ითამაშა ისეთმა დისციპლინებმა, როგორიცაა თამაშებისა და რაციონალური არჩევანის კონცეფციები. ადამიანის ქცევისა და სოციალურ ურთიერთობათა შესახებ ამ თეორიათა ბაზისური დაშვებები თანხვდებოდა ხელშეკრულების კლასიკურ თეორიათა ძირითად იდეებს. მათი მეშვეობით იქმნება ნაწილობრივ თანამედროვე კონტრაქტულ თეორიათა კონცეპტუალური აპარატი.

5) როლსის სამართლიანობის თეორიის კრიტიკა-აპოლოგეტიკის ფარგლებში ღორძინდება კონტრაქტარიანიზმი და ზოგადად პოლიტიკური ფილოსოფია. ამერიკელი ფილოსოფოსის ამ თეორიის კრიტიკაზე აგებულ იქნა თანამედროვე კონტრაქტულ თეორიათა უმრავლესობა.

6) თანამედროვე კონტრაქტარიანიზმში შეიძლება გამოვყოთ სამი მთავარი მიმართულება: პირველი წარმოდგენილია როლსის სამართლიანობის თეორიაში (ადრეული როლსი), აგრეთვე ბიუკანანის ნოზიკისა და გოტიეს შრომებში. მეორე მიმართულება ეკუთვნის ჰაბერმასს, გვიანდელ როლსს, საუტვუდს და აგრეთვე ეპისტემურ და დელიბერატიულ დემოკრატიათა კონცეფციების სხვადასხვა ავტორებს. მიუხედავად მათ შორის მთელი რიგი განსხვავებისა ამ მიმართულებებში შეიძლება გამოვყოთ მთავარი საერთო ნიშნები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ვისაუბროთ მათზე, როგორც ერთიან მიმდინარეობაზე და არა ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მიმართულებაზე: ინდივიდუალიზმი, რაციონალიზმი, ინსტრუმენტალიზმი, ჰიპოთეტური საწყისი მდგომარეობის შემოყვანა, აქცენტი სამართლიანობის ზოგად პრინციპებზე, ეგრეთ წოდებული საანგარიშო ინტენცია.

7) ზოგადად კონტრაქტარიანიზმში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი მიმდინარეობა: კლასიკური კონტრაქტარიანიზმი, როლსის ადრეული კონტრაქტარიანიზმი, დელიბერატიული კონტრაქტარიანიზმი (ჰაბერმასი, გვიანდელი როლსი, საუტვუდი) და კანტისეული კონსტრუქტივიზმი (სკენლონი, ნაწილობრივ კორსგორი და ნილი). მიუხედავად საუკუნე-ნახევრიანი წყვეტისა კლასიკურ და არაკლასიკურ კონტრაქტულ თეორიათა

მემკვიდრეობითობა, როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები ეჭვს არ იწვევს. თანამედროვე კონცეფციები ინარჩუნებენ კლასიკურ თეორიათა თითქმის ყველა ბაზისურ პრინციპს, განსაკუთრებით ისეთ საფუძველმდებელ პრინციპებს, როგორიცაა ინდივიდუალიზმი და რაციონალიზმი, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ მათზე, როგორც პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრის კონცეპტუალურად ერთიან მიმართულებაზე. ამგვარი მიდგომა საშუალებას გვაძლევს კონტრაქტული თეორია განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება პასუხის გასაცემად კითხვაზე: რატომ უნდა იცავდნენ ადამიანები ნორმებს.

8) მოცემული თეორიის გამოყენების სფერო არ შემოისაზღვრება მხოლოდ პოლიტიკური აზრით, არამედ ის ვრცელდება ისეთ დისციპლინებზე, რომელთაც ნორმატიულობის კონცეპტთან აქვთ მჭიდრო კავშირი: ეთიკა, იურისპრუდენცია და მაკროსოციალური ისტორია.

   მოცემული კონცეფცია განისაზღვრა, როგორც ერთ-ერთი ეფექტური საშუალება დემოკრატიულ პოლიტიკურ ინსტიტუტთა ლეგიტიმაციისა.

9) ემპირიულ კვლევათა შედეგები ცხადყოფენ, რომ ინდივიდთა შორის შეთანხმება რეალურად გამოწვეულია მართლაც იმ მიზეზებით, რომელთაც კონტრაქტარიანელები განიხილავენ ხელშეკრულების დადების ძირითად მოტივად: მარცხის მინიმიზაცია, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ამ მკვლევათა მონაცემები შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია არა თუ მხოლოდ ახალი დროის ევროპის იდეოლოგიურ წარმოდგენებს ასახავს, არამედ გამოხატავს საზოგადოების მაკროევოლუციის ლოგიკასაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1) კანტი იმანუილ, „პრაქტიკული გონების კრიტიკა“ 2010 წ. თბილისი.
2) რუსო ჟან ჟაკ, „განაზრებანი ადამიანთა შორის უთანასწორობის შესახებ“ 2009 წ. თბილისი.
3) რუსო ჟან ჟაკ, „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ 2015 წ. თბილისი.
4) როლსი ჯ., „პოლიტიკური ლიბერალიზმი“ 2018 წ. თბილისი.
5) მარქსი კ., პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები, 1979 წ. თბილისი

6) Бергер П., Лукман Т. социальное конструирование реальности М. 1995.
7) Бьюкенен, Дж., Таллок, Г. Логическое основания конституционной демократии.
8) Дворкин Р., О правах всерьез.
9) Гобсс, Т. Левиафан, М. 1991.
10) локк Дж., два трактата о правлении, М. 1981.
11) Макинтаир А., „После добродетели“, М. 2000.
12) Кант И., К вечному миру М. 1968
13) Кант И., „Метафизика нравов“ М. 1965
14) Ролз, Дж. Теория справедливости. – М. 2010.
15) Хабермас, Ю. Моральное сознание и комуникативное деиствие, Наука 2000.
16) Хабермас, Ю. Очерки политичнской теории, М. , 2008
17) Хабермас, Ю. ,,Теория комуникативного деиствия, М. , 2007

18) Boehm, C Moral origins: The ecolurion ofvirtue, Basic Books, 2012
19) Binmore K., Game theory and the social xontract, Cambridge, Ma: MIT press, 1998
20) Mills, C., The Racial Contract. Cornell University Press, 1977
21) Harsanyi, J., ,,A criticue of john Rawls’s theory”, 1976. P37-63
22) Herne k., The role of information in choices over income distributions, Journal of conflict Resolution.
23) Frolich N., Oppenheimer J., Eavery C. Laboratory results Rawls distributive justice, Britisch Journal of political science

24) Konsgaard, C. The constitution of agency, Oxford UniversitY Press, 2008
25) Gauthier, D. , Moral Dealing, Cornell University Press, 1990
26) C. Taylor, ,,Hegel and Modern society", Cambridge Universiti Press, 1979
27) Sandel, M., Liberalism and the Limits of Justice, Cambridge Universiti, Press, 1982
28) Pateman, C., The Sexual Contract, Stanford University Press, 1998
29) Scanion T., What we ove to each other, Cambridge, MA: Harvard University Press, 1998
30) Southwood N. ,,Contracrualism and the Foundations of morality, Oxford University Press, 2010
31) Parfit, D. ,,On what matters", Oxford University Press, 2011
32) Sugden R. The economics of rights, co-operation and welfare. Oxford, 1986
33) Walzer, M., S pheres of Justice, oxford, 1983